ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№122(12801) 27 მაისი ოთხშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

## მზად ვარ და არაფრის მეშინია!




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნანატრი ფინალის მოლოდინში

**ჩემპიონთა ლიგის ფინალი. ბარსელონა-მანჩესტერი**




## მესის და რონალდოს დუელი არ შედგებაო...



## კუპერმა და ცხადაძემ შემადგენლობები დაასახელეს



ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები გვერდები 2,3

## ულიცენზიო და გავარდნილი კლუბები უმაღლესში მაინც ითამაშებენ?

**ვნებათაღელვა ლიცენზიების გამო**

გვერდი 2



## დიეგო მაინც იუვეს დარჩა

**მარიო გომესმა ბაიერნს მიაშურა**



გვერდი 7-12 მსოფლიო ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩების წინ

# კუპერმა 25 ფეხბურთელი შეარჩია

6 და 10 ივნისს მოლდოვასა და ალბანეთთან გასამართი ამხანაგური მატჩებისთვის **ექტორ კუპერმა** შემადგენლობა დაასახელა. როგორც გუშინ გაუწყეთ, არგენტინელი სპეციალისტის სიაში ოთხი ახალი ფეხბურთელია - რიგის „სკონტოს" ფორვარდი **ლადო დვალიშვილი**, „ვიბორგის" მცველი **გიორგი ფოფხაძე**, „ორჰუსის" ნახევარმცველი **დავით დევდარიანი**, და რუსთავის „ოლიმპის" მარჯვენაფლანგელი **გიორგი სეთურიძე**. შესაბამისად, ამ ეტაპზე კუპერმა საჭიროდ არ ჩათვალა „ვენტსპილსის" ნახევარმცველ **ზურაბ მენთეშაშვილის**, „დიორი ეტოს" შუახაზელ **დავით ოდიკაძისა** და „რუბინის" მცველის **ლაშა სალუქვაძის** გამოძახება. ნაკრების თავკაცს სურს, ახალი ფეხბურთელები ნახოს საქმეში... და კიდევ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ **ლევან ყენიას** თამაში არ შეუძლია, კუპერმა მკაცრად მოსთხოვა „შალკეს" ნაკრების ახალგაზრდა პლეიმეიქერის გათავისუფლება. მოკლედ, კუპერი ყენიას თბილისში ელის. სულ კი კუპერის სიაში 25 მოთამაშეა:

მეკარეები - **გიორგი ლომაია** (ლოკომოტივი), **გრიგოლ ბედიაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ზურაბ მამალაძე** (ზესტაფონი);

მცველები - **ზურაბ ხიზანიშვილი** (ბლექბერნი, ინგლისი), **გიორგი შაშიაშვილი** (შტურმი, ავსტრია), **გიორგი ფოფხაძე** (ვიბორგი, დანია), **ალექსანდრე კვახაძე** (ვიტ ჯორჯია), **გურამ კაშია** (დინამო), **დავით გიგაური** (გაგრა), **უჩა ლობჟანიძე** (ზესტაფონი), **დავით კვირკველია** (რუბინი, რუსეთი);

ნახევარმცველები - **ლევან კობიაშვილი**, **ლევან ყენია** (ორივე შალკე, გერმანია), **ლევან ხმალაძე** (დინამო), **ლუკა რაზმაძე** (ვიტ ჯორჯია), **დავით დევდარიანი** (ორჰუსი, დანია), **გიორგი სეთურიძე** (ოლიმპი), **მურთაზ დაუშვილი** (ზესტაფონი);

თავდამსხმელები - **ლევან მჭედლიძე** (პალერმო, იტალია), **რატი ალექსიძე** (დიორი ეტო, უნგრეთი), **ალექსანდრე იაშვილი** (კარლსრუე, გერმანია), **ლადო დვალიშვილი** (სკონტო, ლატვია), **ბექა გოცირიძე** (დნიპრო, უკრაინა), **ოთარ მარცვალაძე** (ანჟი, რუსეთი), **გიორგი მერებაშვილი** (დინამო).

ეროვნული ნაკრები ამხანაგური მატჩებისთვის მზადებას 1-ელ ივნისს დაიწყებს. კუპერი გუნდს ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" შეკრებს და საგურამოს ბაზაზე ავარჯიშებს. ლეგიონერები კი თბილისში იმავე ან მეორე დღეს ჩამოვლენ.

**დავით ცაბაძე**

ვნებათაღელვა ლიცენზიების გამო

# ულიცენზიო და გავარდნილი კლუბები უმაღლეს ლიგაში მაინც ითამაშებენ?

## პაატა ბურჯალიანი: ყველაფერს ალმასკომი გადაწყვეტს



პაატა ბურჯალიანი

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ლიცენზირების კომიტეტის გადაწყვეტილება, საიდანაც ვიგებთ, რომ უმაღლეს ლიგაში თამაშზე უარი ეთქვათ ახალციხის „მესხეთს", „სამტრედიასა" და „ამერს"; „გაგრასა" და „სპარტაკს" კი უკვე აქვთ საუმაღლესო ლიცენზია. ახლა ისიც ვიკითხოთ , რა გამოდის ამ ყველაფრიდან - უმაღლესი ლიგიდან არგავარდნისთვის ბრძოლაში „მესხეთმა" უშუალო კონკურენტებს - „გაგრასა" და „სპარტაკს" აჯობა, მაგრამ ახლა სწორედ ამ ორ გუნდს აქვს უკეთესი შანსი, რომ უმაღლესში დარჩეს.

პირველი ლიგის გამარჯვებულებსაც, როგორც იტყვიან, ჭაკად აქვთ საქმე - „სამტრედია" და „ამერი" ამ დროისთვის, ფაქტობრივად, ჰაერში არიან გამოკიდებულები. ვითარებაში უკეთ გასარკვევად პროფლიგის გენერალურ მდივან პაატა ბურჯალიანს დავუკავშირდით...

- ლიცენზირება უეფას მოთხოვნაა და ამის გარეშე კლუბი უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებს. კლუბები, რომელთაც ლიცენზიაზე უარი ეთქვათ, ამის თაობაზე კარგა ხნით ადრე იყვნენ გაფრთხილებულნი.

**- თუკი ახალციხის „მესხეთს" შარშან უმაღლეს ლიგაში თამაშის ნება დართეს, წლეულს რა ლოგიკით ეთქვა უარი?**

- შარშან რაღაც ფაქტორების გათვალისწინებით გარკვეული შეღავათები კეთდებოდა...

**- როდის მიიღო გადაწყვეტილება ლიცენზირების კომიტეტმა? საინტერესოა, ბოლო ტურის წინ თუ იცოდნენ ამის შესახებ, მაგალითად, „მესხეთმა"?**

- ლიცენზირების კომიტეტმა გადაწყვეტილება დაახლოებით ერთი კვირის წინ, ბოლო ტურამდე მიიღო.

**- „მესხეთი", სამტრედია" და „ამერი" - ამ გუნდებს არანაირი შანსი აღარ აქვთ, რომ დამდეგ სეზონში უმაღლეს ლიგაში ითამაშონ?**

- შანსი ექნებათ იმ შემთხვევაში, თუ მდგომარეობას გამოასწორებენ.

**- და ვინ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება?**

- ალმასკომმა. სწორედ ალმასკომს აქვს უფლება, უმაღლეს ლიგაში მაინც დაუშვას ის გუნდი, კონკრეტულ ეტაპზე შესაბამისი ლიცენზია რომ არ აქვს. მაგრამ იმ კლუბებს, რომელთაც ლიცენზირებისთვის, ფაქტობრივად, არაფერი არ აქვთ გაკეთებული, წარმოუდგენელია, რომ ასეთებს ალმასკომმა უმაღლესში თამაშის ნება დართოს.

**- დავუშვათ, ალმასკომმა „მესხეთი" არ დაუშვა უმაღლეს ლიგაში. ეს იმას ნიშნავს, რომ მის ადგილს ავტომატურად დაიკავებს „გაგრა" ან „ცხინვალი"?**

- თუ „გაგრას" ექნება ამის სურვილი, გაუჩნდება შანსი, რომ დარჩეს უმაღლეს ლიგაში. ესეც ალმასკომის გადასაწყვეტია.

**- და მერე რა გამოვა ამით? გავარდნილი გუნდები მაინც უმაღლეს ლიგაში დარჩებიან?**

- ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, ეს გამორიცხული არ არის. პირადად მე, ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. გუნდის პირველ ლიგაში დაქვეითებით ტრაგედია არ უნდა შეიქმნას - დაამტკიცე, რომ ძლიერი ხარ და დაბრუნდი უმაღლეს ლიგაში...

**დავით თავართქილაძე**

ჩემპიონატი ჩემპიონატის შემდეგ

# აბსურდის თეატრი და მედლების თემა



საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატი ოთხი დღის წინ დასრულდა. თუმცა ძალიან ბევრი უპასუხო კითხვა დარჩა და გულშემატკივართან ერთად, ჩვენც გვინდა, რომ ყველაფერი რაც შეიძლება მალე გაირკვეს. ჯერ ის ვთქვათ, რომ კვლავაც გაურკვეველია, თუ რომელი გუნდები იასპარეზებენ მომავალ სეზონში. ანუ, სატურნირო ცხრილის მიხედვით, „გაგრა", „სპარტაკი" და „ბორჯომი" ოცდამეერთე ჩემპიონატს პირველ ლიგაში უნდა შეხვდნენ; ხოლო მათ მაგივრად უმაღლესში უნდა ვიხილოთ პირველი ლიგის ორი გამარჯვებული: „ამერი" და „სამტრედია". სამწუხაროდ, კვლავაც გაურკვევლობაა ამ ორი გუნდის ლიცენზირებასთან დაკავშირებით; ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტის გადაწყვეტილებით, „ამერს", „სამტრედიას" და ... „მესხეთს" 2009-10 წლების სეზონისთვის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის ლიცენზიაზე უარი ეთქვათ (სხვა გუნდებიც არის ნახსენები, მაგრამ აქტუალური ეს სამი კოლექტივია). ეს ინფორმაცია „ვინმესგან" არ გვსმენია, არც „სარწმუნო წყაროს" ვეყრდნობით - ყველაფერი **საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე** წერია. იქვე ისიც არის განმარტებული, რომ სპორტული პრინციპებით უკვე გავარდნილ „გაგრასა" და „სპარტაკს"... 2009-10 წლების სეზონში **უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის ლიცენზია მიენიჭა**. ანუ, რა გამოდის: ეს ორივე გუნდი... ქვედა ლიგაში დაქვეითდა, მაგრამ მაინც უმაღლესში ითამაშებს...

თუმცა მეორე მხრივ იმასაც მივესალმებით, რომ ლიცენზირების პირობები ყველა გუნდმა უნდა დაიცვას და უმაღლესშიც მხოლოდ იმათ უნდა იასპარეზონ, რომლებმაც ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ. ექვსი იქნება, შვიდი თუ რვა, მნიშვნელობა არა აქვს - აბა, უფულო და უპატრონო გუნდებს უმაღლესში არაფერი ესაქმებათ.

და კიდევ ერთი არცთუ უმნიშვნელო საკითხი; ბოლო ტურში, მატჩის დასრულების შემდეგ ქვეყნის ჩემპიონს „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელ-ფეხბურთელებს ოქროს მედლები გადაეცათ. ვინც ამ კადრებს უცქირა, ყველა დაგვეთანხმება, რომ ლამაზი სცენა იყო - ფოიერვერკი, ყიჟინა, შამპანურის ბათქაბუთქი; წესითა და რიგით, ოღონდ, ბევრად ნაკლები პომპეზურობით უნდა აღნიშნულიყო... ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების გადაცემის პროცესიც. ყოველ შემთხვევაში, „დინამოსა" და „ოლიმპის" მწვრთნელ-ფეხბურთელებს, გარჯის დაფასების გარდა, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები სამახსოვროდ ხომ მაინც უნდა დარჩეთ?

ისე, სასურველი იქნებოდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელებს ეს ნაბიჯი უკანასკნელ ტურშივე გადაედგა: „დინამოს" და „ოლიმპს" ხომ უკვე განაღდებული ჰქონდათ შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. არა უშავს - ამ „შეცდომის" გამოსწორება ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელებს ძალიან მალე შეეძლებათ: 30 მაისს, საქართველოს თასის ფინალში ერთმანეთს ხომ სწორედ „დინამო" და „ოლიმპი" უნდა შეხვდნენ. ჰოდა, მატჩის დაწყების წინ რომ ორივე გუნდს საზეიმო ვითარებაში მედლები გადასცენ, მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვისაც დამატებული სტიმული იქნება და, რაც მთავარია, დაპირებულ ლამაზ სანახაობასაც კიდევ ერთი ლამაზი ელემენტიც მიემატებოდა. თორემ ამ საქმეს მომავალი სეზონისთვის გადადება, რატომღაც, გამართლებულად არ მიგვაჩნია...

**გია ტუხაშვილი**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ჩემპიონის მწვრთნელი

## რამაზ მუმლაძე

# პასუხისმგებელი მხოლოდ საკუთარ გუნდზე ვარ


ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ მუმლაძე

წლეულს „ვიტ ჯორჯია“ მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი, თუმცა 17 მაისს ბოლნისში „სიონთან“ შეხვედრაში ისეთები მოხდა, რომ ვიტჯორჯიელთა ტრიუფს თითქოს ჩრდილი მიაყენა...

ერთი რამ კი სადავო არ უნდა იყოს - 2008-09 სეზონში საქართველოში „ვიტ ჯორჯიას“ მჯობნი გუნდი არავინ იყო...

რამაზე მუმლაძე უკვე ოთხი წელია, რაც „ვიტ ჯორჯიაში“ მუშაობს. გუნდმა ასეთ წარმატებას რომ მიაღწია, დიდად იყო განპირობებული მთავარი მწვრთნელის ფაქტორით - „ვიტ ჯორჯია“ ხომ ზედმიწევნით გუნდურ ფეხბურთს თამაშობს.

ჩვენი რესპონდენტი სწორედ რამაზ მუმლაძე გახლავთ, ვისაც აქეთურ-იქეთურზე ვესაუბრეთ...

**- ბატონო რამაზ, თქვენი განვრთნილი „ვიტ ჯორჯია“ საქართველოს ჩემპიონი გახდა. თუმცა, ამ ტრიუმფს ცოტა არ იყოს აუფერულებს ბოლოსწინა ტურის მატჩი „სიონი“-“ვიტ ჯორჯია“. როგორია თქვენი ვერსია, რა მოხდა ამ შეხვედრაში?**

- თავის მართლება გამომდის, მაგრამ მერწმუნეთ, ეს შეხვედრა გარიგებული ნამდვილად არ ყოფილა. ვიცოდი, რომ „სიონში“ იყო ხელფასების დაგვიანება და შესაძლოა, სავარჯიშო პროცესიც ვერ იდგა სათანადო დონეზე. მეორე ტაიმში „სიონის“ ფეხბურთელებს დაღლა დაეტყოთ. თითქოს, ფეხებიც დაეჭიმათ. საბოლოო ჯამში ფიზიკური კონდიციების მხრივ ჩვენ უპირატესობა მოვიპოვეთ. ადრე ისიც კი მომხდარა, რომ 10 კაცით შემოგვიტრიალებია თამაში და რატომ უნდა გაგვიკვირდეს ის, რაც „სიონი“-“ვიტ ჯორჯიას“ მატჩში მოხდა? თუ რატომ ვერ მოძრაობდა კარგად „სიონი“, ამაზე ვერაფერს გეტყვით. სხვა გუნდზე როგორ ვილაპარაკო. მე მხოლოდ საკუთარ გუნდზე ვარ პასუხისმგებელი. ახლა ამ თამაშზე ერთი ამბავია ატეხილი და მართლაც, თუ გარე თვალით შევხედავთ ამ თამაშს შესაძლოა, მეც დამრჩენოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს შეხვედრა საეჭვო იყო.

**- თქვენი უმთავრესი მეტოქე თბილისის „დინამო“ იყო. ბევრის აზრით, „დინამოს“ „ვიტ ჯორჯიაზე“ უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს...**

- ასე არ ვიტყოდი. არა მგონია, რომ „დინამოს“ „ვიტ ჯორჯიაზე“ უკეთესი ფეხბურთელები ჰყავდეს.

**- ეს თქვენი პოზიციაა, თუმცა სადავო ალბათ არ არის, რომ „ვიტ ჯორჯიას“ ინდივიდუალისტები აკლია და წარმატებას გუნდური თამაშით აღწევს. ნუთუ უარყოფთ, რომ კონტინგენტის შერჩევის მხრივ „დინამოს“ „ვიტ ჯორჯიასგან“ უპირატესობა არ ჰქონია?**

- „დინამოს“ მართლაც შეუძლია ჰყავდეს ლეგიონერები და ამის გარდა სხვა ქართული გუნდებიდან მოიწვიოს საუკეთესო ფეხბურთელები, ამის შესაძლებლობა „დინამოს“ მართლაც აქვს, ჩვენ კი ახალგაზრდა ფეხბურთელებს ვეყრდნობით და თუ ამ კუთხით მივუდგებით საკითხს, „დინამო“ ალბათ უკეთესი გუნდი უნდა იყოს.

**- ქართული ფეხბურთი - რაც ამ ორი სიტყვის უკან დგას, ყველაფერი ეს თითქოს დაიკარგა და „ვიტ ჯორჯიაც“ არ თამაშობს ასეთ ფეხბურთს. აქცენტი ბრძოლაზე აქვს გადატანილი და არა ცალკეული ფეხბურთელების ოსტატობაზე. როგორ ფიქრობთ, როცა საკითხი ასე განიხილება, ეს საქმისადმი ძველმოდური დამოკიდებულებაა?**

- გამორჩეული ინდივიდუალისტები ფლანგებზე და მოედნის ცენტრში, იმპროვიზაციის მქონე ფეხბურთელები - ასეთი მოთამაშეები საქართველოს ახლა ძალიან ცოტა ჰყავს. მაგრამ არსებობს გენი და თუ დღეს არის ეს პრობლემა, ხვალ ალბათ გამოჩნდებიან ასეთი ფეხბურთელები. ფეხბურთს 11 კაცი თამაშობს და გუნდს უნდა შეეძლოს კოლექტიური თამაში. „ვიტ ჯორჯიას“ განვლილ სეზონში მართლაც არ ჰყოლია თამაშის საკუთარ თავზე ამღები ფეხბურთელები და აქედან გამომდინარე ვთამაშობდით იმას, რასაც გუნდური თამაში ჰქვია. ასეთი გუნდით გვიწევს თამაში ევროსარბიელზეც და სულ იმის ცდაში ვარ, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა სწრაფად თამაში აითვისონ და ამ მიმართულებით რაღაცას უკვე მივაღწიეთ. გახსოვთ, შარშან „ტრნავა“ რომ დავამარცხეთ, რომელიც ურიგო გუნდი ნამდვილად არ ყოფილა. მერე „აუსტრიას“ შევხვდით, თუმცა აგვისტოს მოვლენების გამო შინ ვერ ვითამაშეთ და შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ბედის მხოლოდ ერთ თამაში, ისიც ავსტრიაში გადაწყდა. ასეთ დროს კი ძალიან ძნელი იყო წარმატების მიღწევა.

**- თბილისის „დინამომ“ განვლილ სეზონში „ვიტ ჯორჯიას“ ერთხელაც ვერ მოუგო და ჩემპიონობაც არ ეკუთვნოდაო - ამას ბევრისგან გაიგონებს კაცი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არც „ვიტ ჯორჯიას“ მოუგია ერთი თამაში მაინც „დინამოსთვის“ და ისე გახდა ჩემპიონი...**

- როცა ჩვენ და „დინამო“ ბოლოს შევხვდით ერთმანეთს, ეს ფაქტობრივად გადამწყვეტი მატჩი გახლდათ და თუ „დინამო“ ღირსი იყო ჩემპიონობის, ეს შეხვედრა უნდა მოეგო. წლეულს ჩვენ უფრო ღირსნი ვიყავით ჩემპიონობის.

**- „ვიტ ჯორჯიას“ არცთუ კარგი სავარჯიშო პირობები ჰქონდა. როგორ ახერხებდით კონკრეტული მატჩებისთვის კარგად მომზადებას? ისიცაა, რომ საშინაო მატჩებს გორში მართავდით და ათეულობით კილომეტრის გავლა გიხდებოდათ...**

- თავიდან მცხეთაში ვვარჯიშობდით, მაგრამ მინდორი დაიტვირთა, რადგან იქ ჩვენი მეორე გუნდიც ვარჯიშობდა და თამაშობდა. მერე გადავედით „ავაზას“ ხელოვნურსაფრიან მოედანზე და მადლობა მინდა გადავუხადო „ავაზას“ მესვეურებს. რაც შეხება გორში თამაშს, აგვისტოს ომის დროს მთელმა გუნდმა მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება. მთელ გუნდს გვინდოდა, რომ გვერდში დავდგომოდით ამ ქალაქს, თანაც მცხეთაში, ჩვენს სტადიონზე მინდორი არ იყო კარგ მდგომარეობაში. იმ ფაქტორსაც ვითვალისწინებდით, რომ „ვიტ ჯორჯიაში“ ორი გორელი თამაშობს - ლუკა რაზმაძე და ამირან ყველაშვილი და იმედი გვქონდა, რომ სტადიონზე ხალხი მოვიდოდა.

**- და როგორი იყო „ვიტ ჯორჯიას“ ტაქტიკური კონცეფცია, რა მონახაზს ეყრდნობოდა გუნდი მთელი სეზონის განმავლობაში?**

- გიორგი დათუნაიშვილი, გიორგი მელქაძე, ლუკა რაზმაძე და ირაკლი კლიმიაშვილი - ამ ოთხი ნახევარმცველით ჩვენ ვქმნიდით რომბს და ამის მერე ხდებოდა სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტის დამუშავება.

**- „ვიტ ჯორჯია“ ეხლა ერთხელაც ითამაშებს ევროსარბიელზე. ალბათ კლუბის პოლიტიკა არ შეიცვლება და ამ დროისთვის არსებულ კადრებზე მოგიწევთ დაყრდნობა. რა შედეგს გეგმავთ ამ რესურსით?**

- კლუბის პოლიტიკა ჯერჯერობით არ იცვლება. აქცენტს ისევ ჩვენს ახალგაზრდებზე გავაკეთებთ და ხელწამოსაკრავი გუნდი არ ვიქნებით, რაშიც ჩვენი პრეზიდენტი გურამ რუხაძე ყველანაირად გვიწყობს ხელს. ჯერ ზუსტად არ არის გარკვეული, თუ ვინ დარჩება „ვიტ ჯორჯიაში“, მაგრამ ბირთვი შენარჩუნებული იქნება. „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა ალექსანდრე კვახაძეს და არ ვიცით, დარჩება თუ არა ჩვენთან. ვარჯიშს 7 ივნისს განვაახლებთ და მანამდე ყველაფერი გაირკვევა.

**- ახლა არაერთმა ქართველმა მწვრთნელმა აიღო პროფლიცენზია, თქვენ არ გრჩებათ დრო ამისთვის?**

- პროფლიცენზია მეც მჭირდება და დიდი სიამოვნებით შევუდგებოდი ამისთვის სწავლას, მაგრამ ამის დრო არ მაქვს. სამწუხაროდ, უცხოეთში გამართულ სემინარებზეც ვერ დავდივარ. ამას წინათ გაიოზ დარსაძემ ბელგიაში სემინარზე წასვლა შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი.

**- როგორ ფიქრობთ, ბოლო 10 წელიწადში ყველაზე უფრო საინტერესო ქართველი მწვრთნელი რომლები იყვნენ?**

- გია გეგუჩაძე, გიორგი დევდარიანი, ოთარ კორღალიძე, ძალიან კარგი მწვრთნელია ბესიკ შეროზიაც, განვლილ სეზონში კი ასპარეზზე გამოჩნდა კახა კაჭარავაც, ვისაც უკვე აქვს საკმარისი გამოცდილება და დასაფასებელია, თუ როგორ ენდობა ის ახალგაზრდა ფეხბურთელებს. კაჭარავაზე ერთსაც ვიტყოდი: მას უმუშავია უცხოელ მწვრთნელებთან „დინამოში“, მაგრამ არ ცდილობს სხვისგან გადაიღოს რაღაცები, თავისი ხელწერა აქვს და სულ სხვა ფეხბურთით ათამაშებს გუნდს, ვიდრე „დინამოს“ ყოფილი უცხოელი მწვრთნელები.

**- საქართველოს ჩემპიონატის თამაშებს ძალიან ცოტა მაყურებელი ესწრება და გასაგებია, თუ რას ნიშნავს ეს ფეხბურთელებისთვის. საინტერესოა, ასეთი აურა როგორ მოქმედებს მწვრთნელზე?**

- განებივრებული არ ვარ სტადიონზე ბევრი ხალხის მოსვლით და არ მქონია იმის განცდა, თუ რა არის სავსე სტადიონის წინაშე გასვლა. ჯერჯერობით ასეა, მხოლოდ შარშან „ტრნავასთან“ სტუმრად გამართულ შეხვედრაში ვნახე, რა არის გულშემატკივრობა მაღალ დონეზე, „ტრნავა“ 0:2-ს აგებდა, მაგრამ ხალხი მაინც მხურვალედ ქომაგობდა მას.

**- ერთ-ერთ ადრეულ ინტერვიუში მითხარით, რომ თქვენში როგორც მწვრთნელში, ორივე ასპექტი არის ჩადებული - ფსიქოლოგია და გუნდის ტაქტიკური მომზადება. წლევანდელ სეზონში უფრო რომელმა ფაქტორმა იძალა?**

- ვფიქრობ, ფსიქოლოგიური ფაქტორი წინ იყო წამოწეული. ფსიქოლოგიამ ყველაფერს გადაწონა. „ვიტ ჯორჯიას“ ნებისმიერ ფეხბურთელს რომ ჰკითხოთ, დარწმუნებული ვარ, იმავე პასუხს მიიღებთ.

**- გუნდის ფსიქოლოგიურად მომზადებაში თანაშემწეები გყავდათ?**

- ჩემი თანაშემწე ზურაბ ბერიძე ჩემი ბავშვობის მეგობარია, მისი მეჯვარე და ბავშვის ნათლია ვარ. ის ძალიან დიდ სამუშაოს ასრულებს, ჩვენ უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს, რაც მიადვილებს მუშაობას. მეკარეების მწვრთნელი აჩიკო ლურწკაია გამოცდილი სპეციალისტია და მისი დამსახურებაცაა, გრიგოლ ბედიაშვილი სტაბილურად რომ თამაშობს. რაც შეეხება ფსიქოლოგიას, ყველა გუნდში ეს პროცესი მთავარ მწვრთნელს მიჰყავს.

**- ერთ ფეხბურთელზე ცალკე უნდა გკითხოთ - ირაკლი კლიმიაშვილმა სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ მერე ისეთივე ეფექტური აღარ იყო. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

- ვფიქრობ, ყოველივე ეს ფეხბურთელის ზრდასთან, ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული. ასეთ დროს ხდება შინაგანი მუშაობა და ფეხბურთელს უჭირს რაღაც-რაღაცების დაძლევა. კლიმიაშვილი ეროვნული ნაკრებში გამოიძახეს და ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ეს განსაკუთრებული ემოციური დატვირთვაა. ბოლო დროს მან უწინდელივით ეფექტურად ვერ ითამაშა, მაგრამ ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ და მისი თამაშით საერთო ჯამში უკმაყოფილო არ ვარ.

**- სამაგიეროდ ნაკრებში გამოძახების შემდეგ სულ სხვანაირად ათამაშდა „ვიტ ჯორჯიაში“ ლუკა რაზმაძე...**

- გეთანხმებით, თუნდაც „დინამოსთან“ ბოლო შეხვედრაში მან ძალიან დიდი სამუშაო შეასრულა და მისმა კარგმა თამაშმა დიდად განაპირობა ის, რომ მოედნის ცენტრში მოწინააღმდეგემ უპირატესობა ვერ მოიპოვა. ნაკრებში გამოძახების შემდეგ რაზმაძემ მართლაც მოუმატა და გაცილებით უფრო თავდაჯერებულად ათამაშდა „ვიტ ჯორჯიაში“. მას მეტიც შეუძლია და მეტი უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე.

**- თქვენს გუნდში თუ გეგულებათ ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც მეტი შეუძლია. მაგრამ ზარმაცობს?**

- მიმაჩნია, რომ ვახტანგ კვარაცხელიას ნაკრების დონეზეც კი შეუძლია თამაში, მაგრამ ზარმაცობს. თუ ფეხბურთელი თვითონც არ დაეხმარა მწვრთნელს, მარტო მწვრთნელი მოთამაშესთან ვერაფერს გააწყობს.

**- ერთსაც გკითხავთ, ჩემპიონობის შენარჩუნება უფრო ძნელი იქნება „ვიტ ჯორჯიასთვის“ თუ ჩემპიონობის მოპოვება?**

- შენარჩუნება უფრო ძნელი იქნება, მაგრამ ჯერ ევროსარბიელზე ვფიქრობთ. რაც შეიძლება კარგად უნდა გამოვიდეთ ევროტურნირზე და ერთი ეტაპი მაინც უნდა გავიაროთ. დანარჩენზე კი მერე ვიფიქრებთ.

**დავით თავართქილაძე**

U 21

ინტერვიუ კახა ცხადაძესთან

# ბიჭებს პოტენციალი დიდი აქვთ, მაგრამ განათლება...

## მოლდოვას რუსთავში ვუმასპინძლებთ



კახა ცხადაძე

**მოგეხსენებათ, 5 ივნისს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ამხანაგურ შეხვედრაში მოლდოველ თანატოლებს უმასპინძლებს. ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ეწერა, თითქოს შეხვედრა გლდანში, „ამერის“ სტადიონზე იყო დანიშნული, დაწყების დროდ კი 16:30 საათი გახლდათ მითითებული. თუმცა, მიზეზთა გამო, მატჩი რუსთავის „ფოლადზე“ გადაიტანეს, რაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელმა კახა ცხადაძემ დაგვიდასტურა. შეიცვალა თამაშის დაწყების დროც - 17:30 საათი, ნაცვლად თავდაპირველად გამოცხადებული 16:30-ისა.**

**- ლაპარაკი იყო მატჩის სამტრედიაში ან ზესტაფონში ჩატარებაზე. რატომ შეიცვალა მასპინძელი ქალაქი?**

- სიმართლე გითხრათ, მაშინ მე ეს მხოლოდ პოსტფაქტუმ შევიტყვე, რომ მატჩის ჩატარება დასავლეთ საქართველოში სურდათ. ეს არ იყო ჩემი იდეა. საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, მაგრამ ამ ეტაპზე აჯობებს, მოთამაშეები თბილისში, ან მის ახლოს შევკრიბოთ. ასე უფრო მოსახერხებელია. ისე, რეგიონში გასვლა მშვენიერი იდეაა.

**- როგორც ვიცით, მოლდოვის ნაკრებამდე „დასავლეთ“ და „აღმოსავლეთ“ ნაკრებების შეხვედრას გეგმავთ.**

- მოთამაშეებს 28 მაისს საგურამოში შევკრებთ, შეხვედრა კი 17:00 საათზე გაიმართება. შემდეგ მათგან საუკეთესოებს მოლდოვისთვის დავიტოვებთ.

**- ახალი მოთამაშეები თუ შეიგულეთ?**

- მოწვეულთა უმრავლესობა 1990 წლებშია დაბადებული და ნაკრების უახლოესი რეზერვია. შესაძლოა, მათგან ბევრი დაგვჭირდეს, პერსპექტიული ბიჭები არიან და გამოძახებით მსურს თითოეულ მათგანს ვაგრძნობინო, რომ მხედველობიდან არავინ გამოგვრჩება, მუშაობის ილუზიას კი არ ვქმნით. მათ უნდა მივცეთ სტიმული, დაინახონ საკუთარი ნაკლი და მისი გამოსწორების სურვილი გაუჩნდეთ. თუმცა, ერთდროულად ყველა საინტერესო მოთამაშეს ახლა ვერ მოვიწვევთ.

» მე-5 გვერდზე

საქართველოს ჩემპიონატი

# ბომბარდირული ისტორიები

ახლახან დასრულებული მეოცე, საიუბილეო ჩემპიონატი რომ მეტისმეტად სკანდალური გამოდგა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ლიგის ხელმძღვანელებიც აღიარებენ. იმედი დავიტოვოთ, რომ ბინძურ გარიგებაში მონაწილე ყველა გუნდი საკადრის სასჯელს მიიღებს და მომდევნო, ოცდამეერთე ჩემპიონატიც წინამორბედზე სუფთად ჩაივლის.

მანამდე კი, ალბათ დროა, რომ ახლახან დასრულებული ჩემპიონატი შევაჯამოთ და დღეს ბომბარდირებზე ვისაუბრებთ. საბედნიეროდ, ბომბარდირთა დავაში ყველაფერი პატიოსნად წარიმართა; ანუ, სეზონის ბოლოს ისეთი მატჩები აღარ ყოფილა, კონკრეტულ ფეხბურთელ(ებ)ს... „საჭირო" რაოდენობის გოლები რომ გაეტანა. ერთი პერიოდი ბომბარდირთა დავაში „ვიტ ჯორჯიას" ახალგაზრდა ცენტრფორვარდი **ვახტანგ კვარაცხელია** დაწინაურდა, მერე დინამოელი **გიორგი მერებაშვილი** ათამაშდა შედეგიანად, ვისაც კვალში „ზესტაფონის" თავდამსხმელი **ნიკოლოზ გელაშვილი** ჩაუდგა. ტრავმის გამო კვარაცხელია მალე ჩამოშორდა ამ საპატიო პრიზისთვის ბრძოლას და ყველა ველოდით, რომ ფინიშისკენ მერებაშვილსა და გელაშვილს შორის სერიოზული კონკურენცია წარიმართებოდა. თუმცა ასე არ მოხდა: სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, მერებაშვილი ბოლო ტურებში შედეგიანობით ვერ გამოირჩეოდა; სამაგიეროდ, გელაშვილი სტაბილურად განაგრძობდა გოლების გატანას და, ჩვენი აზრით, სრულიად დამსახურებულად გახდა საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. რაც მთავარია, საქართველოს ჩემპიონატების ანტირეკორდი აღარ „გაუმჯობესებულა", შარშან რომ დამყარდა: 2007-08 წლების სეზონში საუკეთესო ბომბარდირობას ხომ 16 გოლიც „ეყო"..

ახლა კი, პირველიდან (1990 წლიდან) მოყოლებული ყველა ჩემპიონატი გავიხსენოთ და ბომბარდირთა დასწრებულ თუ დაუსწრებელ პაექრობებზე ვისაუბროთ. ახალს ვერაფერს ვიტყვით: ყველაზე მაღალი დონის და, მართლაც, გამორჩეული ჩემპიონატი სულ პირველი გათამაშება იყო. ბომბარდირთა პაექრობაც საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და საბოლოოდ ისე მოხდა, ერთდროულად ორმა ფეხბურთელმა ერთნაირი რაოდენობის გოლები გაიტანეს: 23-23. ოღონდ, თბილისის „იბერიას" („დინამოს" ასე ერქვა) ცენტრფორვარდმა **გია გურულმა** უშუალო კონკურენტთან - **მამუკა ფანცულაიასთან** („გორდა") შედარებით რვა შეხვედრით ნაკლები ჩაატარა. სხვათა შორის, გურულსა და ფანცულაიას ბოლო ტურში გოლი არ გაუტანიათ. სამაგიეროდ, ბოლოსწინაში პირველმა „დუბლი" შეასრულა, მეორემ კი, სულაც „პოკერი" და ასე დაეწია ბომბარდირთა დავაში. ორივე ლაურეატს მცირედით ჩამორჩა ლანჩხუთის „გურიას" ნახევარმცველი **ოთარ კორღალიძე**, ვინც 21 გოლი გაიტანა. სამაგიეროდ, კორღალიძე მომდევნო სეზონში გახდა გამარჯვებული - ერთწრიანი ჩემპიონატი რომ ჩავატარეთ, 18 შეხვედრაში 14 გოლი გაიტანა. მას მხოლოდ ერთი გოლით ჩამორჩა თანაგუნდელი **დავით უგრელიძე**, ხოლო მომდევნო ადგილები დაიკავეს იმ დროისათვის 19-20 წლის ბიჭებმა: **მიხეილ ყაველაშვილმა** („იბერია") და **ანდრო კიურჯიევმა** („ბათუმი"). სხვათა შორის, კიურჯიევი მალევე საბერძნეთში გაემგზავრა სათამაშოდ და წლების განმავლობაში იქაური გრანდის „ოლიმპიაკოსის" შეტევების ლიდერი გახდა, ოღონდ ამჯერად უკვე **ნინიადისის** გვარით ასპარეზობდა.

აი, მესამე ჩემპიონატი ბევრი რამით დაგვამახსოვრდა: ჯერ ერთი, სწორედ ამის მერე დაიწყო ჩვენი პირველობის დონის დაცემა; ამას გარდა, მთელი სეზონის განმავლობაში ყველა გუნდი შესაშურ შედეგიანობას ავლენდა. თუმცა მთავარი ხიბლი მაინც ბომბარდირობის ორი გამოკვეთილი კანდიდატის - ოთარ კორღალიძისა და **მიხეილ ჯიშკარიანის** დაუსწრებელი პაექრობა იყო. საბოლოოდ გამარჯვება უფრო გამოცდილ კორღალიძეს დარჩა, ვინც, მართლაც, ჩინებული შედეგი უჩვენა - 35 მატჩში 40 გოლი გაიტანა! რაც შეეხება სოხუმის „ცხუმის" უნიჭიერეს თავდამსხმელს მიხეილ ჯიშკარიანს, მისი შედეგი შედარებით „მოკრძალებული" იყო - 31 მატჩში 35 გოლი. არადა მთელი სეზონის განმავლობაში ჯიშკარიანი საგრძნობლად უსწრებდა უშუალო კონკურენტს (ერთ შეხვედრაში სულაც შვიდი გოლი გაიტანა, რაც დღემდე მოუხსნელი რეკორდია). თუმცა ბოლო რვა შეხვედრაში მხოლოდ ოთხი გოლის გატანა შეძლო, მაშინაც როცა კორღალიძემ... 18 ბურთი შეაგდო მეტოქეთა კარში! დაგვეთანხმებით, რომ 40 გოლის გატანა უბრალო საქმე არ არის. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ კორღალიძე ამპლუით ნახევარმცველი (!) გახლდათ. მოკლედ, იმ დროს ყველას გვეგონა, რომ მის მიერ ნაჩვენებ შედეგს დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ გააუმჯობესებდა. თუმცა, უკვე მომდევნო სეზონში საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში აბსოლუტური რეკორდი დაფიქსირდა - წყალტუბოს „სამგურალის" თავდამსხმელმა, 37 წლის (!) **მერაბ მეგრელაძემ** 31 შეხვედრაში 41 გოლი გაიტანა!



მერაბ მეგრელაძე

მეგრელაძე-უფროსი საერთოდაც მოვლენა გახლდათ ქართულ ფეხბურთში: მისთვის სულერთი იყო, საკავშირო პირველობის მეორე, პირველ და უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა, თუ საქართველოს ჩემპიონატში. აღარაფერს ვამბობთ... ასაკზე - თანაც, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ანალოგი არც გვახსენდება, 37-38 წლის თავდამსხმელი საკუთარი ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირი რომ გამხდარიყო. სხვათა შორის, სარეკორდო მაჩვენებელი უფრო მეტი იქნებოდა, ხობის „კოლხეთთან" ჩატარებული მატჩის შედეგი რომ არ გაუქმებულიყო - მერაბ მეგრელაძემ იმ მატჩში ორი გოლი გაიტანა. კიდევ ერთი არცთუ უმნიშვნელო ფაქტი: მერაბ მეგრელაძემ უახლოეს კონკურენტებს ძალიან დიდი სხვაობით გაუსწრო - ოთარ კორღალიძეს (უკვე გურჯაანის „ალაზანში" გამოდიოდა) და მიხეილ ჯიშკარიანს 23-23 გოლი ჰქონდათ გატანილი.

მომდევნო სეზონი მეგრელაძემ ახალ გუნდში, ზესტაფონის „მარგვეთში" დაიწყო და... კვლავაც საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ოღონდ, ამჯერად, უფრო „მოკრძალებული" შედეგი ჰქონდა - 31 შეხვედრაში 31 გოლი! ბარემ ასაკსაც შეგახსენებთ - ამ დროისთვის 38 წლის გახლდათ! სამაგიეროდ, უშუალო კონკურენტთან აღარ ჰქონდა დიდი სხვაობა - რუსთავის „მეტალურგის" კაპიტანმა **ვარლამ კილასონიამ** 25 გოლით (25 შეხვედრაში) ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილი დაიკავა.

ბომბარდირთა დავაში ყველაზე სკანდალური პაექრობა 1994-95 წლების სეზონი გამოდგა. უფრო ზუსტად, ჩემპიონატის ბოლო ტური ორმა კონკურენტმა, ერთ მატჩში გატანილი გოლებით საქართველოს კი არა, ალბათ, მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა! ჰო, ბოლო ტურის წინ ფოთის „კოლხეთის" ნახევარმცველს **გიორგი დარასელიას** 26 გოლი ჰქონდა გატანილი, ხოლო ქუთაისის „ტორპედოს" ფორვარდს **მამუკა ხუნდაძეს** - ერთით ნაკლები. და აი, ბოლო ტურში ამბები მოხდა, მოვლენების მსგავს განვითარებას, მართლაც, ვერავინ წარმოიდგენდა: დარასელიამ და ხუნდაძემ მეტოქეთა კარში... ცხრა-ცხრა გოლი გაიტანეს! რაღა თქმა უნდა, ეჭვი მაშინვე გაჩნდა, რომ ორივე მატჩში ყველაფერი „სუფთად" არ იყო: „კოლხეთმა" შინ წყალტუბოს „სამგურალს" მოუგო უცნაური ანგარიშით - 10:5, ხოლო „ტორპედომ" თერჯოლას „საპოვნელას" ცოტა „განსხვავებული" სხვაობით აჯობა - 11:4! ეგ კი არა, იმ დროს ჭორიც დადიოდა, ბომბარდირობის ერთ-ერთი კანდიდატი შეცვლილი იყო, მაგრამ რომ გაუგია, კონკურენტმა გადამასწროოო, ისევ უკან შებრუნებულა და გოლიც შეუგდია!..

რაღა თქმა უნდა, ასეთი რამ რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩენილიყო და ასეც მოხდა: პირადად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ნოდარ ახალკაცი-უფროსის** ბრძანებით, ორივე მატჩის შედეგიც გაუქმდა და შესაბამისად, დარასელიასა და ხუნდაძეს ის ცხრა-ცხრა გოლიც აღარ ჩაეთვალათ. თუმცა, საბოლოოდ, საუკეთესო ბომბარდირი მაინც გიორგი დარასელია გახდა - 26 მატჩში გატანილი 26 გოლით...

**(გაგრძელება მომდევნო ნომერში)**

**(გაგრძელება მომდევნო ნომერში)**

**გია ტუხაშვილი**



ოთარ კორღალიძე

| საუკეთესო ბომბარდირები | | |
|---|---|---|
| თარიღი | ფეხბურთელი | გოლი |
| 1990 | გია გურული (იბერია), მამუკა ფანცულაია (გორდა) | 23-23 |
| 1991 | ოთარ კორღალიძე (გურია) | 14 |
| 1991/92 | ოთარ კორღალიძე (გურია) | 40 |
| 1992/93 | მერაბ მეგრელაძე (სამგურალი) | 41 |
| 1993/94 | მერაბ მეგრელაძე (მარგვეთი) | 31 |
| 1994/95 | გიორგი დარასელია (კოლხეთი 1913) | 26 |
| 1995/96 | ზვიად ენდელაძე (მარგვეთი | 40 |
| 1996/97 | გიორგი დემეტრაძე (დინამო), დავით უჯმაჯურიძე (ბათუმი) | 26-26 |
| 1997/98 | ლევან ხომერიკი (დინამო) | 23 |
| 1998/99 | მიხეილ აშვეთია (დინამო) | 26 |
| 1999/00 | ზურაბ იონანიძე (ტორპედო) | 25 |
| 2000/01 | ზაზა ზირაქიშვილი (დინამო) | 21 |
| 2001/02 | სულიკო დავითაშვილი (მერანი 91, ლოკომოტივი) | 18 |
| 2002/03 | ზურაბ იონანიძე (ტორპედო) | 26 |
| 2003/04 | სულიკო დავითაშვილი (თბილისი/ტორპ.), რევაზ გოცირიძე (ვიტ ჯორ.) | 20-20 |
| 2004/05 | ლევან მელქაძე (დინამო) | 27 |
| 2005/06 | ჯაბა დვალი (სიონი/დინამო) | 21 |
| 2006/07 | სანდრო იაშვილი (დინამო) | 20 |
| 2007/08 | მიხეილ ხუციშვილი (დინამო) | 16 |
| 2008/09 | ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) | 20 |

ლეგიონი



რატი ალექსიძის (მარცხნივ) ეტომ თასი ვერ აიღო

# ასათიანმა უკრაინა დაასრულა

## ეტომ თასი ვერ ნახა

დასრულდა ვიშალიგა და მასთან ერთად **მალხაზ ასათიანის** უკრაინული კარიერაც. სეზონის განმავლობაში კიევის „დინამომ" ორჯერ ინათხოვრა მოსკოვის „ლოკომოტივისგან" ქართველი მცველი. ასათიანმა, რომელსაც ევროთასებზე გამოსვლის უფლება არ ჰქონდა, ქვეყნის ჩემპიონატში 11 მატჩი ითამაშა, მათ შორის გუშინ ბოლო ტურში „შახტართან". ეს შეხვედრა **იური სიომინის** გუნდმა 1:0 მოიგო, ასათიანმა შეუცვლელად ითამაშა. 44-ე წუთზე მისი შესრულებით, ცოტა არ იყოს, კურიოზული სიტუაციაა შეიქმნა - მალხაზმა საჯარიმოს გარედან, რატომღაც, საკუთარი კარისკენ გაისროლა, თუმცა კიეველთა მეკარემ სიფხიზლე გამოიჩინა. „დინამომ" ჩემპიონატი 79 ქულით დაასრულა და მეორეადგილოსან „შახტარს" საბოლოოდ 15 ქულით გაუსწრო.

**გიორგი ციმაკურიძის** (25 თამაში, 2 გოლი) „ზარიამ" ტურის სენსაცია მოახდინა, „დნიპრო" 2:0 დაამარცხა და ქართველთა გუნდი ევროთასების საგზურის გარეშე დატოვა. გიორგიმ 90 წუთი ითამაშა. „დნიპროს" განაცხადში ერთი ჩვენებურიც არ ყოფილა. „დნიპრო" 48 ქულით მე-6 ადგილს დასჯერდა, „ზარიამ" 31 ქულას მოუყარა თავი და ვიშალიგაში დარჩა (მე-13 ადგილი).

სიმფეროპოლის „ტავრიამ" 3:2 დაამარცხა „ილიჩევეცი", რომელიც სასწაულით გადაურჩა გავარდნას. მასპინძელთა ორივე ქართველი ლეგიონერი სათადარიგო იყო, თუმცა **ვასილ გიგიაძეს** (19 თამაში, 1 გოლი) 84-ე წუთიდან თამაშის საშუალება მიეცა (ერთხელ თამაშგარეში მოხვდა), **ლადო ბურდული** კი მოედანზე ვერ ვიხილეთ. „ტავრიამ" 37 ქულა დააგროვა და პირველობა მე-8 ადგილზე დაასრულა.

ლვოვის დერბიში „კარპატიმ" 2:1 დაამარცხა „ლვივი" და თანაქალაქელთა გუნდი ვიშალიგიდან გააგდო. **ალექსანდრე გურული** (22 თამაში, 1 გოლი) სათადარიგო იყო გამარჯვებულთა რიგებში, თუმცა უკვე 30-ე წუთზე ის თამაშში ჩაერთო. თამაშის მიწურულს გურული გააფრთხილეს. „კარპატი" 34 ქულით მე-9 ადგილზეა.

**ლაშა ჯაკობიას** (10 თამაში, 2 გოლი) „არსენალი" დონეცკში „მეტალურგს" დაუზავდა - 0:0. ზედიზედ ორ ტურში თავის გამოჩენის შემდეგ ქართველ ფორვარდს უგოლო დღე ჰქონდა, 72-ე წუთზე ის შეცვალეს. „არსენალმა" (32 ქულა) ჩემპიონატი მე-11 ადგილზე ჩაამთავრა.

უნგრეთის თასის საპასუხო მატჩში ქართველთა „დიორი ეტო" „ჰონვედს" ესტუმრა. პირველი მატჩი **დავით ოდიკაძის** და **რატი ალექსიძის** გუნდმა 1:0 წააგო. საპასუხო შეხვედრა დაძაბული გამოდგა, გუნდებმა 10-10 კაცით დაასრულეს მატჩი. ალექსიძე აქტიური იყო, ქართველთან უხეშობისთვის გააძევეს მოედნიდან მასპინძელთა ნახევარმცველი **ბენჟამინი**. „ეტომ" გოლის გატანა ვერ შეძლო და 7 ათასი ბუდაპეშტელის სასიხარულოდ უნგრეთის თასის მფლობელი „ჰონვედი" გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩების წინ — მეტოქეები

მოლდოვა

# მოლდოველთა რჩეულები საქართველოსთვის



იგორ დობროვოლსკი

5 ᲓᲐᲜᲘᲕᲜᲘᲡᲡ ჩვენი ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები მოლდოველებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან. მოდით, ჯერ მათ შემადგენლობებს გაეცანით და უფრო კონკრეტულ ამბებზე ქვემოთ ვილაპარაკოთ. მოლდოვის ეროვნული გუნდის თავკაცმა **იგორ დობროვოლსკიმ ექტორ კუპერის** ნაკრებთან 6 ივნისს გასამართი ამხანაგური მატჩისთვის 25 ფეხბურთელი შეარჩია. აი, ეს სიაც:

ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲔᲑᲘ - **ნიკოლაი კალანჩა** (ზიმბრუ), **სტანისლავ ნამაშკო** (შერიფი), **ევგენი მატიუგინი** (დაჩია);

ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ - **ალექსანდრ ეპურიანუ** (მოსკვა, რუსეთი), **სერგეი ლაშჩენკო** (ოლიმპიკი, აზერბაიჯანი), **ალექსეი სავინოვი** (ბაქო, აზერბაიჯანი), **ვიქტორ გოლოვატენკო** (ხიმკი, რუსეთი), **იგორ არმაში** (ჰამარბიუ, შვედეთი), **დმიტრი პოპოვიჩი** (დაჩია);

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ - **ევგენი ჩებოტარი** (ჩახლაული, რუმინეთი), **იგორ ციგირლიში** (ვენტსპილსი, ლატვია), **ალექსანდრ სუვოროვი, ანდრეი კორნეენკო** (ორივე შერიფი), **ვიტალი ბორდიანი** (მეტალისტი, უკრაინა), **ალექსანდრ ონიკე, ვიქტორ ბულატი** (ორივე დაჩია), **ვალერი ანდრონიკი** (ბოჰემიანსი, ჩეხეთი), **არტურ იონიცე** (ისკრა-სტალი), **სერგეი ნამაშკო** (ვოსტოკი, ყაზახეთი);

ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲔᲑᲘ - **იგორ ბუგაევი, დენის კალინკოვი** (ორივე აკადემია), **გეორგი ოვსიანიკოვი** (ოლიმპია), **ვიაჩესლავ სოფრონი** (ზიმბრუ), **სერგეი ალექსეევი, ვიტალი მანალიუ** (ორივე ისკრა-სტალი).

ალსანიშნავია, რომ „ისკრა-სტალის" ნახევარმცველმა **არტურ იონიცემ** ორივე ნაკრებიდან მიიღო გამოძახება და არ არის გამორიცხული, ორივე ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშოს. ყაზახური „ვოსტოკის" ნახევარმცველი **სერგეი ნამაშკო** ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ისევ ეროვნულშია. „ზიმბრუს" ფორვარდი **ვიაჩესლავ სოფრონი** კი ეროვნულში პირველად გამოიძახეს.

სანაკრებო დებიუტს ელის „დაჩიას" მცველი **სერგეი პოპოვიჩიც**. დობროვოლსკის სიაშია ასევე „შერიფის" ნახევარმცველი **ალექსანდრ სუვოროვი**, რომელიც მოლდოვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

რაც შეეხება 21-წლამდელთა ნაკრებს, ამ გუნდის თავკაცმა **სერგეი კირილიოვმა** მხოლოდ 17 ფეხბურთელს უხმო. ეტყობა, მას იმედი აქვს, რომ დობროვოლსკის 25-დან ერთ-ორ ფეხბურთელს დაიმატებს. კირილიოვის ჩამონათვალი ასეთია:

ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲔᲑᲘ - **სტეფან სტიკაჩი** (ტერეკი, რუსეთი), **ოლეგ ცუგულია** (ტირასპოლი);

ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ - **შტეფან კარაულიანი, დმიტრი ბერბინსკი** (ორივე ცსკა-რაპიდი), **ანდრეი ვერბეცკი** (ტირასპოლი), **იგორ ანდრონიკი** (ზიმბრუ), **დმიტრი ბოგდანი** (ისკრა-სტალი), **ალექსანდრ კიჩუკი** (აკადემია);

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ - **არტურ პატრაში** (გლორია ბუზაუ, რუმინეთი), **ალექსანდრ გროსუ** (ცსკა-რაპიდი), **ვასილი კარაუში** (აკადემია), **არტურ იონიცე** (ისკრა-სტალი), **ევგენი სიდორენკო, იონ დემერჯი** (აკადემია);

ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲔᲑᲘ - **იური ბონდარჩუკი, დმიტრი ვერნიშელი** (ორივე ტირასპოლი), **ალექსანდრ დედოვი** (ვენტსპილსი, ლატვია).

დაბოლოს, მოლდოველები თბილისში 4 ივნისს ჩამოფრინდებიან. ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი 5 ივნისს რუსთავის „ფოლადის" სტადიონზე 17:30 საათზე დაიწყება. მეორე დღეს კი ეროვნული გუნდების ამხანაგურ შეხვედრას „მიხეილ მესხის" სტადიონი უმასპინძლებს. მატჩი 19 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

ალბანეთი

# კუცემაც დაასახელა

ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲘᲡ შემდეგ საქართველოს ეროვნული გუნდი 10 ივნისს, ტირანის „ქემალ სტაფაზე", ალბანეთის ნაკრებთან გასვლით ამხანაგურ მატჩს გამართავს. მანამდე, 6 ივნისს, ალბანელები პორტუგალიასთან მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩს გამართავენ. სწორედ ამ შეხვედრაში შედგება „არწივების" ახალი მწვრთნელის, ხორვატ **იოსიპ კუცეს** დებიუტი. მან 27 ფეხბურთელს უხმო:

ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲔᲑᲘ - **ისლი ჰიდი** (კრივბასი, უკრაინა), **სამირ უიკანი** (პალერმო, იტალია), **ენეა კოლიჩი** (ირაკლისი, საბერძნეთი);

ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ - **დებატიკ კური, არმენდ დალკუ** (ორივე ვორსკლა, უკრაინა), **კრისტი ვანგელი** (არისი, საბერძნეთი), **ანდი ლილა** (ტირანა), **ელვინ ბექირი** (ვლაზნია), **ენდრი ვრაპი** (ელბასანი), **ეტმირ სეფა** (ტირანა);

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ - **ანსი აგოლი** (ტირანა), **ადმირ ტელი** (ყარაბახი, აზერბაიჯანი), **ლორიკ კანა** (მარსელი, საფრანგეთი), **ერვინ სკელა** (კოტბუსი, გერმანია), **ერვინ ბულკუ** (კრივბასი, უკრაინა), **გილმან ლიკა** (ჰაჯთეპე, თურქეთი), **იამირ ჰიკა** (მაინცი, გერმანია), **კლოდიან დურო** (ომონია, კვიპროსი), **ელის ბაკაი** (დინამო), **გეორგ მუზაკა** (ტირანა), **ემილიან ვილა** (ტეუტა), **მიგენ მემელი** (ტირანა);

ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲔᲑᲘ - **დორიან ბილიკბაში** (კრივბასსი, უკრაინა), **ჰამდი სალიჰი** (რიდი, ავსტრია), **ერიონ ბოგდანი** (კიევო, იტალია), **ედმონდ კაპლანი** (კარლსრუე, გერმანია), **ბესარტ ბერიშა** (ჰორსენსი, დანია).

**დავით ცაბაძე**




ინტერვიუ

**ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ** გვიან ღამით თემურ ქეცბაია პირეოსში ჩაფრინდა, გუშინ კი ჟურნალისტებმა ის პირველად ნახეს „ოლიმპიაკოსის" ოფისში. 41 წლის სპეციალისტს დრო ცოტა ჰქონდა, მაგრამ ჩვენი ბერძენი კოლეგების ცნობისმოყვარეობა მაინც დააკმაყოფილა და მათ კითხვებს უპასუხა. ამ ინტერვიუს აქვე გთავაზობთ, მანამდე კი ორ საყურადღებო ინფორმაციას მოგაწვდით იმაზე, რაც „ოლიმპიაკოსის" ახალ თავკაცს ეხება.

როგორც ირკვევა, გუშინ თემურ ქეცბაიას ახალ სამსახურში შეხვედრა ჰქონდა კლუბის პრეზიდენტ სოკრატის კოკალისთან და გენერალურ მენეჯერ იონ ხრისტოპულოსთან. საუბარი „ოლიმპიაკოსის" მომავალს ეხებოდა. ჩემპიონის მესვეურები ქეცბაიას დაჰპირდნენ, რომ მაქსიმუმ პარასკევისთვის წარუდგენენ იმ ფეხბურთელთა სიას, რომლებიც კლუბის ინტერესთა სფეროში არიან. გარდა ამისა, ქეცბაია „ოლიმპიაკოსთან" კონტრაქტს დღეს გააფორმებს, ხოლო ხვალ კლუბი პრეზენტაციასაც მოუწყობს.

ახლა კი დაპირებული ინტერვიუ თემურ ქეცბაიასთან...



თემურ ქეცბაია ათენის აეროპორტში

თემურ ქეცბაია

# მზად ვარ და არაფრის მეშინია!

**- უკვე „ოლიმპიაკოსის" მთავარი მწვრთნელი ხართ. რას გრძნობთ, რას განიცდით, რისი თქმა შეგიძლიათ ახლა?**

- ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს. უბრალოდ, ვიტყვი, რომ მოხარული ვარ ასეთი ნდობისთვის. ისიც კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა. ვიცი, ახალ პოსტზე სადებიუტო სეზონი ჩემთვის მძიმე იქნება. თუმცა ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ სასურველი შედეგების მისაღწევად და იმედი მაქვს, ამას შევძლებ კიდეც.

**- და მზად ხართ იმ დიდი პასუხისმგებლობის ასაღებად, რასაც „ოლიმპიაკოსის" მთავარი მწვრთნელობა ჰქვია?**

- დიახ, მზად ვარ. ასე რომ არ იყოს, „ოლიმპიაკოსის" შეთავაზებას არ დავთანხმდებოდი.

**- ჩემპიონთა ლიგის თითქმის დასრულებულ სეზონში „ოლიმპიაკოსი" ჯგუფურ ეტაპზე ვერ მოხვდა - თქვენმა „ანორთოსისმა" გამოთიშა ასპარეზობას. რა მიზნისთვის იბრძოლებს თქვენი გუნდი ყველაზე პოპულარული საკლუბო ტურნირის ახალ გათამაშებაში?**

- „ოლიმპიაკოსით" მინიმუმ იმდენს უნდა მივაღწიო ჩემპიონთა ლიგაში, რაც „ანორთოსისმა" ჩემი ხელმძღვანელობით შეძლო. იმედი მაქვს, გუნდს სათანადოდ დავაკომპლექტებთ, რათა მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ.

**- „ოლიმპიაკოსის" პრეზიდენტი სოკრატის კოკალისი თქვენ მიმართ სიმპათიას არ მალავს, „წარმატებული მწვრთნელი" გიწოდათ... მოკლედ, კოკალისი მხარს გიჭერთ. ეს დიდი ავანსია. საინტერესოა, ასეთ მოკლე დროში როგორ დაიმსახურეთ კოკალისისგან სიმპათია და მხარდაჭერა?**

- თუ როგორ დავიმსახურე, ამაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ზოგადად, კლუბის პრეზიდენტისგან ასეთი ნდობა და მხარდაჭერა ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. კოკალისმა იცის, რომ ახალ მწვრთნელს ყოველთვის სჭირდება მხარდაჭერა და ბედნიერი ვარ, რომ ამ მხარდაჭერას აშკარად ვგრძნობ. ახლა ისღა დამრჩენია, ავანსად გაცემული ნდობის გამართლებისთვის ვიზრუნო.

**- მდიდარი ტრადიციების მქონე ამბიციურ კლუბში მისვლას ზოგჯერ შიშიც ახლავს თან. ამ შიშს კი წარუმატებლობაც მოსდევს ხოლმე...**

- კარგად მესმის, რასაც გულისხმობთ. პირდაპირ გეტყვით, რომ არაფრის მეშინია. დიახ, „ოლიმპიაკოსი" მდიდარი წარსულის მქონე კლუბია, ბევრი ტიტული აქვს მოპოვებული და ლოგიკურია, რომ ამბიციებიც გააჩნია, მაგრამ გეუბნებით - არაფრის მეშინია, „ოლიმპიაკოსთან" ერთად ბევრ წარმატებას მივაღწევ.

**- ფეხბურთელობისას თქვენი მწვერვალი „ნიუკასლში" თამაში იყო. ალბათ, დამეთანხმებით, რომ მწვრთნელ ქეცბაიასთვის, ამ ეტაპზე, „ოლიმპიაკოსში" დანიშვნა ყველაზე დიდი მიღწევაა...**

- მართალი ხართ. ჯერჯერობით, ეს ჩემი სამწვრთნელო მწვერვალია, თუმცა ხაზს ვუსვამ - ჯერჯერობით. ახლა „ოლიმპიაკოსით" უნდა გავამდიდრო ჩემი სამწვრთნელო კარიერა, პლუს ამას, წარმატებები მოვუტანო გუნდს - სწორედ ეს არის ჩემი მიზანი.

**დავით ცაბაძე**

# ბიჭებს პოტენციალი დიდი აქვთ, მაგრამ განათლება...

« მე-3 გვერდიდან

**- ბევრს უჩნდება კითხვა - შეიძლება, ამ თაობის იმედი გვქონდეს?**

- საკმაოდ დიდი პოტენციალის ბავშვები არიან, მაგრამ უმრავლესობას განათლება აკლია. თუმცა შრომით ნაკლის გამოსწორება შეიძლება.

**- მოლდოველებთან შეხვედრისთვის სად მოემზადებით?**

- ნაკრები 31 მაისს შეიკრიბება და თბილისში, სასტუმრო „ბატესტაში" დაბინავდება, ვარჯიშები კი კარლო მჭედლიძის საფეხბურთო აკადემია „ოლიმპიკში" დავგეგმეთ.

**- უცხოეთში გაბნეული რამდენიმე ფეხბურთელის გამოცდაც გსურდათ.**

- მოლდოვიდან მოვიწვიე „ციურიხის" ფორვარდი გიორგი ივანიშვილი, „ფრაიბურგიდან" ნახევარმცველი დავით თარგამაძე და ასე შემდეგ. კვიპროსთან და ბელორუსთან კიევის „დინამოს" მცველი ლაშა თოთაძე ვნახე, მაგრამ კვლავ მოვიწვიე.

**- რუსეთის პრემიერლიგელი „მოსკვას" მცველი გია გრიგალავა ითამაშებს?**

- დიახ, მისი ნახვა ძალიან მსურს და ოფიციალური მიწვევა გავუგზავნე. ახლა ყველაფერი გრიგალავაზეა დამოკიდებული, თუ სურს, რუსეთიდან ფეხითაც ჩამოვა.



ელვინ მამედოვი

ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ, **კახა ცხადაძემ** 28 მაისის შეხვედრისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა სია გაგვაცნო:

ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲔᲑᲘ - **თორნიკე ზარქუა** (ბაია), **გიორგი ლოსაბერიძე** (დინამო 2);

ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ - **გიორგი გეთიაშვილი, ლაშა ჩადუნელი, ნიკა ჯიშკარიანი** (სამივე დინამო 2), **ალექსი იობაშვილი** (მარტვილი), **ბექა გიორგაძე** (მგლები), **მურმან ქურასბედიანი** (სპარტაკი ცხინვალი), **გიორგი ხატიაშვილი** (ამერი), **ლაშა ცუცქირიძე** (მალაროელი);

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ - **ამირან გოგიტიძე, ბორის მახარაძე** (ორივე ბათუმი), **ბექა იოსელიანი** (ვიტ ჯორჯია), **გიორგი განუგრავა** (უგუნდო), **ვალერი ბოლქვაძე** (დინამო), **გიორგი ჯანელიძე, დავით მაისაშვილი, მიხეილ ხოკერაშვილი** (სამივე ვიტ ჯორჯია), **გიორგი კბილცეცხლაშვილი** (ს/აკადემია ოლიმპი);

ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲔᲑᲘ - **გია ჭედია** (მგლები), **ილია პავლიაშვილი** (გაგრა), **ელვინ მამედოვი** (ნეფთჩი 2), **ზვიად ქანთარია, ირაკლი სიხარულიძე** (დინამო 2).

მოთამაშეთა შორის, ბევრია გულშემატკივრისთვის უცნობი, მაგრამ ბაქოს „ნეფთჩი 2-ის" თავდამსხმელ **მამედოვის** გამოძახება ნამდვილი სიურპრიზი აღმოჩნდა. ცხადაძის თქმით, ის თბილისშია დაბადებული და საქართველოს მოქალაქე გახლავთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართველები აზერბაიჯანში

# დარჩებიან ქართველები ჩემპიონებთან?

„ბაქი", რომელშიც სამი ქართველი ლეგიონერი - ამირან მუჯირი, გიორგი დემეტრაძე და გიორგი ადამია თამაშობს, აზერბაიჯანის ჩემპიონი გახდა. საგულისხმოა, რომ ორი აზერბაიჯანული გამოცემის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად „ბაქის" ქართველი ნახევარმცველი ამირან მუჯირი დაასახელეს. გარდა ამისა, მუჯირი, „სიმურგის" მცველ კახა ჩხეტიანთან ერთად, ლიგის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. და კიდევ ერთი - მუჯირს „ბაქისთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და, შესაძლოა, კლუბი შეიცვალოს. აგრეთვე, ჩვენი ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, მისამართი შეიცვალოს ამავე გუნდის ფორვარდმა გიორგი დემეტრაძემაც. ბუნებრივია, ჩვენებურთა ამბით დავინტერესდით და ბაქოში მუჯირსა და დემეტრაძეს დავუკავშირდით. სამწუხაროდ, გიორგი ადამიასთან გასაუბრება ვერ მოხერხდა...



ამირან მუჯირი



გიორგი დემეტრაძე

## ამირან მუჯირი
## ტიტულების შეგროვება სიბერეში დავიწყე

- უზომოდ ბედნიერები ვართ - მეც, „ბაქის" ქართველებიც და ყველა ჩემი თანაკლუბელი. ჩემპიონობას ნამდვილად ვიმსახურებდით და ღმერთმაც ასე ინება.

**- ასაკი თავისას შვრება, მაგრამ მაინც გამორჩეული ხარ. „მეორე სუნთქვა" გაგეხსნა?**

- (იცინის) ასე გამოდის... ამ სიბერეში ტიტულების შეგროვება დავიწყე... ასაკს არ ვეპუები, ჯერ კიდევ შემიძლია მაღალ დონეზე თამაში და მინდა, დარჩენილი პერიოდი მაქსიმალურად გამოვიყენო, მით უმეტეს, ისედაც ხანმოკლეა ფეხბურთელის კარიერა... ასე რომ, მომავალზეც ვფიქრობ...

**- ორმა პოპულარულმა გამოცემამ ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელა, ამას გარდა, ლიგის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდი. ეს რის ხარჯზე შეძელი?**

- მობილიზების ხარჯზე. საკუთარ თავს ყოველ თამაშში ვუმტკიცებ, რომ სულ უფრო მეტი შემიძლია. არ მიყვარს ერთ ადგილზე გაჩერება, მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდები. ნამითაც რომ მოვდუნდე, კარგად ვიცი, იქიდან დაიწყება ჩემი უკუსვლა. არ მინდა, ეს მომენტი დადგეს... ბუნებრივია, თანაკლუბელებმაც დიდი როლი შეიტანეს ჩემს გამორჩეულობაში. ფეხბურთელები და მწვრთნელები რომ არ დამხმარებოდნენ, მარტო ამდენს ვერ მივაღწევდი.

**- სულ რამდენი გოლი გაიტანე?**

- 12. ამასთან, 7 საგოლე პასიც გავაკეთე... თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და, ფაქტია - ამ 12 გოლიდან ნახევარზე მეტი მნიშვნელოვანი იყო, გადამწყვეტი და თუნდაც ქულის მომტანი...

**- აზერბაიჯანის პირველობაზე უკვე მეორე სეზონი ჩაამთავრე. ჩემპიონატის დონეს რაიმე ცვლილებას თუ ატყობ?**

- აშკარად, თანაც უკეთესობისკენ. და იცით, რატომ? ლეგიონერებზე ლიმიტი მოხსნეს, გუნდებს უკვე შეუძლიათ, იმდენი ლეგიონერი ათამაშონ, რამდენიც უნდათ. მათი გამოცდილების ხარჯზე ადგილობრივებიც მეტს სწავლობენ, ჩემპიონატიც უფრო დაძაბული და სანახაობრივად მდიდარია...

**- ჩემპიონები კი გახდით, მაგრამ ბოლოს წაიფორხილეთ...**

- დიახ, ქულები დავკარგეთ, მაგრამ „ყარაბახმა" გვიშველა და „ინტერს" მაინც გავუსწარით.

**- „ბაქისთან" კონტრაქტი დაგიმთავრდა. რას აპირებ?**

- ჩემი გაშვება არ უნდათ და უკვე ჩამომიგდეს კიდეც სიტყვა კონტრაქტის გაგრძელებაზე. უარს არ ვარ, დავისვენებ, ჩამოვალ და დავილაპარაკოთ-მეთქი, ვუთხარი.

**- ბუნებრივია, შენს ასაკში ფინანსური პირობები ბევრს ნიშნავს...**

- დამღლელი სეზონის შემდეგ ჯერ არაფერზე ვფიქრობ. ახლა მხოლოდ დასვენება მინდა.

**- ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელი ხარ და ბუნებრივია, სხვა ვარიანტებიც გექნება...**

- კი, უამისობას ნამდვილად არ ვუჩივი, არაერთი წინადადება მაქვს და ვნახოთ, რა და როგორ იქნება. მაგრამ ჯერ „ბაქის" შეთავაზებას მოვისმენ, ავწონ-დავწონი და ამის მიხედვით მივიღებ გადაწყვეტილებას.

**- მსურველთა რიცხვში მხოლოდ აზერბაიჯანული კლუბები არიან?**

- არა, ბულგარეთიდანაც დამიკავშირდნენ.

**- შენი ყოფილი კლუბები? „მარეკი" თუ „ლევსკი"?**

- არა, ეს გუნდები ცხრილის შუაში არიან... ახლა დაკონკრეტებას ნუ მომთხოვთ. ალბათ, გესმით ჩემი.

**- საქართველოში ბევრი მიიჩნევს, რომ ეროვნულ ნაკრებს ჯერ კიდევ გამოადგებოდი...**

- თუ გამომიძახებენ, ჩამოვალ და დიდი სიამოვნებითაც ვითამაშებ. ეს ჩემთვის დამატებითი სტიმული იქნება. ისიც მაკვირვებს, გიორგი დემეტრაძე ნაკრების გაფართოებულ სიაშიც რომ ვერ ხვდება, მისი გამოყენებაც შეიძლებოდა, იმავეს ვიტყოდი გიორგი ადამიაზეც... ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ჩემი თანაკლუბელები რომ არიან, იმიტომ ვამბობ ამას, ნამდვილად ასე ვფიქრობ, რომ ისინი გამოადგებიან ეროვნულს გუნდს.

## გიორგი დემეტრაძე
## ამდენი ქართველი ვართ აზერბაიჯანში და ერთ-ორს მაინც ვერ შეარჩევს?

- მადლობა მოლოცვისთვის. უკე მესამე ქვეყნის ჩემპიონი გავხდი. თბილისის „დინამოს" გარდა, ეს ტიტული კიევის „დინამოშიც" მაქვს მოპოვებული. შევეცდები, ოქროს მედლების კოლექცია კიდევ უფრო გავამდიდრო...

**- ძალზე ცოტა მატჩში მოგიწია თამაშმა. ამას რით ახსნი?**

- ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში ტრავმა მივიღე, მაგრამ ბოლომდე მორჩენა არ ვაცალე და ნაადრევად დავიწყე ვარჯიში. ამიტომაც იყო, რომ გამიმიზეზდა და საკმაო პერიოდიც გამიცდა. გარდა ამისა, გუნდში კონკურენციაა, თუმცა ამის არასდროს შემშინებია. ვიდრე ფორმაში შევიდოდი, ამ დროს ჩემი თანაგუნდელები ჩინებულ კონდიციებში იყვნენ და რატომ შეეცვლიდა მწვრთნელი შემადგენლობას? 2 გოლი ჩემპიონატში გავიტანე, 3 - თასის გათამაშებაში. მართალია, დუბლი გვინდოდა და თასისთვისაც ვიბრძოდით, მაგრამ ორ ფრონტზე ბრძოლას ვერ გავწვდით.

**- მუჯირისგან განსხვავებით, „ბაქისთან" კონტრაქტი არ გიმთავრდება, მაგრამ, როგორც გავიგეთ, წინადადებები გქონია...**

- კი, მაქვს და ამას არც ვმალავ. თუმცა ჯერ არ ვიცი, წავალ თუ დავრჩები. „ბაქის" ფეხბურთელი ვარ და ჯერჯერობით, ამ გუნდის წარმატებებზე ვფიქრობ, გაქცევაზე არ ვარ. 10 ივნისს ბაქოში ვიკრიბებით და ჩემპიონთა ლიგისთვის უნდა დავიწყოთ მზადება, მანამდე კი შვებულება გვაქვს და ცოტას დავისვენებ.

**- ცნობილია, რომ აზერბაიჯანული კლუბების გარდა, უკრაინიდანაც დაგიკავშირდნენ...**

- უკრაინიდანაც და რუსეთიდანაც... სხვათა შორის, გერმანიის ვარიანტიც მაქვს... ვნახოთ, „მეორე სუნთქვას" ვგრძნობ... აგერ, ამირან მუჯირი 35 წლისაა და არა მარტო ჩვენს კლუბში, მთელ ჩემპიონატში საუკეთესო იყო. კაცი დაფრინავს და მე კი ჯერ 33 წლის ვარ, ასე რომ... ადამიაც ჩინებული ფეხბურთელია, მაგრამ ვაღიარებ - მუჯირი მართლაც საუკეთესო იყო. ჩამოვიდეს ექტორ კუპერი ან მისი თანაშემწე და ნახონ მუჯირის თამაში, საკუთარ თავზე ხომ არ ვამბობ? დაუძახონ და ნახონ, თუ არ გამოადგებათ... ან თუნდაც ადამია, ისიც საჭირო ფეხბურთელია... ვიცი, კუპერი საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ესწრება, მაგრამ შორეულ უცხოეთში თუ ვერ ახერხებს წასვლას, ბაქო აქვეა და ჩამოვიდეს. ამდენი ქართველი ვართ აზერბაიჯანში და როგორ დავიჯერო, რომ მწვრთნელი ერთ-ორს მაინც ვერ შეარჩევს?!

**- მუჯირმა შენზეც გვითხრა, დემეტრაძის გამოყენებაც შეიძლებაო...**

- ამ ეტაპზე არა, მაგრამ როცა სტაბილურად ვთამაშობ და ფორმაში ვარ, რატომ არ უნდა მქონდეს ნაკრებში თამაშის პრეტენზია? იცით, რაზე მწყდება გული? ყველა ამას ამბობს - ნაკრებში მაღალი კლასის ფეხბურთელების ნაკლებობააო და ამ დროს, ასათიანს, დათო მუჯირს, ცქიტიშვილს, ხიზანეიშვილს, გოგუას, ამისულაშვილს... ეროვნულ გუნდში არ იძახებენ. ამიტომაცაა, ნაკრებს დღემდე ერთი თამაშიც რომ არ მოუგია... ადრე, შესარჩევ ციკლში მინიმუმ ერთი გამონათება მაინც გვქონდა ხოლმე, ახლა კი... ძალიან მტკენს გულს, რაც ხდება.

**- რაში ხედავ გამოსავალს?**

- ეს ფეხბურთელები რომ ჩამოვთვალე, მათი იგნორირების ფუფუნება ახლა ნამდვილად არ გვაქვს... ის ახალგაზრდა მოთამაშეები კი, რომელთაც ძირითად შემადგენლობაში ანდობენ ადგილს, სწორედ გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით უნდა გაიზარდონ. თავის დროზე, ასე გავიზარდეთ მე, მიშა აშვეთია და კიდევ სხვები... ჩვენ ხომ არველაძეების, ქინქლაძის, ნემსაძის, ყაველაშვილის, ჯამარაულისა და ქეცბაიას გვერდით ვთამაშობდით...

**დავით ცაბაძე**

# ფეხბურთი მიტინგებს ხომ არ დავამთხვიოთ?

## ხუთი ფაქტორი, თუ რატომ ღირს ფეხბურთის პოლიტიზაცია

გუშინ მთელმა საქართველომ იხილა ეროვნულ სტადიონზე შეკრებილი ოპოზიციის მომხრეთა მიტინგი - ხალხმა ტრიბუნები პირთამდე შეავსო. სიმართლე გითხრათ, გული დამწყდა. ბოლო 10 წლის განმავლობაში მსგავსი რამ, მგონი, პირველად მოხდა. 2006 წლის 2 სექტემბერს საფრანგეთის ნაკრებთან მატჩზე დაახლოებით 50 ათასი მაყურებელი მოვიდა, ეს იყო და ეს. XX საუკუნეში კი ეროვნულზე ანშლაგი (და მეტი) 1995 წელს გვახსენდება, როცა საქართველომ გერმანიას უმასპინძლა.

გუშინ პოზიტიური მომენტი იყო ის, რომ ძლივს ვნახეთ სავსე სტადიონი. თუკი აღრე ხალხი მესხის, მეტრეველის, ბასას, პაიჭაძეს, გუცაევს, შენგელიას, ყიფიანს სკანდირებდა, გუშინ ფეხბურთელები არავის ახსოვდა.

უცებ წარმოვიდგინე, სტადიონის გასასვლელში ადამიანთა ჯგუფი რომ გამოჩენილიყო მაისურებზე წარწერით - „საქართველოს ნაკრები!", ამას რა რეაქცია მოჰყვებოდა? კიდევ კარგი, არ გამოჩნდნენ, თორემ იქ სტვენა ატყდებოდა, მტრისას...

თუმცა მაინც შეიძლება ოპოზიციამ და ქართულმა ფეხბურთმა პური ერთად ჭამონ. აი, მაგალითად, გენიალური აზრი: მეგობარი ფეხბურთელი დამიკავშირდა და ასეთი იდეა წამოაყენა - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და პროფლიგამ ოპოზიციასთან უნდა ითანამშრომლონო. რატომ-მეთქი? - ვკითხე. რატომ და, სტადიონს მხოლოდ ასე თუ შევავსებთო, მიპასუხა.

ასეთ თანამშრომლობას ქართულ ფეხბურთზე დადებითი ზემოქმედება შეუძლია. კონკრეტულად ვილაპარაკოთ:

1. შეთანხმება გახდება იმის გარანტი, რომ სტადიონი მუდმივად შეივსება და პირდაპირი რეპორტაჟებიც გადაიცემა;

2. ამდენი ხალხის თვალწინ თამაშებს ველარ ჩააწყობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში „სირცხვილის დერეფნები" არ ასცდებათ;

3. კიდევ ერთი სიკეთე ის იქნება, რომ ამდენი ხალხის დანახვისას ფეხბურთელები თავს ფეხბურთელებად იგრძნობენ;

4. მიხვდებიან, რომ ფეხბურთს ხალხისთვის თამაშობენ და არა - მხოლოდ ხელფასებისთვის, ოდნავ მეტს მოინდომებენ და უილაჯოდ აღარ გამოჩნდებოდნენ. ალბათ, ოდნავ ნაკლები ანგარიშით წააგებენ უცხოურ კლუბებთან თუ ნაკრებებთან;

5. მთავარი არ დაგვავიწყდეს: სტადიონზე შესასვლელი ბილეთის ფასი 20 თეთრიც რომ გავხადოთ, კლუბებსა და ფედერაციას სოლიდური შემოსავალიც გაუჩნდებათ.

მოკლედ, უნდა მივხედოთ ამ საშვილიშვილო საქმეს და ქართულ ფეხბურთსაც ეშველება. თორემ, ეს ჩვენი ცოდვით სავსე ნაკრებები და გუნდები სავსე სტადიონს კიდევ დიდხანს ვერ ეღირსებიან და კვლავაც ასიოდე ნაცნობ-მეგობრის, ნათესავისა თუ ჟურნალისტის ამარა დარჩებიან.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერი

# მოურინიომ კონტრაქტი გააგრძელა

## კვარეშმა და კრესპო ჯენოაში

ბოლო დღეებია, იტალიური პრესა **ჟოზე მოურინიოს** საკითხით აქტიურად სპეკულირებს. მას შემდეგ, რაც **კარლო ანჩელოტის** „ჩელსიში" გადასვლის საკითხი ფაქტობრივად გამოირიცხა, დაირხა ხმა, რომ არისტოკრატები ჟოზეს გადაბირებაზე გადაერთვნენ. მოურინიო „ჩელსის" გულშემატკივრებს ჯერაც არ დავიწყებიათ და მისი დაბრუნება ძალიან სურთ. სულ თუ არაფერი, პორტუგალიელმა ორჯერ გახადა ლონდონური კლუბი ქვეყნის ჩემპიონი. კიდევ უფრო ხშირი ინტენსივობით საუბრობენ მოურინიოს მადრიდში გადაბარგებაზე, სადაც მას თითქოსდა „რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტი ელოდება. გუშინ, „გაძეტა დელო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოურინიომ „ინტერთან" ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და ამით, სპეკულაციებს წერტილი დაუსვა. ავტორიტეტული გამოცემა გვაუწყებს, რომ პორტუგალიელის კონტრაქტი 2012 წლამდეა გათვლილი და გაუმჯობესებული პირობებით გახლავთ შედგენილი. მართალია, ფინანსური მხარე არ ხმაურდება, მაგრამ გამოჟონილი ინფორმაციით, პირენეელი წელიწადში დაახლოებით 10 მილიონ ევროს აიღებს.

მწვრთნელთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებით ძალიან გახარებულია **მასიმო მორატი** და გუნდის გეგმებზე პრესასთან საუბრობს. პრეზიდენტის თქმით, მომავალ სეზონში გუნდის მიზანი დუბლის შესრულება იქნება. იტალიის ჩემპიონატი კვლავ რჩება პრიორიტეტად, მაგრამ არანაკლები ფასი აქვს ჩემპიონთა ლიგასაც. მეტიც, ევროპის უპრესტიჟულესი თასის მოპოვება ღირსების საკითხიაო, დასძინა მორატიმ. სენიორ მასიმომ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მოურინიოს მუშაობით კმაყოფილია და მის მიმართ სასაყვედურო არაფერი აქვს. სწორედ პორტუგალიელი სპეციალისტის ეიმედება ყველაზე მეტად პრეზიდენტს, რომელიც აგერ უკვე ათეული წლებია ელის მისი გუნდის მიერ ჩემპიონთა თასის ალმართვას.

იტალიური პრესა კი „ინტერის" სატრანსფერო გეგმებზე ლაპარაკობს. „კორიერეს" ცნობით, უახლოეს დღეებში მილანური გრანდი „ტვენტეს" ავსტრიელ ფეხბურთელს გაიფორმებს. ლაპარაკია **მარკო არნაუტოვიჩზე**, ვინაც ამ სეზონში 28 შეხვედრაში 12 გოლის გატანა მოახერხა. მარკო ჰოლანდიური კლუბის ლიდერად ჩამოყალიბდა და რამდენიმე ევროპული გრანდის ყურადღების ცენტრში მოექცა. ყველაზე აქტიურად მის გადაბირებას „ჩელსი" ცდილობს და ფეხბურთელის სანაცვლოდ მზადაა 15 მილიონი ევროც კი გადაიხადოს. თუმცა, „ნერაძურის" მესვეურები უფრო დიდი თანხის გაღებას აპირებენ და ავსტრიელიც, სავარაუდოდ, მილანს მიაშურებს. კიდევ ორი ფეხბურთელი, რომელთა „ინტერში" გადაბარგება ფაქტობრივად გადაწყვეტილია, გაცილებით სახელოვნები არიან. **დიეგო მილიტო** და **ტიაგო მოტა** გენუიდან მილანში წყვილად გაემგზავრებიან და კარიერას „ნერაძურიში" გააგრძელებენ. იმავე „კორიერეს" ცნობით, ეს ინფორმაცია სეზონის დასრულებისთანავე დადასტურდება და ფეხბურთელთა ოფიციალური წარდგინებაც მოხდება. თუმცა, რა დადასტურება სჭირდება, როდესაც ამას უკვე აღარც „ჯენოას" პრეზიდენტი მალავს. **ენრიკო პრეციოზი** პრესას გაესაუბრა და წამსვლელთა გარდა, მომსვლელთა შესახებაც გაგვარკვია:

„მილიტოს შენარჩუნება არ გამოვა, რადგან ფეხბურთელს თავად სურს გუნდიდან წასვლა. მის იძულების წესით დაკავების აზრს უბრალოდ ვერ ვხედავ. მინდა გითხრათ ისიც, რომ დიეგო „ინტერში" გააგრძელებს კარიერას. „ნერაძურიში" გადავა გუნდის კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი, ტიაგო მოტაც. მესმის იმ გულშემატკივრების, რომლებიც ამის გამო იმედგაცრუებულნი არიან, მაგრამ ჩვენ გვექნება შევსებაც და თანაც, საკმაოდ სოლიდური. გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან ჩვენს გუნდში რიკარდო კვარეშმა ითამაშებს. პორტუგალიელი სანახევროდ გამოვისყიდეთ და ამაში 10 მილიონი ევრო გადავიხადეთ. კვარეშმა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია და მჯერა, ჩვენს გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს. კვარეშმას გადმობირების საკითხმა ძალიან გაახარა ჩვენი მწვრთნელიც, ჯანპიერო გასპერინი მასზე დიდ იმედებს ამყარებს. ჯერჯერობით, ხელშეკრულება არ გაგვიფორმებია და მის პირობებზე ვერაფერს გეტყვით. თუმცა, შეთანხმება მიღწეულია და რიკარდოს „ჯენოაში" გადმოსვლა გადაწყვეტილი. მაქვს კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლე. დიდია შანსი, ამ ზაფხულს ერნან კრესპოსაც გავუფორმოთ ხელშეკრულება. არგენტინელს „ინტერთან" ხელშეკრულება სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება და მისი აყვანა თავისუფალი აგენტის სტატუსით იქნება შესაძლებელი. ასე რომ, არ გეგონოთ, მომავალ სეზონში გუნდი დასუსტდება, პირიქით, ჩვენ გაძლიერებაზე ვფიქრობთ და კიდევ რამდენიმე მაღალკვალიფიციურ ფეხბურთელზე გვიჭირავს თვალი".

მოკლედ, „ინტერიც" და „ჯენოაც" გაძლიერებაზე ფიქრობენ, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მილიტო გენუურ კლუბს ძალიან დააკლდება. მისი შეცვლა ნამდვილად გაუჭირდება უკვე ასაკოვან **ერნან კრესპოს**.

**ლაშა ნიკლაური**

ტრანსფერი

# გომესი ბაიერნში გადავიდა!

## მიუნხენელების მომდევნო სამიზნე მანუელ ნოიერია

*„ორჯერ შევძელით ის, რომ მარიო გომესი შეგვეჩერებინა. ახლა კი, ეს აღარ გამოგვივიდა. მარიომ წასვლა გადაწყვიტა, რის გამოც გული გვწყდება,"* - ეს სიტყვები „შტუტგარტის" სპორტულ დირექტორ **ჰორსტ ჰელდტს** ეკუთვნის. ის, რასაც გუშინდელ ნომერში ჯერ კიდევ ვარაუდის დონეზე ვიუწყებოდით, დღეს ოფიციალურად დადასტურებული ტრანსფერია: გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი **მარიო გომესი** კარიერას „ბაიერნში" გააგრძელებს. ფორვარდი რეკორდმაისტერში 2013 წლამდე დარჩება. *„ბედნიერები ვართ, რომ მარიომ მიუნხენში გადმოსვლა გადაწყვიტა!"* - უთხრა გუშინ ბავარიული გრანდის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** „კიკერს".

*„შტუტგარტში" შესანიშნავი წლები გავატარე და ყველაფრისთვის მადლობელი ვარ, რაც ამ გუნდმა მომცა. ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გამიჭირდა და ვიცი, რომ გულშემატკივრები ძალიან გამინაწყენდებიან, მიუნხენში მივდივარ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჩემს გოლებს ყოველთვის სიამოვნებით გაიხსენებენ,"* - ეს კი გომესის სიტყვებია.



მარიო გომესი მომავალ სეზონში ბაიერნში ითამაშებს

რუმენიგე გომესს უმაღლესი კლასის თავდამსხმელს უწოდებს და ამბობს, მარიო გერმანიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდიაო. ამ სეზონში გომესმა 24 გოლის გატანა შეძლო და ბომბარდირთა დავაში მხოლოდ „ვოლფსბურგის" შესანიშნავ წყვილს ჩამორჩა - **გრაფიტეს** (28 გოლი) და **ჯეკოს** (26).

სუპერმარიო „ბაიერნთან" კონტრაქტს აზიიდან დაბრუნების შემდეგ გააფორმებს, სადაც ის გერმანიის ნაკრებს მიჰყვება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, რეკორდმაისტერი „შტუტგარტს" 30 მილიონ ევროს გადაუხდის. გამოდის, რომ გომესი ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი გახდება. ამრიგად, „შტუტგარტის" თავდამსხმელი „ბაიერნისთვის" რიგით მეხუთე ახალწვეულია. აქამდე თავიანთი ბედი მიუნხენურ კლუბს უკვე დაუკავშირეს „ზენიტის" საყრდენმა ნახევარმცველმა **ანატოლი ტიმოშჩუკმა** (11 მილიონი), „ჰამბურგის" ფორვარდმა **ივიცა ოლიჩმა**, მიონხენგლადბახის „ბორუსიის" ნახევარმცველმა **ალექსანდერ ბაუმიოჰანმა** და „კარლსრუეს" მარჯვენა მცველმა **ანდრეას გიორლიტცმა**, რომელიც ბადენურ კლუბში არენდის წესით თამაშობდა.

ამიერიდან, მიუნხენური კლუბის შეფები ახალი მეკარის შეძენაზე იწყებენ ზრუნვას და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ნომერ პირველი კანდიდატი „შალკეს" მეკარე **მანუელ ნოიერია**. „ბილდის" ინფორმაციით, „ბაიერნის" ბოსები უკვე დაუკავშირდნენ გელზენკირხენელ კოლეგებს და მათთან პირველი მოლაპარაკება გამართეს. თუმცა გაირკვა, რომ გელზენკირხენული კლუბის ახალი მწვრთნელი და მენეჯერი **ფელიქს მაგათი** ნოიერის გაშვების კატეგორიული წინააღმდეგია. შესაბამისად, გადაწყვეტილია, რომ **მიხაელ რენზინგი** „ბაიერნს" დატოვებს. ბავარიელებმა ზამთარში „ლევერკუზენს" **ტონი კროოსი** ათხოვეს და როგორც გაირკვა, ეს უკანასკნელი მიუნხენში ჯერ არ დაბრუნდება და „ლევერკუზენში" კიდევ მინიმუმ ერთ სეზონს გაატარებს. რაკი გომესი მიუნხენში მიდის, ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ იტალიელი გოლეადორი **ლუკა ტონი** რეკორდმაისტერს დაემშვიდობება.

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი



# იუვემ დიეგო გაიფორმა

გუშინ, ბრემენის „ვერდერის" ბრაზილიელმა ფლეიმეიქერმა **დიეგომ** ტურინის „იუვენტუსთან" ხელშეკრულება გააფორმა. ამრიგად, უკვე ოფიციალურად დადასტურდა, რომ სამხრეთამერიკელი მომავალი სეზონიდან „იუვეს" ღირსებას დაიცავს. იქამდე კი დიეგომ კიდევ ერთი შეხვედრა უნდა გამართოს „ვერდერის" შემადგენლობაში და გერმანელ გულშემატკივარს გამოეთხოვოს. იტალიური პრესა კონტრაქტის პირობებზე არ საუბრობს – ჯერჯერობით არც ის ვიცით, რამდენწლიანია ხელშეკრულება და არც ის, ყოველწლიურად რამდენს მიიღებს გასამრჯელოდ ბრაზილიელი შუახაზელი. სამაგიეროდ, ცნობილია ის, რომ „ვეკია სენიორას" აღნიშნული ტრანსფერი 24.5 მილიონი ევრო დაუჯდება. ტურინელები თანხას ნაწილ-ნაწილ გადაიხდიან. თავიდან 14 მილიონის გაღება მოუწევთ, შემდეგ კი სპეციალურად შედგენილი გრაფიკით იმოქმედებენ. გუშინვე, დიეგოს ტურინული „ტუტო სპორტი" შეეხმიანა და კომენტარი ჩამოართვა:

*„არ დავმალავ, თავს უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევ. ყოველთვის მსურდა ვყოფილიყავი ისეთი დიადი გუნდის ნაწილი, როგორიც „იუვენტუსია". იტალიაში თამაში დიდი გამოწვევაა და ვეცდები, ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე წარმოვაჩინო. „იუვენტუსმა" ბოლო წლებში ბევრი სირთულე გადაიტანა და არ მიკვირს, რომ ამ სეზონში უტიტულოდ დარჩა. დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში გაცილებით ძლიერი გუნდი გვეყოლება და დიდ მიზნებს შევეჭიდებით. აქვე, მინდა მადლობა გადავუხადო „ვერდერის" გულშემატკივრებს, რომლებიც ყოველთვის გვერდში მედგნენ და გუნდის გამოცვლის გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდნენ. 30 მაისს ლევერკუზენის „ბაიერთან" თასის ფინალი გვაქვს სათამაშო და დღეს ჩემი ყურადღება ამ პაექრობისკენ არის მიმართული. მინდა, ბრემენს გამარჯვებულის რანგში დავემშვიდობო".*

**ლაშა ნიკლაური**

ჰამბურგი

# იოლი აიაქსში მიდის!

## ვინ ჩაწვრთნის ჰამბურგს? პირველი კანდიდატი ლაბადიაა

გერმანული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, „ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელი **მარტინ იოლი** ამსტერდამის „აიაქსის" ხელმძღვანელებს შეუთანხმდა და უახლოეს დღეებში „ჰამბურგს" დატოვებს. ჩრდილოგერმანული კლუბის შეფებს ეს ამბავი ძალიან არ გაჰკვირვებიათ, რადგან თითქმის შეგუებულები იყვნენ იმ ფაქტს, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელი წავიდოდა.

„კიკერის" ინფორმაციით, „ჰამბურგში" იოლის შემცვლელად პირველ რიგში **ბრუნო ლაბადია** მოიაზრება, რომელიც „ლევერკუზენის" მთავარი მწვრთნელია, მაგრამ ამ გუნდის ხელმძღვანელები მის გაშვებაზე უარს არ იტყოდნენ. ლაბადიას გარდა, განიხილება **მირკო სლომკას** კანდიდატურაც.

ჩვენი გერმანელი და ჰოლანდიელი კოლეგების ცნობით, იოლი „აიაქსთან" სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს, „ჰამბურგს" კი ახალი სპეციალისტის ძებნა მოუწევს - ზუსტად ისე, როგორც ერთი წლის წინათ, როცა „ჰამბურგი" **ჰუუბ სტევენსმა** თავისი სურვილით დატოვა. აქვე გეტყვით, რომ „ჰამბურგის" ხელმძღვანელები სერიოზულად ფიქრობენ „ბაიერნის" ნახევარმცველის, **ტიმ ბოროვსკის** შეძენაზე, რომელიც რეკორდმაისტერში სათადარიგოთა სკამს ხეხავს.

**გოტფრიდ ლენცი**

# ბარსელონა-მანჩესტერი

## ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. 27 მაისი. რომი

# რონალდოსა და მესის დუელი არ შედგება

### გზა ფინალამდე
### ბარსელონა

**ჯგუფური ტურნირი**

**I ტური**

**ბარსელონა-სპორტინგი 3:1**

**ბარსელონა**: ვალდესი, დანი ალვესი, პიკე, მარკესი, პუიოლი (88. სილვინიო), ჩავი, კეიტა, იანიესტა, მესი, ეტოო (65. ტურე), ანრი (74. პედრო).

**სპორტინგი**: პატრისიო, აბელი, პოლგა, ტონელი, კანეირა (78. პერეირინია), მუტინიო, იზმაილოვი, რომეუმბაკი, რომანიოლი (64.ველოზუ), დერლეი, იანიკი (61. პოშტიგა).

**გოლები**: 1:0 მარკესი (20), ეტოო (59-პენ), 2:1 ტონელი (72), 3:1 ჩავი (88)

**II ტური**

**შახტარი-ბარსელონა 1:2**

**შახტარი**: პიატოვი, სრნა, ისჩენკო, ჩიგრინსკი, შევჩუკი, ფერნანდინიო, პოუბშმანი, დულიაი (90. ლევანდოვსკი), ბრანდაო, ლ. ადრიანო (71. სელეზნიოვი), ილსონი (85. უილიამი).

**ბარსელონა**: ვალდესი, დანი ალვეში, პიკე, მარკესი, პუიოლი, ჩავი, ტურე, კეიტა (80. გუდიონსენი), ინიესტა, ეტოო (73. კრკიჩი), ანრი (59. მესი).

**გოლები**: 1:0 ილსინიო (44), 1:1 მესი (87), 1:2 მესი (90)

**III ტური**

**ბაზელი-ბარსელონა 0:5**

**ბაზელი**: კოსტანსო, ზანი, აბრაჰამი, მარკე, საფარი, ერგიჩი, ჰუგელი, რუბიო (46. შტოკერი), ჩიპერფილდი (54. გაზულა), დერდიოკი, შტრელერი (70. ედუარდო).

**ბარსელონა**: ვალდესი, დანი ალვეში, სილვინიო, მარკესი (52. კასერესი), პუიოლი, ჩავი (56. ანრი), ტურე (66. სანჩესი), ბუსკეტსი, მესი, კრკიჩი, გლები.

**გოლები**: 0:1 მესი (4), 0:2 ბუსკეტსი (15), 0:3 კრკიჩი (22), 0:4 კრკიჩი (46), 0:5 ჩავი (48)

**IV ტური**

**ბარსელონა-ბაზელი 1:1**

**ბარსელონა**: ვალდესი, პუიოლი, მარკესი, პიკე, სილვინიო, სანჩესი (59. ჩავი), ბუსკეტსი, ინიესტა (66. ეტოო), გლები, ანრი, კრკიჩი (59. მესი).

**ბაზელი**: კოსტანსო, ზანი, საფარი, მარკე, ფერატი, ჰუგელი, კარლიტოსი, ერგიჩი, შტოკერი (83. ხელაბერტი), პეროვიჩი (58. ედუარდო), შტრელერი (69. დერდიოკი).

**გოლები**: 1:0 მესი (61), 1:1 დერდიოკი (80)

**V ტური**

**სპორტინგი-ბარსელონა 2:5**

**სპორტინგი**: პატრისიო, კანეირა, კარისო, პოლგა, გრიმი, პერეირინია, ველოზუ, მუტინიო, დერლეი, იანიკი (72. ტიაგო), ლიდსონი (78. პოშტიგა).

**ბარსელონა**: ვალდესი, კასერესი, პიკე, მარკესი, დანი ალვეში, გუდიონსენი, ბუსკეტსი, ჩავი (73. კეიტა), გლები, ანრი (46. კრკიჩი), მესი (56. პედრო).

**გოლები**: 0:1 ანრი (13), 0:2 პოლგა (17-საკ. კარში), 0:3 მესი (49), 1:3 ველოზუ (64), 2:3 ლიდსონი (65), 2:4 კანეირა (66-საკ. კარში), 2:5 კრკიჩი (73-პენ)

**VI ტური**

**ბარსელონა-შახტარი 2:3**

**ბარსელონა**: ჟორკერა, კასერესი, პიკე, სანჩესი, სილვინიო, ვასკესი, ბუსკეტსი, კეიტა, პედრო (76. გუდიონსენი), კრკიჩი, გლები.

**შახტარი**: პიატოვი, რატი, ჩიგრინსკი, კუჩერი, სრნა, ჰოუბშმანი, უილიამი, ჟადსონი (66. ბრანდაო), გაი, გლადკი, ფერნანდინიო (77. ადრიანო).

**გოლები**: 0:1 გლადკი (30), 0:2 გლადკი (56), 1:2 სილვინიო (59), 1:3 ფერნანდინიო (63), 2:3 ბუსკეტსი (81)

**1/8 ფინალი**

**პირველი მატჩი**

**ლიონი-ბარსელონა 1:1**

**ლიონი**: ლორისი, მენსა, კრისი, ბუმსონგი, გროსო, მაკუნი, ტულალანი, ჟუნინიო (78. კალსტრიომი), კეიტა (87. პიანიჩი), ბენზემა, ედერსონი (63. დელგადო).

**ბარსელონა**: ვალდესი, პუიოლი, მარკესი, პიკე, დანი ალვეში, ჩავი, ტურე, ბუსკეტსი (76. კეიტა), ანრი, ეტოო, მესი.

**გოლები**: 1:0 ჟუნინიო (7), 1:1 ანრი (69)

**საპასუხო მატჩი**

**ბარსელონა-ლიონი 5:2**

**ბარსელონა**: ვალდესი, სილვინიო, მარკესი, პიკე, დანი ალვეში, ჩავი, ტურე, ინიესტა (91. გლები), მესი, ეტოო (86. კრკიჩი), ანრი (74. კეიტა).

**ლიონი**: ლორისი, ბოდმერი, კრისი, ბუმსონგი, გროსო, მაკუნი, ტულალანი, ჟუნინიო, ედერსონი (84. კეიტა), ბენზემა, დელგადო (60. კალსტრიომი).

**გოლები**: 1:0 ანრი (24), 2:0 ანრი (27), 3:0 მესი (39), 4:0 ეტოო (42), 4:1 მაკუნი (43), 4:2 ჟუნინიო (48), 5:2 კეიტა (90)

**გაძევება**: ჟუნინიო (90)

**1/4 ფინალი**

**პირველი მატჩი**

**ბარსელონა-ბაიერნი 4:0**

**ბარსელონა**: ვალდესი, პუიოლი, მარკესი, პიკე, დანი ალვეში, ჩავი, ტურე (80. ბუსკეტსი), ინიესტა, მესი, ეტოო (88. კრკიჩი), ანრი (734. კეიტა).

**ბაიერნი**: ბუტი, ლელი, ბრენო, დემიკელისი, ოდო, ვან ბომელი, რიბერი, ზე რობერტო (76. სოსა), შვაინშტაიგერი, ალტინთოფი (46. ოტლი), ტონი.

**გოლები**: 1:0 მესი (9), 2:0 ეტოო (12), 3:0 მესი (38), 4:0 ანრი (43)

**საპასუხო მატჩი**

**ბაიერნი-ბარსელონა 1:1**

**ბაიერნი**: ბუტი, ლელი, ლუსიო, დემიკელისი, ლამი, ვან ბომელი, რიბერი, ზე რობერტო (81. ბოროვსკი), ოტლი, სოსა (77. სოსა), ტონი.

**ბარსელონა**: ვალდესი, აბიდალი, პიკე, პუიოლი, დანი ალვეში, კეიტა, ტურე, ჩავი, მესი, ეტოო, ინიესტა (77. გლები).

**გოლები**: 1:0 რიბერი (47), 1:1 კეიტა (78)

**1/2 ფინალი**

**პირველი მატჩი**

**ბარსელონა-ჩელსი 0:0**

**ბარსელონა**: ვალდესი, აბიდალი, პიკე, მარკესი (73. პუიოლი), დანი ალვეში, ჩავი, ტურე, ინიესტა, მესი, ეტოო (81. კრკიჩი), ანრი (86. გლები).

**ჩელსი**: ჩეხი, ბოსინგვა, ალექსი, ტერი, ივანოვიჩი, მიკელი, ბალაკი (93. ანელკა), მალუდა, ლემპარდი (70. ბელეტი), ესიენი, დროგბა.

**საპასუხო მატჩი**

**ჩელსი-ბარსელონა 1:1**

**ჩელსი**: ჩეხი, ბოსინგვა, ალექსი, ტერი, ე. კოული, ესიენი, ბალაკი, ლემპარდი, მალუდა, ანელკა, დროგბა (71. ბელეტი).

**ბარსელონა**: ვალდესი, ალვეში, ტურე, პიკე, აბიდალი, კეიტა, ბუსკეტსი (84. კრკიჩი), ჩავი, მესი, ეტოო (96. სილვინიო), ინიესტა (95. გუდიონსენი).

**გოლები**: 1:0 ესიენი (9), 1:1 ინიესტა (90)

**გაძევება**: აბიდალი (66)

დღეს ძალიან, ძალიან დიდი მატჩია. ამ პათეტიკისა და ბანალურობისათვის ბოდიშს გიხდით, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე სხვანაირად ვერ ვილაპარაკებთ. მით უმეტეს, როცა ერთმანეთს ისეთი გენიალური გუნდები ხვდებიან, როგორებიც „ბარსელონა" და „მანჩესტერი" არიან. ამ გუნდების ვარსკვლავების შესაძლებლობების გათვალისწინებით ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ გულშემატკივრებმა ფანტასტიკური სანახაობა ვიხილოთ. ბუნებრივია, ორივე გუნდი მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს. „ბარსა" და „მანჩესტერი" მსოფლიო გრანდები არიან და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ჩემპიონთა თასი მათ ქალაქში ჩაიტანონ. როგორც ყოველთვის, ახლაც მხოლოდ ერთი გუნდი გაიმარჯვებს. ეს ყველას კარგად ესმის და ნაგებული რომ არ აღმოჩნდეს, თავს არ დაზოგავს და მოედანზე ძვლებს დადებს.

სასიცოცხლო მნიშვნელობის დაპირისპირებას გუნდები დიდი ენთუზიაზმით, მაგრამ გარკვეული პრობლემებით ხვდებიან. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საკადრო პრობლემების თვალსაზრისით კატალონიელებს უფრო მძიმე სიტუაცია აქვთ. ამას, რა თქმა უნდა, ტრავმები და დისკვალიფიკაციები განაპირობებს. მოგეხსენებათ, „ჩელსისთან" დაუვიწყარ შეხვედრაში **პეპ გვარდიოლას** გუნდმა წითელი ბარათის გამო **ერიკ აბიდალი** დაკარგა. მართალია, ფრანგ მცველს მაშინ თამაშის წესები არ დაურღვევია, მაგრამ მთავარმა არბიტრმა სხვაგვარად განსაჯა და აბიდალი ეგრეთ წოდებული უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის წითელი ბარათით დასაჯა და მოედანი ვადამდე დაატოვებინა. კატალონიელებმა მსაჯის არაობიექტური გადაწყვეტილება უეფას საპელაციო კომიტეტში გაასაჩივრეს, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. ევროპული ფეხბურთის უმაღლესმა ორგანომ აბიდალს საოცნებო ფინალში თამაში აუკრძალა. „მანჩესტერ იუნაიტედს" ვერც **დანი ალვეში** დაუპირისპირდება. ბრაზილიელმა მცველმა იმავე „ჩელსისთან" შეხვედრაში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაიმსახურა. მისდა საუბედუროდ ეს ერთი მატჩი სწორედ ფინალს დაემთხვა. ახლა ტრავმებს რაც შეეხება. ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ გაცხადდა, რომ **რაფა მარკესი** „ოლიმპიკოზე" ვერ ითამაშებდა. მექსიკელმა მცველმა მენისკის მძიმე ტრავმა მიიღო და სამთვიან იძულებით შვებულებაში გავიდა. როგორც ხედავთ, პეპ გვარდიოლას დაცვაში ისევ სერიოზული პრობლემები აქვს. „ჩელსისთან" განმეორებით ნახევარფინალში კატალონიური გრანდის მთავარი მწვრთნელი სულაც ცენტრალური მცველის გარეშე იყო დარჩენილი. მარკესმა სწორედ მენისკის ტრავმის გამო ვერ ითამაშა, **პუიოლმა** კი „სტემფორდ ბრიჯზე" დისკვალიფიკაციის გამო ვერ შეაბიჯა. გვარდიოლა იძულებული გახდა, დაცვაში **იაია ტურე** დაეყენებინა. სენიორ პეპს დაცვის ცენტრში ახლა ნაკლები პრობლემები აქვს. მარკესი დიდი დანაკლისია, მაგრამ პუიოლისა და **პიკეს** ტანდემი თავს ნამდვილად არ შეირცხვენს. სამაგიეროდ, ფლანგებზე სირთულეები გარდაუვალი იქნება. დასამალი არავისთვის არ არის, რომ აბიდალი და ალვეში ნამყვანი ფეხბურთელები არიან და მათი ღირსეულად შეცვლა ძალიან რთული იქნება. გვარდიოლა არ ამხელს, ამ ბიჭების ნაცვლად ვის ათამაშებს. მიმომხილველების ვარაუდით, შექმნილ სიტუაციაში **სილვინიოს** მოუწევს თამაში. სამხრეთამერიკელი მცველი აცხადებს, რომ მოედანზე გასვლის შემთხვევაში კარიერის საუკეთესო დაპირისპირებას ჩაატარებს.

ფეხბურთელები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ითამაშებენ, „ბარსელონას" ძალიან დააკლდებიან, მაგრამ კატალონიური გრანდი კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. ალბათ, ხვდებით, რომ **ტიერი ანრისა** [illegible] „ჩელსისთან" მატჩის გმირს **ანდრეს ინ**[illegible] ესტას ვგულისხმობთ. „ბარსას" [illegible] ვარსკვლავს ტრავმა აქვს. ფრანგი „რე[illegible] ალთან" შეხვედრაში დაშავდა, ანდრეს[illegible] კი „ვილიარეალთან" მატჩში იტკინა ფეხ[illegible] გვარდიოლამ ექიმების რეკომენდაცი[illegible] გაითვალისწინა და ბიჭებს დასვენებ[illegible] საშუალება მისცა. მათ სრული დატვირთ[illegible] ვით მხოლოდ ორშაბათს და სამშაბათ[illegible] ივარჯიშეს. ტრავმა არც ერთს არ გართუ[illegible] ლებია. ესპანური გიგანტის მთავარ[illegible] მწვრთნელი აცხადებს, რომ ანრი და ინ[illegible] ესტა მოედანზე იქნებიან:

„მადლობა ღმერთს, ჩვენი ვარსკვლა[illegible] ვები გამოჯანმრთელდნენ და ფინალ[illegible] მეტ-ნაკლებად მომზადებული შეხვდებ[illegible] ან. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვან[illegible] არ დავმალავ, ანდრესისა და ტიერის გა[illegible] მე „ბარსელონა" დაკოჭლდებოდა. ბო[illegible] ვარჯიშები მათ ნაყოფიერად ჩაატარ[illegible] მინიმალური პრობლემაც არ შეექმნია[illegible] ეს ყველაფერი იმის იმედს მაძლევს, რ[illegible] „ოლიმპიკოზე" დიდ წარმატებას მივაღ[illegible] ნევთ. გუნდში არსებულ განწყობას რა[illegible] შეეხება, უნდა მოგახსენოთ, რომ ბიჭებ[illegible] თვალები უელავთ და ფინალის დაწყებ[illegible] მოუთმენლად ელოდებიან. ტაქტიკა ჩამ[illegible] ყალიბებულია, არა მგონია, რაიმე შეიცვა[illegible] ლოს. უკლებლივ ყველა მოთამაშემ იცი[illegible] რა უნდა გააკეთოს. ისღა დაგვრჩენია, [illegible] ტაც მოვითმინოთ და მოედანზე ისტორ[illegible] ული თამაშის მოსაგებად გავიდეთ. ბევ[illegible] რამ ფორტუნაზე იქნება დამოკიდებულ[illegible] იმედია, ბედი არ გაგვწირავს. „მანჩესტ[illegible] [illegible] ძალიან ძლიერი გუნდია და მას მხო[illegible] იმ შემთხვევაში დავამარცხებთ, თუ [illegible]ბლობების მაქსიმუმს გამოვავ[illegible]ნთ. მე მეტის თქმა არ შემიძლია. მჯერა, [illegible] ჩვენი ვარსკვლავები კარიერის საუ[illegible] შეხვედრას ჩაატარებენ და „ბარ[illegible]ლონას" ჩემპიონთა თასს მესამედ [illegible]გებინებენ".

ახლა „მანჩესტერზეც" ვისაუბროთ. [illegible]ტანელები ისტორიული წარმატების [illegible] არიან. „წითელ ეშმაკებს" შანსი [illegible], ყველაზე პრესტიჟული ევროჯილ[illegible] შეინარჩუნონ. თუ „იუნაიტედი" ამას [illegible]ლებს, პირველი გუნდი გახდება, რომე[illegible] ჩემპიონთა ლიგის დაარსების შემდეგ [illegible] ტურნირში ზედიზედ ორჯერ გაიმარჯ[illegible]. ინგლისელებს მოტივაცია ისედაც არ [illegible]იათ, მაგრამ ისტორიაში შესვლის [illegible]ენება სერ **ალექს ფერგიუსონსა** და [illegible] ბიჭებს მოტივაციას უათკეცებს. შოტ[illegible]ნდიელმა სპეციალისტმა წინასამატჩო [illegible]ს-კონფერენციაზე ვერ დამალა, რომ [illegible]ებული ცდუნება მას მოსვენებას არ [illegible]ლევს:

„არ არსებობს მწვრთნელი, რომელიც [illegible]კალური, ჯერ არნახული შედეგის მიღ[illegible]აზე არ ოცნებობდეს. გამონაკლისს არც [illegible] წარმოვადგენ. ძალიან მინდა, რომ ჩემ[illegible]ნთა ლიგის ფინალი ზედიზედ მეორედ [illegible]იგო და ამით ისტორიაში სამუდამოდ [illegible] ბინა. ჩვენ ამის უნარი ნამდვილად [illegible]გვწევს. დარწმუნებული ვარ, „ბარსელონას" ბურთის თავისუფლად გათამაშების [illegible]შუალებას არ მივცემთ და ზედიზედ მეო[illegible] გავიმარჯვებთ. კატალონიელებს ძალიან ტექნიკური გუნდი ჰყავთ. ამ სეზონში მათ საოცარი შეხვედრები ჩაატარეს, მაგრამ „ჩელსიმ" დაგვანახვა, რომ გვარდიოლას გუნდი შეუჩერებელი სულაც არ არის. ჩვენ ვიცით, „ბარსას" როგორ უნდა ვეთამაშოთ. ყველაფერი ფეხბურთელებზე იქნება დამოკიდებული. დარწმუნებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ სამწვრთნელო შტაბის მიერ შემუშავებული ტაქტიკა სწორი და გამართულია. თუ ფეხბურთელები ჩვენს მითითებებს ზედმიწევნით შეასრულებენ „ბარსელონა" ტიტულში ვერ შეგვეცილება".

ფინალისტების ვარსკვლავებზე კი ვილაპარაკეთ, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ყველაზე გამორჩეულ თამაშს ორი ადამიანისგან, **ლეო მესისა** და **კრისტიანო რონალდოსგან** ელიან. მიმომხილველებს ცალკეული ინდივიდების შესაძლებლობაზე ყურადღების გამახვილება ძალიან უყვართ. ასე მოხდა ამჯერადაც. უკლებლივ ყველა ჟურნალისტი წერდა, რომში მესისა და რონალდოს დუელი გაიმართებაო... თუმცა თავად ვარსკვლავებმა გლადიატორების დუელის ნახვის იმედით გულანთებულ საზოგადოებას ცივი წყალი გადაასხეს. მესიმ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, ფინალი ჩვენს დუელად არ გადაიქცევა, ამ შეხვედრაში ყველაფერი კოლექტივზე იქნება დამოკიდებულიო. არგენტინელს რონალდომაც აუბა მხარი და ასეთი რამ თქვა:

„ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე რონალდოსა და მესის დუელი. შეუძლებელია, ასეთი დონის გუნდების დაპირისპირებაში მატჩის ბედი ცალკეული ვარსკვლავების თამაშმა გადაწყვიტოს. ამის იმედი წურავის ექნება. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიმარჯვებთ, თუ „მანჩესტერი" გუნდური ფეხბურთის დემონსტრირებას მოახდენს. იგივე შეიძლება ითქვას „ბარსელონაზეც". მოკლედ, მე თავს არ დავზოგავ, მაგრამ თანაგუნდელების დახმარების გარეშე ვერაფერი გავხდები".

საკადრო პრობლემა სერ ალექსსაც აქვს. შეგახსენებთ, „არსენალთან" განმეორებით ნახევარფინალში **ფლეტჩერმა** წითელი ბარათი მიიღო და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ფერგიუსონმა ამ ფაქტზე რამდენჯერმე ისაუბრა. შოტლანდიელი სპეციალისტი არ მალავს, რომ მის გარეშე „მანჩესტერ იუნაიტედს" გაუჭირდება, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ ერთი ფეხბურთელის დისკვალიფიკაციამ მის გუნდს ძალი არ უნდა დაასვას.

და მაინც, ყველას აინტერესებს, რომელ ვარსკვლავს რომელი მცველი ან შუახაზელი შეებრძოლება. საკუთარ სტრატეგიაზე არც ერთი მწვრთნელი არ საუბრობს, მაგრამ ჩვენ ხომ შეგვიძლია ვივარაუდოთ? ამ უფლებას ვერავინ წაგვართმევს. მოსალოდნელია, რომ ლეო მესის გაუვნებელყოფაზე **პატრის ევრა** იზრუნებს. ფრანგი მცველი არგენტინელს ძალიან აფასებს და მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელად მიიჩნევს, მაგრამ გულშემატკივრებს არწმუნებს, რომ ლეოსი არ ეშინია და მის შეჩერებას შეძლებს. საშიში ვარსკვლავების გაუვნებელყოფაზე ფიქრი კატალონიელებსაც მოუწევთ. „მანჩესტერი" მხოლოდ კრისტიანო რონალდო ნამდვილად არ არის. თუნდაც **უეინ რუნი** რად ღირს? უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალგაზრდა ფორვარდს იაია ტურე შეავიწროებს. აფრიკელი ნახევარმცველი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ რუნიმ **ვიქტორ ვალდესის** საჯარიმოში იოლად ვერ შეაღწიოს. „მანჩესტერითვის" ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტექნიკურ კატალონიელ ნახევარმცველებს თავისუფლად მოქმედების საშუალება მოუსპოს. **ჩავისა** და ინიესტას კარგ თამაშზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. არ არის გამორიცხული მათ წინააღმდეგ თამაში **ქერიკს** მოუხდეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა**: ვალდესი - პუიოლი, [illegible], სილვინიო - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - მესი, ეტოო, ანრი.

**მანჩესტერი**: ვან დერ სარი - ოში, [illegible], ფერდინანდი, ევრა - გიგზი, ქერიკი, ანდერსონი, რუნი, პარკი - კრისტიანო [illegible]დო.

**არბიტრი**: მასიმო ბუსაკა (შვეიც[illegible]



პეპ გვარდიოლა


სერ ალექს ფერგიუსონი

### გზა ფინალამდე
### მანჩესტერი

**ჯგუფური ტურნირი**

**I ტური**

**მანჩესტერი-ვილიარეალი 0:0**

**მანჩესტერი**: ვან დერ სარი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ევანსი, ევრა, ჰარგრივსი (61. ანდერსონი), ფლეტჩერი, პარკი (61. რონალდო), ნანი, რუნი, ტევესი (80. გიგზი).

**ვილიარეალი**: დ. ლოპესი, კაპდევილა, გოდინი, გონსალო, ანხელი, ედმილსონი, ეგურენი, მ. ფერნანდესი, კანი (46. კასორლა), პირესი (66. იბაგასა), გ. ფრანკო (76. ლორენტე).

**II ტური**

**ოლბორგი-მანჩესტერი 0:3**

**ოლბორგი**: ზაზა, პედერსენი, ბეუკამპი (38. კაკა), ოლფერსი, ბეგოლუნდი, რისგარდი, აუგუსტინუსენი, ენევოლდსენი, კრუტი, იოჰანსონი, საგანოვსკი.

**მანჩესტერი**: ვან დერ სარი, ფერდინანდი, ევრა, ვიდიჩი, რაფაელი (66. ბრაუნი), რონალდო, ოში, სქოულზი (16. გიგზი), ნანი, რუნი (59. ტევესი), ბერბატოვი.

**გოლები**: 0:1 რუნი (22), 0:2 ბერბატოვი (55), 0:3 ბერბატოვი (79)

**III ტური**

**მანჩესტერი-სელტიკი 3:0**

**მანჩესტერი**: ვან დერ სარი, გ. ნევილი (60. ბრაუნი), ევანსი, ვიდიჩი, ოში, ფლეტჩერი, რონალდო (82. პარკი), რუნი, ბერბატოვი (60. ტევესი).

**სელტიკი**: ბორუცი, უილსონი, ლოოვენსი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა (62. ჰერთლი), ბრაუნი, ქოლდუელი, რობსონი (62. მელოუნი), მაკგრეისი, მაკდონალდი (77. შერიდანი).

**გოლები**: 1:0 ბერბატოვი (29), 2:0 ბერბატოვი (51), 3:0. რუნი (76)

**IV ტური**

**სელტიკი-მანჩესტერი 1:1**

**სელტიკი**: ბორუცი, ჰინკელი, ქოლდუელი, მაკმანუსი, უილსონი, ბრაუნი, ჰერთლი, რობსონი, მელოუნი (76. ოდი), შერიდანი, მაკდონალდი (82. ჰატჩისონი).

**მანჩესტერი**: ფოსტერი, რაფაელი (66. ევრა), ფერდინანდი, ვიდიჩი, ოში, რონალდო, ფლეტჩერი, კერიკი, ნანი (46. ბერბატოვი), გიგზი, ტევესი (71. რუნი).

**გოლები**: 1:0 მაკდონალდი (13), 1:1 გიგზი (84)

**V ტური**

**ვილიარეალი-მანჩესტერი 0:0**

ვილიარეალი: დ. ლოპესი, კაპდევილა, ფუენტესი, გონსალო, ხავი ვენტა, კასორლა, სენა (46. ბრუნო), ეგურენი, პირესი (64. მ. ფერნანდესი), იბაგასა, როსი (78. ფრანკო).

**მანჩესტერი**: კუშჩაკი, ევრა, ევანსი, ფერდინანდი, ოში, ნანი (84. პარკი), ქერიკი (85. ტევესი), ფლეტჩერი (79. გიბსონი), რონალდო, ანდერსონი, რუნი.

**გაძევება**: კაპდევილა (81)

**VI ტური**

**მანჩესტერი-ოლბორგი 2:2**

**მანჩესტერი**: კუშჩაკი, ნევილი (76. რაფაელი), ფერდინანდი, ევანსი, ოში, ნანი, გიბსონი (46. პარკი), ანდერსონი, გიგზი (46. სქოულზი), რუნი, ტევესი.

**ოლბორგი**: ზაზა, პედერსენი (79. სორენსენი), იაკობსენი, კურტი (74. კაკა), ოლფერსი, ბეგოლუნდი, რისგარდი, აუგუსტინუსენი, ენევოლდსენი, დუე (65. კრისტენსენი), საგანოვსკი.

**გოლები**: 1:0 ტევესი (3), 1:1 იაკობსენი (32), 1:2 კურტი (45), 2:2 რუნი (52)

**1/8 ფინალი**

**პირველი მატჩი**

**ინტერი-მანჩესტერი 0:0**

**ინტერი**: სეზარი, მაიკონი, ნელსონი (46. კორდობა), კივუ, სანტონი, ძანეტი, კამბიასო, მუნტარი (75. კრუსი), იბრაჰიმოვიჩი, სტანკოვიჩი, ადრიანო (76. ბალოტელი).

**მანჩესტერი**: ვან დერ სარი, ევრა, ფერდინანდი, ევანსი, ოში, გიგზი, ქერიკი, ფლეტჩერი, ბერბატოვი, რონალდო, პარკი (83. რუნი).

**საპასუხო მატჩი**

**მანჩესტერი-ინტერი 2:0**

**მანჩესტერი**: ვან დერ სარი, ევრა, ფერდინანდი, ვიდიჩი, ოში, ქერიკი, სქოულზი (69. ანდერსონი), რონალდო, გიგზი, ბერბატოვი, რუნი (83. პარკი).

**ინტერი**: სეზარი, სანტონი, სამუელი, კორდობა, მაიკონი, ძანეტი, კამბიასო, ვიეირა (76. მუნტარი), სტანკოვიჩი (58. ადრიანო), იბრაჰიმოვიჩი, ბალოტელი (69. ფიგო).

**გოლები**: 1:0 ვიდიჩი (4), რონალდო (48)

**1/4 ფინალი**

**პირველი მატჩი**

**მანჩესტერი-პორტუ 2:2**

**მანჩესტერი**: ვან დერ სარი, ოში, ვიდიჩი, ევრა, ევანსი (71. ნევილი), ფლეტჩერი, ქერიკი, სქოულზი (71. ტევესი), რონალდო, რუნი, პარკი (57. გიგზი).

**პორტუ**: ჰელტონი, სისოკო, ა. ალვეში, რონალდო, საპუნარუ, კოშტა, ფერნანდო, ლ. გონსალესი, ლოპესი, ჰალკი, კ. როდრიგესი (89. მ.გონსალესი).

**გოლები**: 0:1 კ. როდრიგესი (5), 1:1 რუნი (15), 2:1 ტევესი (85), 2:2 მ. გონსალესი (89)

**საპასუხო მატჩი**

**პორტუ-მანჩესტერი 0:1**

**პორტუ**: ელტონი, სისოკო, ა. ალვეში, რონალდო, საპუნარუ (79. კოშტა), ფერნანდო, მეირელეში, ლ. გონსალესი (31. მ. გონსალესი), ლოპესი, ჰალკი, კ. როდრიგესი (63. ფარიასი).

**მანჩესტერი**: ვ. დერ სარი, ოში, ვიდიჩი, ევრა, ფერდინანდი, გიგზი, ქერიკი, ანდერსონი (77. სქოულზი), რუნი, კრონალდო, ბერბატოვი (68. ნანი).

**გოლი**: 0:1. რონალდო (6)

**1/2 ფინალი**

**პირველი მატჩი**

**მანჩესტერი-არსენალი 1:0**

**მანჩესტერი**: ვან დერ სარი, ოში, ვიდიჩი, ევრა, ფერდინანდი (87. ევანსი), ფლეტჩერი, ქერიკი, ანდერსონი (66. გიგზი), რონალდო, რუნი, ტევესი (66. ბერბატოვი).

**არსენალი**: ალმუნია, გიბსი, სილვესტრე, კ. ტურე, სანა, ნასრი, სონგი, დიაბი, უოლკოტი (70. ბენდტნერი), ფაბრეგასი, ადებაიორი (82. ედუარდო).

**გოლი**: 1:0 ოში (16)

**საპასუხო მატჩი**

**არსენალი-მანჩესტერი 1:3**

**არსენალი**: ალმუნია, სანა, კ. ტურე, ჯურუ, გიბსი (80. ებუე), სონგი, ფაბრეგასი, ნასრი, ვან პერსი (79. ველა), უოლკოტი (62. ბენდტნერი), ადებაიორი.

**მანჩესტერი**: ვან დერ სარი, ოში, ვიდიჩი, ევრა (64. და სილვა), ფერდინანდი, ქერიკი, პარკი, ფლეტჩერი, ანდერსონი (67. გიგზი), რუნი (65. ბერბატოვი), რონალდო.

**გოლები**: 0:1 პარკი (8), 0:2 რონალდო (12), 0:3 რონალდო (60), 1:3 ვან პერსი (80-პენ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოტფრიდ ლენცი წარმოგიდგენთ | უქმეებიდან უქმეებამდე

# დრიბლინგი ევროპაში

# მიდიხარ, პაოლო? დაუჯერებელია!

საფრანგეთში ოსკარები ჩამოარიგეს; ესპანეთში „მალიორკამ“ „ბარსელონას“ მერე „რეალიც“ დასცა; პაოლო მალდინის „სან სირო“ ორაზროვნად გამოეთხოვა; ინგლისში „ფულჰემმა“ არსებობის ისტორიაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა, „ნიუკასლის“ გავარდნის გამო კი მხოლოდ ნიუკასლელებს დასწყდათ გული; აშკან დეჟაგა და იოშიტო ოკუბო კი გერმანიის ჩემპიონები გახდნენ.

თქვენ წინაშეა, „ლელოს“ დიდი დრიბლინგი ევროპაში...




## სერია A
### კალჩო ჯენტლმენს ეთხოვება

პაოლო მალდინი კარიერას ამთავრებს! დაუჯერებელია, არა? დიდი კაპიტანი, ლოიალურობის სიმბოლო და კალჩოს ერთ-ერთი უკანასკნელი ჯენტლმენი ამ უქმეებზე „სან სიროს“ პუბლიკას დაემშვიდობა. „მილანის“ „ტიფოზები“ მას „როსონერის“ მაისურით ველარასოდეს იხილავენ! მალდინი „მილანს“ 25 წელი ემსახურა და ცხადია, „სან სიროზე“ ჩატარებული ბოლო მატჩის დროს უდიდესი აპლოდისმენტები დაიმსახურა. „მილანის“ მეტოქე „რომა“ იყო და „ჯალოროსის“ ფეხბურთელებს სპეციალური მაისურები ეცვათ წარწერით: *„მადლობა, პაოლო, დიდო კაპიტანო!“* თუმცა „მილანის“ ფანების გარკვეულმა ნაწილმა მალდინის გამომშვიდობების დღე მაინც ჩაუმწარა. კერძოდ, სამხრეთ ტრიბუნაზე, სადაც რადიკალი „ტიფოზები“ იყრიან ხოლმე თავს, გადმოფენილი იყო ტრანსპარანტები ასეთი წარწერებით: *„შენ პატივს არ სცემდი იმ ხალხს, ვინც გაგამდიდრა და ლეგენდად გაქცია!“*

ეს ძველი ამბავია. რამდენიმე წლის წინ, როდესაც პაოლოს კარიერაში მცირე ჩავარდნა ჰქონდა და „მილანის“ ტიფოზებისგან სტვენის მოსმენა უხდებოდა, დიდმა კაპიტანმა საჯაროდ გამოთქვა უკმაყოფილება და იმ ფანებს შეუტია, რომლებიც მას უსტვენდნენ.

40 წლის მალდინიმ „მილანის“ რიგებში 901 მატჩი ჩაატარა და მოიგო შვიდი სკუდეტო! გროტესკულ ტრანსპარანტებს პაოლომ მხოლოდ თვალი შეავლო, ისიც მოღიმარი, თბილი მზერით და რადიკალური ფანების ამ გამოხდომაზე ყურადღება არ გაუმახვილებია. მერე კი, საფინალო სასტვენის შემდეგ, უკანასკნელად დატოვა „სან სიროს“ მინდორი. პაოლო მალდინი - ეს სახელი და გვარი პროფესიონალიზმთან, ფეარ-პლეისთან, სისუფთავესთან ასოცირდება. იტალიურ ფეხბურთს თავისი ერთ-ერთი უკანასკნელი ჯენტლმენი ეთხოვება! ბოლოს საფეხბურთო იტალია ასეთი გულდაწყვეტილი იმ დღეს იყო, როცა კარიერა **რობერტო ბაჯომ** დაამთავრა...

31 მაისს მალდინი „მილანის“ მაისურით ნაღდად უკანასკნელ მატჩს ჩაატარებს, ოღონდ ფლორენციაში, სადაც „როსონერიმ“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურისთვის უნდა იბრძოლოს. ასეთივე მიზანი აქვს ფიორენტინასაც და ამიტომ, „მილანს“ ძალიან რთული მატჩი ელის. თუ „ფიორენტინა“ ორბურთიანი სხვაობით მოიგებს, „მილანს“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვის ბრძოლა საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოუწევს, რომელიც მომავალ სეზონში საკმაოდ გართულებული იქნება. „ინტერთან“ ერთად, ელიტარული საკლუბო ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური ფაქტობრივად გაინაღდა „იუვენტუსმა“. გუშინ კი, ტურინში „ვერდერისა“ და ბრაზილიის ნაკრების ფლეიმეიქერი **დიეგო** ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება გაიარა.

კვირას ტურინში აბსურდის თეატრი შედგა. „ჯენოამ“ „ტორინოს“ ბოლო წუთზე გამარჯვების გოლი გაუტანა (მილიტო) და ფაქტობრივად გავარდნისთვის გაწირა, რის შემდეგაც მთელი „ტორინო“ „ჯენოას“ დაეტაკა - ფეხბურთელები, მწვრთნელები და ფანები მეტოქის მოთამაშეებისკენ საცემად იწევდნენ. ხელჩართულ ჩხუბში მასპინძელთა მთელი გუნდი იყო ჩაბმული. ფაქტია: ამდენი ენერგია „ტორინოელებს“ მთელი სეზონის განმავლობაში რომ გადაენაწილებინათ, ახლა გასავარდნ ზონაში არ იქნებოდნენ. მაგრამ მათი გაბრაზება კი გასაკვირი არ არის, იტალიაში ხომ ასეთი ტრადიციაა: „გულს ნუ ვატკენთ ერთმანეთს ბოლო ტურებში!“

## პრემიერლიგა
### დააკლდება თუ არა ნიუკასლი პრემიერლიგას?

კვირას, მთელ საფეხბურთო ინგლისს ერთი კითხვა უტრიალებდა: *„დაგვაკლდება კი „ნიუკასლი“?* დაბოლოს, პასუხიც იპოვეს: არა! „ნიუკასლის“ დაღმასვლა ვერც ლეგენდარულმა **ალან შირერმა** შეაჩერა და „დიდი ალანი“ მეოთხე მწვრთნელია, რომელმაც ამ სეზონში „კაჭკაჭების“ გადარჩენა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. შირერმა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო, ფეხბურთელები არ დაუკნინებია, მაგრამ ამით რა ხეირი? „ნიუკასლ იუნაიტედი“ პრემიერლიგიდან გავარდა და მართალია, ასეთ უსუსურ „ნიუკასლს“ ინგლისი ნამდვილად არ მოისაკლისებს, მაგრამ მაინც რაღაცნაირად გვეხამუშება პრემიერლიგა ამ გუნდის გარეშე...

„ნიუკასლთან“ ერთად, ბოლო ოთხეულიდან ყველა გუნდმა წააგო. ასე რომ, წააგო „ჰალ სიტიმაც“, რომელიც ბოლო ტურში „მანჩესტერ იუნაიტედის“ სარეზერვო გუნდს ეთამაშებოდა. **ალექს ფერგიუსონმა** პირტიტველა ბიჭები ათამაშა, მაგრამ მაინც მოიგო: 1:0 (გამარჯვების გოლი, 21 წლის **ფილ გიბსონმა** გაიტანა). „ჰალმა“, რომელიც პირველი წრის აღმოჩენად იქცა, სეზონის მეორე ნახევარში მხოლოდ 1 თამაშის მოგება შეძლო, მაგრამ კონკურენტები ამ გუნდზე უარესები აღმოჩნდნენ და შესაბამისად, ინგლისურმა „ჰოფენჰაიმმა“ ელიტაში ადგილი შეინარჩუნა.

**როი ჰოჯსონმა** „ფულჰემი“ 2007 წლის ზამთარში ჩაიბარა და იმ დროს, დასავლეთ ლონდონელები გასავარდნ ზონაში იყვნენ. ეს სეზონი კი „ფულჰემმა“ მეშვიდე ადგილზე დაასრულა და უნდა აღინიშნოს, რომ ამაზე მეტისთვის ამ გუნდს არასდროს მიუღწევია. 61 წლის ჰოჯსონზე ამბობენ, „ფულჰემისგან“ დიდი გუნდი უნდა შექმნასო. ჰოჯსონი დიდი დიქტატორია, მასზე ამბობენ, ყოველ ხუთ წუთში ერთხელ ცვლის ვარჯიშების ტემპსა და სტილსო.

## პრიმერა დივიზიონი
### ჯერ ბარსა, მერე რეალი...

**დიეგო ფორლანმა** „ბილბაოსთან“ მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა და ბომბარდირთა დავაში, **სამუელ ეტოოს** გაასწრო. ურუგვაელს 31 (!) გოლი აქვს გატანილი, ორით მეტი, ვიდრე ეტოოს. აღსანიშნავია, რომ ფორლანმა ბოლო შვიდ ტურში ათი გოლის გატანა შეძლო. საინტერესო ისაა, რომ პრემიერლიგის ერთ სეზონში ერთმა ფეხბურთელმა 30-გოლიანი ბარიერი უკანასკნელად 12 წლის წინათ გადალახა. ეს ფეხბურთელი, არც მეტი, არც ნაკლები, **რონალდო** გახლდათ, რომელმაც „ბარსას“ მაისურით 37 მატჩში 34 გოლი გაიტანა. ამრიგად, ფორლანს ბომბარდირობა თითქმის განაღდებული აქვს, რადგან ეტოო ბოლო ტურში, სავარაუდოდ არ ითამაშებს. კამერუნელ ფორვარდს ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ სამშობლოში წასვლა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში (მაროკოსთან) მონაწილეობის მიღება სურს. აღსანიშნავია ისიც, რომ ფორლანმა დიდი **ალფრედო დი სტეფანოს** პირადი რეკორდი გაიმეორა.

ვერ გეტყვით, უბრალო დამთხვევაა თუ კანონზომიერება, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სეზონში, „ვალენსიის“ გარდა, ყველა გუნდი იძულებული იყო, ჯერ „ბარსელონას“ წინააღმდეგ ეთამაშა, მერე კი ეგრევე „რეალს“ შებმოდა. „მალიორკამ“ კი შეძლო ის, რაც მანამდე ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა: ამ გუნდმა „ბარსაც“ დაამარცხა (2:1) და მერე „რეალიც“ ზედ მიაყოლა (3:1). თუმცა „რეალს“ საუკეთესო შემადგენლობით არ უთამაშია. განსაკუთრებით ლამაზი გამოვიდა მე-60 წუთზე, **კლებერ სანტანას** მიერ გატანილი გოლი. ბრაზილიელმა ბურთი „რეალის“ კარიდან 40 მეტრის მოშორებით ჩაიგდო, ხუთი მადრიდელი მოატყუა და კასილიასს მარცხენა კუთხეში გაუტანა. ეს იყო კიდევ ერთი ულამაზესი გოლი „სანტიაგო ბერნაბეუზე“, ოღონდ არა „რეალის“, არამედ მეტოქე გუნდის ანგარიშზე. რამდენი ხანია, მადრიდელებს ასეთი გოლი არ გაუტანიათ...

ყველა სხვადასხვანაირად აგებს. აგერ, მაგალითად, „ბარსელონამ“ „ოსასუნასთან“ მარცხი (0:1) უდიდესი ფიესტით აღნიშნა. „ნოუ კამპის“ პუბლიკამ ტრადიციულად იზეიმა, „ბარსას“ ბედნიერი გულშემატკივრები „რეალის“ ფანებს დასცინოდნენ, მადრიდში კი, „ბერნაბეუზე“, დარცხვენილმა რეალელებმა აღარ იცოდნენ, სად დამალულიყვნენ: „ნოუ კამპზე“ ეიფორია სუფევდა, „ბერნაბეუზე“ კი მელანქოლია.

მადრიდელები ახალი მწვრთნელის ძიებაში არიან, მაგრამ ვერც ამ საქმეში აღწევენ წარმატებას. **არსენ ვენგერი ფლორენტინო პერესის** პირველივე ზარის შემდეგ სიხარულით არ ახტადახტა - პერესი პრეზიდენტად ჯერ არავის აურჩევია და ესეც არ იყოს, ვენგერი არაა ის მწვრთნელი, რომელიც პირველივე დაძახებაზე მადრიდისკენ გაიქცევა. მერე კი, მადრიდში **ჟოზე მოურინიოზე** ალაპარაკდნენ, მაგრამ პორტუგალიელს არ სურს „სამეფო გუნდის“ გაწვრთნა. *„ვინც „რეალის“ გაწვრთნაზე ოცნებობს, ყოველთვის მეორე არჩევანია ხოლმე. მე კი არასდროს და არავისთვის ვიქნები მეორე, სათადარიგო არჩევანი!“* - განაცხადა The Special One-მა.

## ლიგა 1
### ოსკარები ფრანგულად

მართალია, „ბორდომ“ „მონაკო“ დაამარცხა (1:0) და ზედიზედ მეათე თამაში მოიგო, მაგრამ ჟირონდელები იძულებულები გახდნენ, საჩემპიონო ზეიმი მინიმუმ ერთი კვირით გადაედოთ, რადგან მარსელის „ოლიმპიკმაც“ მოიგო (2:1 ნანსისთან) და ველოდრომელები ჯერ კიდევ ოცნებობენ იმაზე, რომ 1992 წლის შემდეგ პირველ ტიტულს მოიგებენ. ბოლო ტურში „მარსელი“ საკუთარ მოედანზე „რენს“ ხვდება, „ბორდოს“ კი საკმაოდ რთული მატჩი ელის. **ლორან ბლანის** გუნდი „კაენს“ სტუმრობს, რომელსაც აუცილებლად მოგება სჭირდება იმისთვის, რომ ელიტაში დარჩეს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, „ნანტი“ პირველი ლიგიდან მეორედ გავარდა, წააგო რა „სოშოსთან“ 1:2. ეს კი ნამდვილი დრამაა გუნდისთვის, რომელიც რვაჯერ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი (ბოლოს 2001 წელს). კვირას, „ნანტის“ 50-მდე ფანი ვარჯიშის დროს მოედანზე შეიჭრა - გაწრისხებულმა ქომაგებმა ფეხბურთელებს თავიანთი მოსაზრებები პირში მიახალეს! საქმეში პოლიცია დროულად რომ არ ჩართულიყო, მოთამაშეებს მაგრად მიბეგვავდნენ!

საფრანგეთში, წელიწადში ერთხელ, ლიგის საუკეთესოებს ასახელებენ. მიუხედავად იმისა, რომ „მარსელი“ ბოლო ტურის წინ მეორე ადგილზეა და ჩემპიონობის მცირე შანსი აქვს, „ოლიმპიკის“ მთავარი მწვრთნელი წლის საუკეთესო სპეციალისტად დასახელდა. საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს საფრანგეთის ნაკრებისა და „ბორდოს“ ნახევარმცველი **იოან გურკუფი**, საუკეთესო მეკარე „ლიონის“ კარის დარაჯი **უგო ლორისია**, წლის აღმოჩენა კი, „ლილის“ უნიჭიერესი ფეხბურთელი **ედენ ჰაზარი** გახდა.

## ბუნდესლიგა
### ჰიონესის გამოთვლით, ჩემპიონი ბაიერნია

„ვოლფსბურგი“ გერმანიის ჩემპიონი გახდა. იმისათვის, რომ შეეგუოთ, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: „ვოლფსბურგი“ გერმანიის ჩემპიონი გახდა! რა თქმა უნდა, სრულიად დამსახურებულად, რადგან „მგლებზე“ უკეთ ამ სეზონში არავის უთამაშია.

„ვოლფსბურგის“ ახალ მწვრთნელმენეჯერად კი **არმინ ფეე** დაინიშნა, რაც ნამდვილად სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან ამ კაცმა ყველაზე უკეთ იცის, როგორ უნდა მოეპყრას და ათამაშოს გუნდი, რომელიც სრულიად მოულოდნელად გახდა გერმანიის ჩემპიონი და სრულიად მოულოდნელად ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. 2007 წელს ფეემ „შტუტგარტი“ გააჩემპიონა და მერე, ჩემპიონთა ლიგაში 6 თამაშიდან 5 წააგო. ჰოდა, საფეხბურთო გერმანია იმ შტუტგარტით დღესაც ამაყობს! არადა, „ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელების მიზანი ის არის, რომ გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში ღირსეულად ითამაშოს. „ვოლფსბურგი“, სავარაუდოდ, მეოთხე კალათაში იქნება და ასე განსაჯეთ, საუკეთესოებთან მოუწევს ჭიდილი. მაგალითად, „ბარსელონასთან“, „ლივერპულთან“ ან „მანჩესტერთან“. ამავე დროს, მეორე გუნდად ჯგუფში შეიძლება „იუვენტუსი“, „რეალი“ ან „ჩელსი“ ჩაუჯდეს... მოკლედ, „მგლებს“ წარმატებებს ვუსურვებთ!

„ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** შაბათ საღამოს და კვირას, ჩვეულ სტილში ბევრი იტლიკინა. ყველაზე საინტერესო ფრაზა: *„მთელი სეზონის განმავლობაში ისე რომ გვეთამაშა, როგორც ბოლო ხუთ ტურში, იცით, როგორი შედეგით დავასრულებდით სეზონს? გამოთვალეთ!“* - ჰოო, ჰერ ჰიონეს, ბებიაჩემს რომ „ის“ ჰქონოდა, ბაბუაჩემი იქნებოდა!“

მოკლედ, ჰიონესის აბდაუბდა, რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ მაინც განვავრცოთ ეს თემა. მაგალითად, „კარლსრუეს“ მთელი სეზონის განმავლობაში ისე რომ ეთამაშა, როგორც 21-ედან 25-ე ტურამდე ითამაშა, 34 ტურში 34 წაგება ექნებოდა, ბურთების შეფარდება კი 0:42 და ამრიგად, **ალექსანდრე იაშვილის** გუნდი უფრო უარესად დაამთავრებდა სეზონს, ვიდრე უხსოვარ დროში ბერლინის „ტასმანიამ“ დაამთავრა... „ჰოფენჰაიმს“ მთელი სეზონის განმავლობაში ისე რომ ეთამაშა, როგორც მე-7-დან მე-11 ტურამდე, სოფლელები შესანიშნავი შედეგით გერმანიის ჩემპიონები გახდებოდნენ! 34 მოგება ექნებოდათ, 102 ქულა და ბურთების შეფარდება 119:35. რა „ბარსელონა“, რომელი „მანჩესტერი“, „ჰოფენჰაიმი“ იქნებოდა, რაც იქნებოდა! მაგრამ როგორც ვთქვით, ეს ყველაფერი სისულელეა.

„კარლსრუეს“ თავდამსხმელი **ჯოშუა კენედი** სიმპათიური ყმაწვილია, ის საჯარიმოს ფორვარდი გახლავთ და 33 ტურში ერთი გოლი რაა, ისიც კი არ ჰქონდა გატანილი. ბოლო ტურში კი იფიქრა, ამას ბოლო უნდა მოვუღოო და დუბლი შეასრულა. 2 გოლი! ერთ თამაშში! კენედის მთელი სეზონის განმავლობაში ასე რომ ეთამაშა... ეეეჰ, 68 გოლს მოუყრიდა თავს! რა **გერდ მიულერი**, რომელი **გრაფიტე**, კენედი იქნებოდა, ვინც იქნებოდა!

გასაოცარი რამ თქვა მეორე ბუნდესლიგაში გავარდნილი ბილეფელდის „არმინიას“ კაპიტანმა **ოლივერ კირხმა**. *„როდესაც შლაუდრაფი მოედანზე შემოვიდა, ჩემთან მოვიდა და მითხრა, „კოტბუსი“ იგებს და თქვენც უნდა მოიგოთო. მანამდე არ ვიცოდი, რომ „კოტბუსი“ იგებდა და ჩვენც უნდა მოგვეგო!“* - გუნდი, რომელსაც ასეთი იდიოტი კაპიტანი ჰყავს, მეორე ბუნდესლიგაში თამაშსაც კი არ იმსახურებს! ჯერ ერთი, „არმინიას“ ყველა ვარიანტში უნდა მოეგო და მეორეც, **შლაუდრაფი** „ჰანოვერის“ ფეხბურთელია (!). გამოდის, კირხისთვის მეტოქე გუნდის ფეხბურთელს უთქვამს, მოგება გჭირდებათო...

მთლად ისეც რომ არ გამოგვივიდეს, „ვოლფსბურგი“ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ. ბოლოს და ბოლოს, ეს გუნდი ჩემპიონია! ცხადია, ყველას ისეთი ფეხბურთელები ახსენდება, როგორებიც არიან პასების ოსტატი **მიშიმოვიჩი** ან სუპერგოლეადორები **ჯეკო და გრაფიტე**, რომლებმაც გერდ მიულერისა და ული ჰიონესის რეკორდი დაამხეს (მიშიმოვიჩმა ჰერცოგის რეკორდი - 20 საგოლე პასი ერთ სეზონში - დაამხო). ჩვენ კი უფრო ეს მოთამაშეები გვახსენდება: **ალექსანდერ მადლუნგი, აშკან დეჟაგა, კაიუბი, სერგეი კარიმოვი, იოშიტო ოკუბო, სებასტიან შინდცილორცი**... განა არ იცოდით? ისინი გერმანიის ჩემპიონები არიან! მაგრამ არ გვინდა ზედმეტები, „ვოლფსბურგი“ ღირსეული ჩემპიონია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიუკასლი

# ცვლილებების ქარი მალე დაბერავს



მაიკ ეშლი

„ნიუკასლი“ გავარდა... ჩვენი ნებისმიერი მკითხველისთვის, რომელიც ბოლო 12-15 წელიწადია, რეგულარულად ადევნებს თვალს ინგლისურ ფეხბურთს, ამ ფაქტთან შეგუება ძალზე ძნელი იქნება. მხოლოდ იმიტომ არა, რომ ოდესღაც ამ გუნდში ჩვენებური **თემურ ქეცბაია** თამაშობდა და ჩვენ ამ გუნდს ერთად ვგულშემატკივრობდით. „კაჭკაჭებს“ ჰქონდათ რაღაც განსაკუთრებული ხიბლი, რომლის გამო ის, ბოლო წლების ჩათვლითაც კი, პრემიერლიგის ერთ-ერთ თვალსაჩინო გუნდად მიიჩნეოდა. „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მრავალი კონკურენტი ჰყოლია, მაგრამ „ეშმაკების“ ფანებმა განსაკუთრებული სიმღერები სწორედ „ნიუკასლთან“ ჩატარებულ თამაშებს მიუძღვნეს. ჰოდა, სწორედ ეს გუნდი გავარდა... ერთი ხელის მოსმით ყველაფრის ერთი ადამიანისთვის დაბრალება უსამართლო იქნებოდა, მაგრამ კრიზისი, პირველ რიგში, კლუბში სწორედ **მაიკ ეშლის** აბდაუბდა პოლიტიკამ გამოიწვია. მისმა დაუდევარმა დამოკიდებულებამ გუნდიდან **კევინ კიგანი** გააქცია და საფინალო ვარდნაც სწორედ აქედან დაიწყო. მერე იყო ორთვიანი პერიოდი, როცა ეშლიმ **ჯო კინეარს** კონტრაქტი ორჯერ გაუგრძელა... თითო თვით. ეს, რასაკვირველია, გუნდში სტაბილურობის განცდას ყველაზე ნაკლებად ბადებდა. ამ ყველაფრის დასასრული კი მშვენივრად იცით.

ეშლი კვირის ბოლომდე აპირებს **ალან შირერთან** შეხვედრას და მასთან სამომავლო გეგმებზე მსჯელობას. ერთი რამ ფაქტია. „ნიუკასლის“ მესაკუთრის მიერ კლუბში ჩადებული 250 მილიონ გირვანქამდე უკვე წყალშია გადაყრილი. კლასში დაქვეითება დამატებით 30-60 მილიონის ზარალს ნიშნავს და ბიზნესმენს ამასთან შეგუებაც მოუწევს. შირერმა უკვე განაცხადა, რომ მზადაა, კლუბი ჩემპიონშიფშიც გაწვრთნას. მისი აზრით, იმისთვის, რომ გუნდმა მაქსიმალურად სწრაფად მოახერხოს პრემიერლიგაში დაბრუნება, ამისთვის გრანდიოზული ცვლილებებია საჭირო. ცვლილება კლუბში უნდა შეეხოს ყველა რგოლს. აი, რას აცხადებს ჯორდების მმართველი დირექტორი **დერეკ ლამბიასი**: *„პრემიერლიგასთან განშორება ყოველი იმ ადამიანისთვის, რომელიც, ასე თუ ისე, „ნიუკასლთან“ არის დაკავშირებული, უდიდესი იმედგაცრუება იყო. ვწუხვარ და ვიზიარებ მაიკ ეშლის წუხილს, რომელმაც კლუბში ამხელა თანხები ჩადო, მაგრამ შედეგი ვერ მიიღო. მესმის ყოველი გულშემატკივრისაც. მთელი სეზონის განმავლობაში კლუბში მათ ფანტასტიკურ მხარდაჭერას ვგრძნობდით. რას ვიზამთ?*

*მე, მაიკი და ალანი აუცილებლად დავსხდებით მაგიდასთან და დავსახავთ გეგმებს, როგორ უნდა გამოვიდეს გუნდი შექმნილი კრიზისიდან. დარწმუნებული ვარ, სულ მალე გულშემატკივარს კონკრეტულ გეგმას გავაცნობთ“.*

სავარაუდოდ, ამ შეხვედრაზევე გაცხადდება, რომ „ნიუკასლის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მომავალი სეზონისთვისაც ალან შირერი რჩება. ყოველ შემთხვევაში, გულშემატკივრები სწორედ ამ იმედით ცხოვრობენ.

ვეტერანი

# სქოულზი კარიერას ასრულებს?

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ვეტერანმა **პოლ სქოულზმა** აღიარა, რომ ის მომდევნო სეზონის დასრულებისთანავე ფეხბურთიდან წასვლას აპირებს. შარშან, ოქტომბერში მან და **რაიან გიგზმა** „ეშმაკებთან“ ხელშეკრულებები ერთი წლით გაახანგრძლივეს, თუმცა როგორც ჩანს, ასაკს თავისი მიაქვს - პოლი საფეხბურთო თვალსაზრისით მოხუცდა და მშვიდი ცხოვრება მოენატრა. ფაქტია, ის სულ უფრო ნაკლებ კონკურენციას უწევს თანაგუნდელებს. სქოულზმა პრაქტიკულად ყველა პრინციპული შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე დაიწყო. მის გამოჩენას ძირითადში არც დღეს ელიან „ბარსელონას“ წინააღმდეგ.

*„ამ საკითხზე ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე. ერთი სეზონიც და ფეხბურთიდან წავალ. ჩემი კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე სწორედ ეს ვადა დარჩა. შეხედეთ, წელს ისე უკვე ველარ ვთამაშობდი, ეჭვი არ მეპარება, რომ პროგრესი არც მომავალ წელს იქნება. თანაც ხელს მიშლის ტრავმაც. ლამის ყოველ სეზონში 3 თვეს მაინც ტრავმის გამო ვისვენებ. სწორედ ჯანმრთელობის გამო იყო წლევანდელ კამპანიაში ჩემი წვლილი იმაზე უფრო მოკრძალებული, ვიდრე ვისურვებდი. მუხლის ტკივილის გარდა მაწუხებს ცუდი მხედველობაც. ეს ყველაფერი აშკარად ასაკის ბრალია. იმ შემთხვევაშიც კი მიჭირს, როცა 10-დან ძირითადში მხოლოდ ერთხელ ვხვდები. თანაც, ამ რეჟიმის პირობებში ფორმის შენარჩუნება მიჭირს - ზოგს ეს გამოსდის, მე სხვანაირი ვარ და ვერ ვახერხებ. არ გამოვრიცხავ, რომ ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას მივყო ხელი. ჯერ უნდა დავაკვირდე, როგორ წავა ჩემი სწავლის საქმე. თუმცა იქამდე დიდი დროა. ჯერ ოჯახთან ერთად დავისვენებ ჩემს გემოზე, რადგან აშკარად ვიგრძენი, რომ მათ გარეშე უფრო მეტად გამიჭირდა ვიდრე ოდესმე“*, - განაცხადა 34 წლის ვარსკვლავმა.



პოლ სქოულზი



სანდერლენდი

# ამბიციური გეგმები

გუშინდელ ნომერში უკვე გაცნობეთ, რომ „სანდერლენდის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **რიკი სბრაჯა** თავისივე ინიციატივით გადადგა. კლუბის პრეზიდენტი, სახელოვანი ირლანდიელი ვეტერანი ფეხბურთელი **ნაიალ ქვინი** აცხადებს, რომ ის მაღალი კვალიფიკაციის მთავარ მწვრთნელს ეძებს: *„ჩვენ იმ კალიბრის სპეციალისტის დანიშვნა გვსურს, რომელიც გუნდში ისეთ ვარსკვლავებს მოიზიდავს, რომელთა დახმარებითაც ჩვენს ამბიციურ გეგმებს ხორცს შევასხამთ. ჩვენ პიარისგან შელებილი ვარსკვლავები (აშკარაა, რომ ის ჯიბრილ სისეს გულისხმობს. რედ.) კი არა, ნამდვილი ფეხბურთელები გვჭირდება“.*

ნაიალ ქვინის სიაში ფიგურირებენ „ტვენტეს“ თავკაცი **სტივ მაკლარენი**, ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სლავენ ბილიჩი**, „სელტიკიდან“ ორიოდე დღის წინათ წასული **გორდონ სტრაჩანი** და დროებით უმუშევარი **ფრანკ რაიკაარდი**... კანდიდატთა სიაში იყო „ჰამბურგის“ დამრიგებელი **მარტინ იოლიც**, მაგრამ ის უკვე გამოირიცხა, რადგან გუშინ „აიაქსი“ ჩაიბარა. როგორც შოტლანდიური პრესა წერს, ქვინი, პირველ რიგში, სტრაჩანის კანდიდატურას განიხილავს.

ასტონ ვილა



# ოუენი ვილა პარკზე

როგორც ინგლისური წყაროები წერენ, „ნიუკასლის“ კაპიტან **მაიკლ ოუენს** „კაჭკაჭებთან“ ხელშეკრულება ერთ თვეში უმთავრდება, შესაბამისად, ის თავისუფალი აგენტის სტატუსს მოიპოვებს და ახალ გუნდს იპოვის. მაიკლი ქვედა ლიგაში კარიერის გაგრძელებას არ აპირებს. პრესა მისით დაინტერესებული რამდენიმე კლუბის სახელს აკონკრეტებს. ესენი არიან: „მანჩესტერ სიტი“, „ევერტონი“, „სელტიკი“ და „ასტონ ვილა“. სიაში ფიგურირებდა „ლივერპულიც“, მაგრამ **რაფა ბენიტესმა** ცნობა კატეგორიულად უარყო. როგორც ამბობენ, ინგლისის ნაკრების ყოფილ ფორვარდს ყველაზე მეტად „ვილა პარკზე“ გადასვლის ვარიანტი ხიბლავს, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი კლუბებიდან ის ყველაზე ამბიციური და ყველაზე შეძლებულია, რაც, თავისთავად, სულაც არ არის უმნიშვნელო ფაქტორი. თანაც, რამდენიმე დღის წინ უკვე გაცხადდა, რომ **მარტინ ონილი** შედეგიან ფორვარდს ეძებდა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

ონილი დაინტერესებულია უნგრეთის ნაკრების ცენტრალური მცველის **როლანდ იუჰაშის** შეძენითაც. 25 წლის ფეხბურთელი (44 თამაში ნაკრების შემადგენლობაში) ამჟამად „ანდერლეხტის“ შემადგენლობაში ასპარეზობს. მისი სავარაუდო ფასი 5 მილიონ ევრომდე აღწევს. მოგეხსენებათ, მუხლის უმძიმესი ტრავმის გამო ფეხბურთთან გამოთხოვებას აპირებს 32 წლის დანიელი **მარტინ ლაურსენი** და უნგრელიც მის შემცვლელად განიხილება.

ბირმინგემელებს კარგი საყრდენის მოძებნაც მოუწევთ, რადგან „ვილასთან“ კონტრაქტი უმთავრდება **გარეთ ბერის**. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი „ლივერპულში“ გადასვლას აპირებს.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

(გაგრძელება)

## სისხლიანი ფერია სევილიაში

დღეს შეიძლება ვაღიარო: მაშინ მართლა გავიფიქრე, რომ **პატრიკ ბატისტონი** მოკვდა. ტელევიზორებს მიჯაჭვულმა 30-მა მილიონმა ფრანგმა მასთან ერთად შეიგრძნო ის მომაკვდინებელი დარტყმა, რომელიც სევილიაში **ჰარალდ შუმახერმა** მიაყენა.

მომაკვდინებელი დარტყმა... ამის პატიება არ შეიძლება. არც მოჩვენებითი შერიგება იქნება მართებული, რომელიც სექტემბერში, პატრიკის ქორწილის წინ მშვიდობის მოყვარულებმა მოაწყვეს. გფრ-ის ნაკრების მეკარეს გამართლება არ აქვს...

დღეს, როცა ამ წყეული მატჩის ჩანაწერს ვატრიალებ, ღილაკს თითს ვაჭერ და ფირს მსხვილი ხედით ამ მომენტზე ვაჩერებ. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ პატრიკმა მართლაც სიკვდილს ჩახედა თვალებში.

ეს მოხდა 1982 წლის 8 ივლისს, სევილიაში - ხარების ბრძოლებით განთქმულ ქალაქში, სადაც ეს ხელოვნება რელიგიამდე არის აყვანილი.

*„მას, ვისაც სევილიაში კორიდა არ უნახავს, არ იცის, რა არის ხარების შუადღე“*, - ამბობდა **ხოსელიტო (ერნესტ ჰემინგუეის** რომანის „სიკვდილი შუადღის შემდეგ“ პერსონაჟი).

მას, ვისაც არ უნახავს შეხვედრა საფრანგეთი-გფრ, არ იცის, რა არის მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატზე.

სადღაც წამიკითხავს, როგორ მოკვდა **ხუან ბელმონტე** - მოწიფული ასაკის ტორეადორი. მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. გავიგე, რომ კადისიდან პამპლონამდე ყველამ სამგლოვიარო ტანსაცმელი ჩაიცვა, სევილიამ კი ქრისტიანულად დაასაფლავა თავისი კერპი.

დარწმუნებული ვარ, რომ იმ საშინელ ღამეს სევილიის მთელი მოსახლეობა ჩვენთან ერთად წუხდა პატრიკის გამო, რომელიც შუმახერის დარტყმის შემდეგ, კომატოზურ მდგომარეობაში ჩავარდა.

პირადად მე მეგონა, რომ პატრიკი მოკვდებოდა. საბედნიეროდ, ის გონს მოვიდა. ფუძის ძვალი გაებზარა, მაგრამ მოტეხილობას გადაურჩა... ჩვენ სევილია თავაწეულებმა, მაგრამ გულგატეხილებმა დავტოვეთ.

მთელი სევილია, რომელიც ორი საფეხბურთო გუნდის - „სევილიასა“ და ბეტისის“ გულშემატკივრებად არის დაყოფილი, იმ დღეს გაერთიანდა და ჩვენს მხარეს იყო.

ეს ჩვენი თამაშით დავიმსახურეთ.

თუ გულახდილნი ვიქნებით, მინდორზე იმ განცდით გავედით, რომ ფინალში გასვლას შევძლებდით. გამარჯვების წყურვილი გვკლავდა. გფრ-ის ნაკრები, თავისი წარსული დიდებისა და უმაღლესი პრესტიჟის მიუხედავად, ჩვენში არანაირ კომპლექსს არ იწვევდა. ძალები აბსოლუტურად თანაბარი იყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანელებმა თავიდანვე პრესინგი დაგვიწესეს. თამაშის დაწყებიდან 20 წუთის შემდეგ, **ლიტბარსკიმ** თითქოს ლაზერის შუქი გამოიყენაო, ჩვენს კარში უზუსტესი დარტყმა შეასრულა.

გფრ დაწინაურდა - 1:0.

თამაში ჩვენგან უდიდეს ტექნიკურ და მორალურ შესაძლებლობებს ითხოვს. ჩვენ, „ლურჯი ჯარისკაცები“, ნელ-ნელა გადავდივართ შეტევაზე.

მეორე ტაიმში მოედანზე ბატისტონი გამოდის. 10 წუთის შემდეგ, მინდორზე ნამდვილი დრამა გათამაშდა.

არასოდეს დამავიწყდება ამ სიგიჟისა და ტკივილის წამი.

პატრიკს გრძელ პასს ვაწვდი, რომელიც თავის მეურვეს, „ჰამბურგის“ მცველ **მანფრედ კალტცს** ატყუებს.

ის სწრაფად მიემართება შუმახერის კარისკენ. მეკარე დასწრებაზე თამაშს ცდილობს, თავისი საჯარიმოდან გამოდის და შესახვედრად მიიჩქარის. იმ მომენტში, როცა პატრიკი კარში ურტყამს (დარტყმა კარს ასცდა), შუმახერი მთელი სიჩქარით იდაყვითა და მხრით სახეში ეჯახება. ამ ყველაფერს **ბერნდტ ფიორსტერი** ხედავს, რომელსაც ასეთი კატასტროფის შემდეგ შეძრწუნებული სახე აქვს.

ეჭვგარეშეა, შუმახერმა ეს შეგნებულად გააკეთა. მას უნდოდა ჩვენი მოთამაშისთვის ტკივილის მიყენება. მტკიცებულება? ის სირბილით ბრუნდება თავის კარებთან და თითქოს არაფერი მომხდარაო, ბურთს ხელში ათამაშებს.




პატრიკი გაუნძრევლად წევს. ვხედავ, როგორ იფარებს სახეზე ხელს **ჟანვიონი** - ფიქრობს, რომ პატრიკი მკვდარია. ჩვენი ექიმი **ვრილაკი** ტრაგედიის ადგილისკენ მიისწრაფვის. შეშფოთებული სახე აქვს. ბატისტონს აშკარად სპაზმები აქვს და კანკალებს.

გადის წუთები. მოლოდინი აუტანელი ხდება. ჩვენი ექიმი რაღაცას უხსნის ესპანელ მედიკოსებს, რომლებიც ძლივს აწვენენ პატრიკს საკაცეზე. ვრილაკი ხერხემლის მოტეხილობას ეჭვობს. საბედნიეროდ, დიაგნოზი არ დადასტურდა. პატრიკს ტვინის შერყევა აქვს და რამდენიმე დღეს საავადმყოფოში გაატარებს. თუმცა კისერზე თაბაშირის სახვევი თავისი ქორწილის დღესაც უნდა ატაროს.

ამ ინციდენტმა მორალურად გაგვტეხა, მით უმეტეს, რომ ჰოლანდიელმა არბიტრმა **კორვერმა** ჩვენ მიმართ თანაგრძნობის ერთი ჟესტიც არ გამოიჩინა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჩვენს სასარგებლოდ და მცდელობაც არ ჰქონია წესის დამრღვევისთვის რაიმე სანქცია გამოეტანა.

შუმახერი მოედნიდან არ გაუგდიათ. ის კარებში რჩება. გაფრთხილებაც კი არ მიუღია და არც ჯარიმა დანიშნულა!

თუმცა დამატებით დროში ეს ხელს არ უშლის **მარიუს ტრეზორსა** და **ალან ჟირესს** ორი ბრწყინვალე გოლის გატანაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ გერმანელებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მივეცით, რაც პოტენციური ფინალისტისთვის დაუშვებელი საქციელია, მაგრამ ვერაფერს გავაწყობთ...

პენალტების შესრულებას ვიწყებთ. არ დავიწყებ 11-მეტრიანების სერიის დაწვრილებით აღწერას, რომელსაც ნაღვლიანი ფინალი ჰქონდა. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ თავიდან **შტილიკემ** ვერ გამოიყენა პენალტი. ის იმედგაცრუებული დაეცა მინდორზე და შუმახერის მახვილ მზერას გადააწყდა.

მაგრამ სამწუხაროდ, გერმანელს **დიდიე სიქსმაც** მიჰბაძა. ბურთი ნიშნულზე დააყენა, უკან დაიწია, გარბენი გააკეთა და... შუმახერმა მოიგერია ბურთი!

გაოგნებული დიდიე მუხლებზე ეცემა.

- არ გვიმართლებს, - აღვნიშნე მე.

- დავითარსეთ, - გამომეხმაურა **მაქსიმ ბოსი.**

ჩვენ დავასამარეთ ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლის შანსი. გფრ-ის ნაკრები მადრიდში მიემგზავრება, სადაც იტალიის ნაკრებთან მოუწევს შებრძოლება.

„იუვენტუსში“ ჩემი სენსაციური გადასვლის შემდეგ, მინდოდა ბოლო ბრძოლაში იტალიას შევხვედროდი, რომელმაც ბრაზილია და პოლონეთი დაამარცხა. მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოვიდა.

იძულებულნი ვართ ალიკანტეში მესამე ადგილისთვის „დამამშვიდებელი“ მატჩი ვითამაშოთ. მესამე თუ მეოთხე ადგილი, რა მნიშვნელობა აქვს?

რამდენიც უნდა არწმუნო საკუთარი თავი იმაში, რომ ჩვენ - საუკეთესო ფეხბურთელები ვართ მსოფლიოში, რომ ბრწყინვალე მატჩი ჩავატარეთ - ამ ყველაფერს ახლა აზრი აღარ აქვს.



ჩვენ სამუდამოდ შევინარჩუნებთ აუნაზღაურებელი დანაკარგის შეგრძნებას, ნაღვლიან და მწარე მოგონებას მადრიდის არშემდგარი ფინალის გამო.

ეს დიდი იმედგაცრუება, შეუხორცებელი ჭრილობაა და მე გადავწყვიტე ამის შესახებ ღია წერილი მივწერო ფრანგებს. ის ჟურნალ „პარი-მატჩში“ დაიბეჭდა ასეთი სათაურით: „სევილიაში დიდი სპორტის წესებს დაემუქრნენ“.

მასში ეწერა:

*„ძვირფასო თანამემამულენო!*

*ყველაფერი დამთავრდა. ფურცელი გადაიშალა, მაგრამ როგორი ფურცელი! საფრანგეთის ნაკრები, რომელმაც 24 გუნდს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა, მსოფლიოს ჩემპიონატიდან წარმატებით დაბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს წარმატება სევილიურ ღამეს შავი ფერებით შეიმოსა.*

*გონებაში მე ისევ იქ ვარ, ესპანეთში. ვერაფრით გადამიტანია ის დარტყმა, რომელიც ჩვენ ბედმა მოგვაყენა. მე კვლავ ვხედავ იმ სტადიონს, დროშებს, ხალხს, ვხედავ გატანილ გოლებს. ისევ განვიცდი იმ დაუვიწყარი საღამოს დამუხტულ ატმოსფეროს.*

*ისევ ვხედავ გერმანელების მიერ მოწყობილ რაღაც სატანურ ცეკვას. თავს ცუდად ვგრძნობ. რუმენიგე ამ ჯგუფს გამოეყო და ჩემთან მოვიდა. თავისი მაისურა გაიხადა, გამომიწოდა და გულწრფელად ჩამომართვა ხელი. ძალიან მიყვარს რუმენიგე. მე არ შემიძლია ჩემი ბოღმის მასზე გადატანა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მომენტში მრისხანებითა და დიდი წუხილით ვარ შეპყრობილი.*

*ჩვენ მოვიხადეთ ჩვენი ვალი. გულის სიღრმეში კმაყოფილი ვარ, რადგან გერმანელებს ფინალში ჭკუა ასწავლეს. იმ მატჩის დროს, მადრიდში „სანტიაგო ბერნაბეუს“ ტრიბუნაზე ვიჯექი, მაგრამ ვიცოდი, რომ ჩვენი ადგილი იქ, მწვანე გაზონზე იყო...*

*სრული გულწრფელობით შემიძლია განვაცხადო, რომ სევილიაში სპორტული პრინციპები გაითელა. მხედველობაში მაქვს გერმანელი მეკარის შუმახერის თავდასხმა ჩემს მეგობარზე პატრიკ ბატისტონზე, რის გამოც ეს უკანასკნელი საავადმყოფოში მოხვდა. და მსაჯის გულგრილი დამოკიდებულება ამ ინციდენტის გამო.*

*იმ მატჩის ფრაგმენტები კიდევ ერთხელ ვნახე ესპანეთის ტელევიზიით. მაშინ მოედანზე ვიმყოფებოდი და ყველაფერი ვერ შევამჩნიე. როცა ბატისტონმა დარტყმა შეასრულა, მე ბურთისკენ გავიქეცი და პატრიკზე თავდასხმა არ დამინახავს. არ გამიგია ჰოლანდიელი არბიტრის, კორვერის მოქმედება. ის კარგი მსაჯია. ფრანგებს არ ჰქონდათ მის კომპეტენციასა და პატიოსნებაში ეჭვის შეტანის საბაბი: ის მათი სტუმარი იყო მონტეგიუს პატარა ტურნირზე. იქ მას ყველა კარგად იცნობს, ის უყვართ გულშემატკივრებს და ყველა აღიარებს მის კომპეტენტურობას...*

*ახლა აღარ ღირს ამ საკითხთან მიბრუნება. შედეგს მაინც ვერ შევცვლით. მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რაოდენ სამწუხარო იყო იმ მატჩის წაგება. ვხედავ სევილიის პატარა აეროპორტში ფრანგ გულშემატკივრებს - თავჩაქინდრულებს, განადგურებულებს, ჩვენდამი თანაგრძნობით გამსჭვალულებს...*

*სევილიაში ჩვენი გულშემატკივრების წრეში ვიყავით, თითქოს იქ ერთი ოჯახი ცხოვრობდა. და მე ვიცი, რომ საფრანგეთში ასეთი კიდევ 30 მილიონი იყო, რომლებიც ტელევიზორების წინ ისხდნენ.*

*დიდ წუხილს გამოვთქვამ გფრ-თან წაგების გამო და სინდისის ქენჯნას ვგრძნობ, რომ მონაწილეობა ვერ მივიღე პოლონეთთან მესამე ადგილისთვის მატჩში. დღეს ეს შედეგი ბევრს არაფერს ნიშნავს.*

*15 დღის შემდეგ უკვე იტალიაში ვიქნები, მაგრამ მე თქვენ არ დაგივიწყებთ. „იუვენტუსთან“ ჩემი კონტრაქტის შედგენისას მოვითხოვე იმ პუნქტის შეტანა, რომელიც ნებისმიერ მომენტში მაძლევს ქვეყნის ნაკრებში გამოსვლის უფლებას.*

*ვფიცავ, რომ შემდეგ ჯერზე შევეცდები უკეთესად ვითამაშო.*

*გულწრფელად, თქვენი მიშელ პლატინი“.*

*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**

კალათბურთი

ინტერვიუ სეზონის საუკეთესო კალათბურთელ ლაშა გამყრელიძესთან

# დაფასებული შრომა

**დოსიე**

**ლაშა გამყრელიძე**

დაიბადა: 1986 წლის 4 თებერვალს
სიმაღლე: 183 სმ.
წონა: 78 კგ.

**კარიერა**

2002 შევარდენი
2003 თსუ
2004 აკადემია
2004-06 დინამო
2006-07 პანტერსი (ავსტრია)
2007-დან ენერჯი

**მიღწევები**

2004 ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი
2006 B დივიზიონის ჩემპიონი
2005, 2009 საქართველოს თასი
2007, 2008, 2009 საქართველოს ჩემპიონი
2009 საქართველოს პირველობის საუკეთესო კალათბურთელი



გუშინ გამოვაქვეყნეთ 2008-09 წლების სეზონის საუკეთესოთა ჩამონათვალი. მესამე ადგილზე გავიდა **ვახტანგ ნაცვლიშვილი**, მეორეზე – **კოტე ტულუში**, ხოლო MVP-ს ჯილდო **ლაშა გამყრელიძეს** ერგო.

ლაურეატი "ლელოს" რედაქციაში გვესტუმრა და საჩუქრად "კვირის პალიტრის" მიერ გამოცემული უნიკალური ენციკლოპედია - "ყველაფერი ყველაფერზე" გადავეცით. ლაშამ კი ინტერვიუ დაგვიტოვა.

საუბრისას მაგიდაზე იდო "ლელოს" გუშინდელი ნომერი, რომლის საკალათბურთო გვერდს სათაურად ეწერა: "გამყრელიძემ მწვერვალი მესამე ცდაზე დალაშქრა". ლაშას ამ სათაურის თავისებური გაშიფვრა ვთხოვეთ.

- შარშან და შარშანწინ საქართველოს ჩემპიონი გავხდი. ორივე შემთხვევაში გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა ვიყავი. შესაბამისად, 2007 და 2008 წლებში თქვენი გაზეთის გამოკითხვის შედეგად საუკეთესო გამთამაშებლად დავსახელდი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს საქმეში პირველი ვარ. დღევანდელ "ლელოში" წერია, რომ საუკეთესო გამთამაშებლად 2009 წელსაც დავსახელდი, მაგრამ ამჯერად სეზონის MVP-დაც ამირჩიეს. ეს ნიშნავს, რომ მე-18 ჩემპიონატში საუკეთესო კალათბურთელი ვარ, რაც ერთი-ორად სასიხარულოა. რაც შეეხება მესამე ცდაზე მოგებას, მნიშვნელობა არ აქვს, საუკეთესოდ მესამე, მეოთხე თუ მეექვსე ცდაზე დავსახელდი... მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გამოკითხვაში ხმა მომცა და შრომა დამიფასა.

**- გამთამაშებლები განსაკუთრებით, ისეთ კლუბებში გამოირჩევიან, რომლებიც გუნდურად თამაშობენ...**

- კალათბურთი ჩოგბურთი არ არის, სადაც ჩოგანი ერთ კაცს უჭირავს. აწყობილ გუნდებში დიდი როლი აკისრიათ გამთამაშებლებს და ცენტრებს. წლეულს "ენერჯი" ერთ მუშტად იყო შეკრული და ჩემი საუკეთესოდ დასახელება თორმეტივე თანაგუნდელისა და მწვრთნელების დამსახურებაცაა. ლეჟავა, ტულუში, უგრეხელიძე... "ენერჯიში" მართლაც მაღალი კლასის კალათბურთელები იყვნენ შეკრებილნი, რაც თამაშს ერთი-ორად აადვილებდა.

**- მინდა მწვრთნელზეც გკითხო...**

- როგორც ვთქვი, "ენერჯიში" ძლიერი შემადგენლობა იყო თავმოყრილი, თუმცა მხოლოდ გვარები წარმატებას არ მოიტანს. რაც მეტად ძლიერია კალათბურთელი, შეიძლება მეტი ამბიციაც ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, მათი შეკვრა რთული საქმეა. მწვრთნელმა, დავით უსტიაშვილმა ეს შეძლო, ამიტომაც გავხდით ჩემპიონები, ხოლო იგი ზედიზედ მესამე სეზონია საუკეთესო მწვრთნელად სახელდება.

**- იქნებ, გასულ სეზონში შენი საუკეთესო მატჩი გაიხსენო...**

- ძნელი ასარჩევია...

**- პარადოქსია, მაგრამ "ავიამშენთან" ნახევარფინალური სერიის მეოთხე მატჩი მახსენდება, რომელშიც დამარცხდით...**

- იმ შეხვედრაში 31 ქულა ჩავაგდე, მაგრამ საუკეთესო ნამდვილად არ ყოფილა, რადგან წავაგეთ. დამამახსოვრდა თასის ფინალი, რომელშიც "ავიამშენი" დაძაბულ ბრძოლაში დავამარცხეთ. წლეულს სერიოზული მატჩები თითზე ჩამოსათვლელი იყო, თანაც შარშანდელთან შედარებით ნაკლები რაოდენობის შეხვედრები გავმართეთ. ნამდვილი ჩემპიონატი ნახევარფინალიდან დავიწყეთ. მეტსაც ვიტყვი – მიმაჩნია, "ავიასთან" არა ნახევარფინალი, არამედ ფინალი ვითამაშეთ. სერიის ოთხივე მატჩი კარგად დამამახსოვრდა. ...და, რა თქმა უნდა, ფინალი. საუ-მ თავისი საქმე ნახევარფინალის მოგებით გააკეთა და ჩვენთან ბოლომდე ბრძოლა გაუჭირდა.

**- შენი აზრით, რის ხარჯზე მიაღწიე MVP-ს ჯილდომდე?**

- მძიმე ვარჯიშების ხარჯზე. პროგრესი შრომის შედეგია. 2003 წელს ჭაბუკთა ნაკრებში გიორგი ცინცაძის, მანუჩარ მარკოიშვილისა და ვიქტორ სანიკიძის გვერდით ვთამაშობდი. მაშინ მათ ნიჭიერებას ყველა ხედავდა. მე კი გუნდის რიგითი წევრი ვიყავი. თავისებური ნიჭი ყველა ადამიანშია და მეც მჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან, რაღაცას მივაღწევდი. იმასაც ვაცნობიერებდი, რომ ეს მძიმე ვარჯიშების გარეშე არ მოხდებოდა. თუმცა, მხოლოდ კალათბურთელის რწმენა საკმარისი არ არის, საჭიროა, ვინმემ დაგინახოს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდულ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი, უმაღლეს ეშელონში არავინ დამიძახა. მაშინ, კალათბურთელის კარიერის დასრულებაზე დავფიქრდი, მაგრამ, საბედნიეროდ. გვერდში მედგა ჩემი პირველი მწვრთნელი გურამ მეგრელაძე, რომელიც მეუბნებოდა: დიდი კალათბურთის თამაში შეგიძლია, ჩამოვა ვინმე უცხოელი და აუცილებლად დაგინახავსო. გვერდში მედგა მამაჩემიც და მთელი ჩემი ოჯახიც, ძმები... ბოლოს, ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც გულის სიღრმეში მჯეროდა. ჯერ "აკადემიადან" გიორგი ცინცაძე "ბასკოში" გადავიდა, გუნდს გამთამაშებელი დასჭირდა და იქ დამიძახეს.

**- შემდეგ?**

- "აკადემიადან" ავტომატურად ჭაბუკთა ნაკრებში მოვხვდი. 2004 წლის ზაფხულს ხორვატი სპეციალისტი, დრაჟენ ბრაიკოვიჩი კი ამბობდა, შემადგენლობას ნაკრებისთვის ვარჩევო, მაგრამ პარალელურად "დინამოს" დაკომპლექტებაზე ზრუნავდა. მის გუნდს ჭაბუკთა ნაკრები ეთამაშა. მე იუნიორებში ვირჯებოდი. ხორვატმა შუა მატჩისას "დინამოს" მაისურა მომცა და მეორე ტაიმში ჭაბუკების წინააღმდეგ მათამაშა. ეს "დინამოს" წევრობას ნიშნავდა. სწორედ მაშინ გამახსენდა ჩემი აღმზრდელი მწვრთნელის სიტყვები – პირველად ჩემი შესაძლებლობები სწორედ უცხოელმა სპეციალისტმა დაინახა. ნაკრების მომდევნო მწვრთნელ გორდონ ჰერბერტს ბრაიკოვიჩთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ მანაც ნაკრებში მიმიწვია და მათამაშა კიდეც. ნაწყენი არავისზე ვარ, მაგრამ, საქართველოში ერთი ტენდენციაა: სანამ არ დაამტკიცებ, ხელს არავინ მოგკიდებს...

**- ახლა სამომავლო გეგმებსაც შევეხოთ.**

- 5-10 დღე კალათბურთისგან დავისვენებ და მერე ვარჯიშს შევუდგები. რთული სეზონის შემდეგ ბურთისგან დასვენება მართლაც საჭიროა და ამიტომ ჯერ ფიზმომზადებაზე ვიმუშავებ. სანამ არ მომენატრება, ბურთს ხელში არ ავიღებ. საქართველოს ნაკრები 20 ივლისისთვის იკრიბება და ვიცი, რა სირთულის ვარჯიშებიც მელის. ამიტომ ვეცდები, შეკრებას ფიზიკურად მომზადებული შევხვდე. იმედი მაქვს, ვარჯიშები კარგად ჩაივლის და ოფიციალურ მატჩებს მომზადებულნი შევხვდებით.

**- როგორ ფიქრობ, საქართველოს ნაკრები შარშანდელზე უკეთესი გუნდი იქნება?**

- ასე უნდა იყოს, რადგან უცხოეთში ყველას კარგი სეზონი ჰქონდა, საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზეებიც მზად ვართ და, რაც მთავარია, გვყავს ძლიერი მწვრთნელი, რომელმაც იცის როგორ მოგვამზადოს. შარშან, ყველას თავისი ფუნქცია კარგად ჰქონდა გააზრებული. წლეულს კიდევ უფრო მეტად უნდა შევიკრათ... ეს კი წარმატების იმედს მაძლევს.

**- თუ აკვირდები, წლეულს ლეგიონერებიც სტაბილურობით გამოირჩევიან.**

- ეს ასაკის ბრალია. ეროვნულ ნაკრებში 2004 წლის შემდეგ ვთამაშობ. 5 წლის წინათ მეტად ახალგაზრდული ნაკრები გვყავდა. მაშინ უმეტესობა 17-18 წლისანი ვიყავით. მას მერე ასაკიც მოგვემატა და გამოცდილებაც. წლეულს მარკოიშვილიც გუნდის ლიდერია, სანიკიძეც და ცინცაძეც. ზაზა ფაჩულია NBA-ს დონის კალათბურთელია. ნიკა ცქიტიშვილმა დამაჯერებელი სეზონი ჩაატარა, ვლადიმერ ბოისა ხორვატიის ფინალებს თამაშობს...

**- შეიძლება იყოს კითხვა, რომლის მოსმენაც გსურდა, მაგრამ არ დამისვამს...**

- დასკვნის სახით ვიტყვი: წლეულს ჩემს მიზანს მივაღწიე – მოვიგე ხუთიდან ოთხი ტურნირი. დასანანია, რომ სუპერთასი დავთმეთ. ვიმედოვნებ, გაისად "ენერჯი" ხუთივე თასის მოგებას დაისახავს მიზნად და მეც ბოლომდე დავიხარჯები. მივაღწიე სეზონის საუკეთესო კალათბურთელად აღიარებასაც... ბედნიერი ვიქნები, თუ ნაკრებთან ერთად A დივიზიონის საგზურს მოვიპოვებ.

ვაჟა სიმონიშვილი




ლაშა გამყრელიძე (ბურთით)

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# ერთი რეპეტიცია მსოფლიოს ჩემპიონატამდე

პლაჟბურთის ქართული წყვილები გეორ-გია და საქა-რთველო მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რომელიც 25 ივნისს, ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში აიღებს სტარტს, ბოლო რეპეტიციას დღეიდან გაივლიან.

გეორ-გია მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე პოლონეთის ქალაქ მიშლოვიცეში იასპარეზებს. სამწუხაროდ, ჩვენს ფრენბურთელებს, წლეულს პირველად, საკავალიფიკაციო ეტაპიდან მოუწევთ შეჯიბრებაში ჩართვა. დღეისათვის გეორ-გიამ 480 ქულა მოაგროვა და მსოფლიო კლასიფიკაციაში მე-11 ადგილზეა.

ამდენივე ქულა აქვს და რეიტინგში მე-13 პოზიციაზეა ქალთა შორის ქართული წყვილი საქა-რთველო. ჩვენი ფრენბურთელები დღეიდან კორეის დედაქალაქ სეულში ჩაერთვებიან შეჯიბრებაში. ვაჟთა მსგავსად, ასპარეზობას ისინიც საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებენ.



მსოფლიო რეიტინგი: ვაჟები: **1. ალისონ ჩერუტი-ჰარლი მარკესი (ბრ) - 1620 ქულა, 2. პედრო კუნია-პედრო სალგადო (ბრ) - 1320, 3. ჯულიუს ბრინკი-იონას რეკერმანი (გერ) - 1080, 4. ემანუელ რე**გო-რიკარდო შანტუში (ბრ) - 1020, 5. დიმიტრი ბარსუკი-იგორ კოლოდინსკი (რუს) - 900, 6. მარსიო არაუჟო-ფაბიო მაგალიაეში (ბრ) - 720, 7. მიჰალ ბიზა-პაველ როტრეკლი (ჩეხ) - 720, 8. კრისტიან კაისი-რივო ვესიკი (ესტ) - 660, 9. ჯონათან ერდმანი-სტეფან ვინდშოიფი (გერ) - 540, 10. კრისტოფ დიეკმანი-კაი მატიშიკი (გერ) - 480, 11. გეორ-გია (საქ) - 480.

ქალები: 1. მარია ანტონელი-ტალიტა ანტუნესი (ბრ) - 1 320 ქულა, 2. სარა გოლერი-ლაურა ლუდვიგი (გერ) - 1 200 3. ჯულიანა სილვა-ლარისა ფრანკა (ბრ) - 1 200, 4. კაროლინა სალგადო-მარია კლარა სალგადო (ბრ) - 1 140, 5. ვანილდა ლეაორენატა რიბეირო (ბრ) - 1 020, 6. დორის შვაიგერი-სტეფანი შვაიგერი (ავს) - 780, 7. სანე კეიზერი-მარლენ ვან ლერსელი (ჰოლ) - 720, 8. ანჟელიკა ლუკვისტი-კარინ ლუნკვისტი (შვედ), 9. ვასილიკი არვანითი-მარია ცარციანი (საბ) - 660, 10. ჭიე ვანკი-მან ძუო (ჩინ) - 600, 11. ჯენიფერ კესიაპრილ როსი (აშშ) - 540, 12. ბარბარა ჰანსელი-სარა მონტანიოლი (ავს) - 480, 13. საქა-რთველო (საქ) - 480.

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი — საქართველოს ჩემპიონატი



დევები-დინამო

# პრეტენდენტი სამია

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგის გათამაშებაში სამი ტური მიილია. ჯერჯერობით დაუმარცხებლად ორი თბილისური გუნდი „არმაზი“ და „ხულიგანა“ ასპარეზობს. უმაღლესი ლიგის საგზურისთვის, სავარაუდოდ, სწორედ ესენი და ქუთაისის „ბაგრატი“ იბრძოლებენ. ამ უკანასკნელმა მესამე ტურში სტუმრად წააგო „ხულიგანასთან“ - 7:13.

პირველი გამარჯვება მოიპოვა გათამაშების დებიუტანტმა ფოთის „აიეტმა“, რომელმაც სტუმრად სძლია ოზურგეთის „არწივებს“ - 15:10.

შეგახსენებთ, რომ უმაღლესი ლიგის საგზურს ავტომატურად მიიღებს პირველი ლიგის გამარჯვებული. მეორეადგილოსანი კი, გადასასვლელ მატჩში დაუპირისპირდება უმაღლესი ლიგის ბოლოდან მეორე გუნდს.

**I ლიგა, III ტური**

ხულიგანა (თბ)-ბაგრატი (ქუთ) 13:7, დინამო/ივერია-თიბისი 16:43, არმაზი (თბ)-დევები (თბ) 8:5, არწივები (ოზ)-აიეტი (ფოთი) 10:15.

სატურნირო მდგომარეობა: 1. არმაზი - 6 ქულა, 2. ხულიგანა - 6, 3. ბაგრატი - 4, 4. აიეტი - 2, 5. დევები - 2, 6. თიბისი - 2, 7. დინამო-ივერია - 0, 8. არწივები - 0.

**დუბლები**

IV ტური: ლოკომოტივი (თბ) -ლელო (თბ) 3:36, ბათუმი XV - ვისოლი ყოჩები (თბ) 10:13.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ვისოლი ყოჩები - 8 ქულა, 2. ლელო - 6, 3. ბათუმი XV - 3, 4. ლოკომოტივი - 1.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭიდაობა

# მწვრთნელს ამაგი დაუფასეს

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ნუგზარ გაჩეჩილაძე** ნახევარ საუკუნეზე მეტია, ჭიდაობას ემსახურება. 1956 წელს თანაკურსელ **ვლადიმერ რუბაშვილის** რჩევით **ვასილ ილურიძესთან** დაიწყო ვარჯიში. იოლად აუღო ალღო ფანდებს და მალევე ანგარიშგასაწევი მეტოქე გახდა. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა რამდენჯერმე სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობა მოიგო. აქტიურ სპორტს 1965 წელს დაანება თავი და მწვრთნელობას მიჰყო ხელი. მისი აღზრდილები არიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონი **მალხაზ მერმანიშვილი**, ახალგაზრდებში ევროპის პირველობების ოქროსმედალოსნები — **ილია ლეგაშვილი, ვაჟა იმერლიშვილი** და სხვები.

თითქმის შვიდი ათეული წლით მხრებდამძიმებული ამაგდარი მწვრთნელი რვა წელიწადია, მართვეებს სოფელ გამარჯვებაში აფრთიანებს. 96 კილოში მისმა შეგირდმა **თორნიკე ხიდიშელმა** 2007 წელს ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა, შარშან პირველ ადგილზე გავიდა. ამჟამად იგი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ოცწლიანთა ევროპის პირველობისთვის ემზადება. მსგავს შეჯიბრებაში, ოღონდ ჭაბუკთა შორის, იასპარეზებს გაჩეჩილაძის მეორე აღსაზრდელი, თანატოლებში საქართველოს ჩემპიონი **ალექსანდრე ჯაჭვაძე** (69 კგ), რომელმაც ამას წინათ ერევნის საერთაშორისო ტურნირი მოიგო. საგულისხმოა, რომ სოფელ გამარჯვების ძველი კლუბის შენობაში 80-მდე მოზარდი ვარჯიშობს თავისუფალ ჭიდაობაში.

მეგობრები და ყოფილი შეგირდები დამსახურებული მწვრთნელის ამაგს არ ივიწყებენ. ლერი ხაბელოვის სახელობის სასპორტო კლუბ „იმედში“, **სოსო ბზარაშვილისა და გია ბაყაშვილის** ინიციატივით, პირველად გაიმართა ნუგზარ გაჩეჩილაძის სახელობის ტურნირი (მთავარი მსაჯი **პაატა თოიძე**) თავისუფალ ჭიდაობაში. ხალიჩაზე 1996-98 წლებში დაბადებული 174 ჭაბუკი იბრძოდა პირველობისთვის. გაგაცნობთ წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.

23 კგ. 1. **კამანდარ ასკეროვი** (მარნეული), 2. **ილია ჭუჭულაშვილი** (დედოფლისწყარო), 3. **ნიკა მათიაშვილი** (წყნეთი, ლუკა კურტანიძის კლუბი) და **ბაჩანა მარსაგიშვილი** (სტეფანწმინდა).

26 კგ. 1. **ელშან ნიფტალოღლი** (ქარელი), 2. **თემურ ჭაპანიძე** (ფოთი), 3. **ლევან ყიფიანი** და **ბაკო კანტიძე** (ორივე — კურტანიძის კლუბი).

29 კგ. 1. **ლექსო კილაძე** (რუსთავი), 2. **რატი კილანავა** (კურტანიძის კლუბი), 3. **ჯაბა მაისურაძე** და **გიორგი გურასაშვილი** (ორივე — რუსთავი).

32 კგ. 1. **აგილ მამედოვი** (ქარელი), 2, **ოლეგ დავითაძე** (რუსთავი), 3. **მიხეილ ბოჭორიძე** (საგარეჯო) და **ლევან ნიპარიშვილი** (კასპი).

35 კგ. 1. **ვალერი ფარჩუკიძე** (რუსთავი), 2. **ნიკა მათიაშვილი** (კურტანიძის კლუბი), 3. **გიორგი ჭალიძე** (გივი კარტოზიას კლუბი) და **შალვა ტაბატაძე** (რუსთავი).

38. კგ. 1. **გიორგი პასიკაშვილი** (საგარეჯო), 2. **ალი მაჰმადოღლი** (ქარელი), 3. **რომან ნოდია** (ფოთი) და **გელა ქოქიაშვილი** (დედოფლისწყარო).

42 კგ. 1. **ფერდო გონაშვილი** (დედოფლისწყარო), 2. **დათო ჯაოშვილი** (რუსთავი), 3. **ზაურ ბერაძე** (გივი კარტოზიას კლუბი) და **ირაკლი მენთეშაშვილი** (დედოფლისწყარო).

46 კგ. 1. **ტარიელ გაფრინდაშვილი** (თბილისის „მართვე“), 2. **ნიფტალ ნიფტალოღლი** (ქარელი), 3. **შალვა ქირიკაშვილი** (სტეფანწმინდა) და **ბექა ჭიაურელი** (საგარეჯო).

59 კგ. 1. **შოთა ბასილაშვილი** (ლერი ხაბელოვის კლუბი), 2. **ჯანგირა ახმედოვი** (ქარელი), 3. **თემურ თადაშვილი** (ფალავანთა კლუბი) და **დავით ლუდუშაური** (სტეფანწმინდა).

+ 50 კგ. 1. **გიგა მეშველიანი** (რუსთავი), 2. **ბაქარ მაჩიტაძე** (ქარელი), 3. **ნიკა მელიქიშვილი** (რუსთავი) და **შამუ კარიმოვი** (ლერი ხაბელოვის კლუბი).

ტურნირის მთავარი ჯილდო შოთა ბასილაშვილს გადაეცა.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო

# სწორი გზით მიდიან...

## შიდა ქართლის ძიუდოს სკოლა ძველ დიდებას იბრუნებს და ამას ახალგაზრდები იწყებენ

გასულ უქმეებზე თბილისში, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის დარბაზში ძიუდოში გამართულ საქართველოს ახალგაზრდულ პირველობაში დიდი ხნის შესვენების შემდეგ გუნდური პირველობა შიდა ქართლმა მოიპოვა. აქაური ძიუდოს სკოლა საქართველოში მუდამ ერთ-ერთი გამორჩეული იყო, თუმცა წარმატებებმა 90-იანი წლებიდან შესამჩნევად იკლო. ძველი დიდების დასაბრუნებლად, გამოცდილ სპეციალისტებთან გურამ პაპიტაშვილთან, გივი ზაუტაშვილთან და ქართლოს პავლიაშვილთან ერთად ენერგიულად დაიწყეს გარჯა ახალგაზრდა მწვრთნელებმა ანზორ თენაძემ, ნიკო ბიბილაშვილმა, დავით პავლიაშვილმა.

და აგერ, მორიგი, უწინდელზე დიდი წარმატება ისევ მოვიდა. ამ თემაზე და გამარჯვებული გუნდის გამოსვლის თაობაზე შიდა ქართლის ნაკრების მწვრთნელებს ნიკოლოზ ბიბილაშვილს და გივი ზაუტაშვილს ვესაუბრეთ.



საქართველოს ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებული შიდა ქართლის ძიუდოისტთა ნაკრები)

**ნიკოლოზ ბიბილაშვილი:** — ქვეყნის პირველობაზე ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა ორი ოქროს, სამი ვერცხლის და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ შედეგით უკან ჩამოვიტოვეთ, თბილისის, კახეთის, იმერეთის და სხვა გუნდები. 55 კგ-ში ჩვენგან ოთარ კაიდარაშვილი მესამე იყო. იგი ანალოგიური ტურნირის შარშანდელი ფინალისტი და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორია, ამიტომ ამჯერად ოქროს მედალი დავუგეგმეთ. თუმცა, სამწუხაროდ, ოთარი ვახტანგ ჩიდრიშვილთან (კახეთი) დამარცხდა, შემდეგ კი თანაგუნდელ ლაშა გიუნაშვილს მოუგო და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. შარშან ფინალში მან თბილისელ გიორგი ბროლაშვილთან წააგო, რომელიც ახლა 60 კგ-ში გამოდის და ამჯერად მასთან ერთგვარ რევანშს ნახევარფინალში კიდევ ერთმა გორელმა გიორგი ტაბატაძემ მიაღწია.

**— შეგირდებით ალბათ ყველაზე მეტად კმაყოფილი სწორედ ამ წონით კატეგორიაში იქნებით. კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ხომ გორელები დადგნენ...**

— დიახ, 60 კგ-ში ჩვენი მოსწავლეები დომინირებდნენ. იგივე ტაბატაძე მეორე ადგილზე გავიდა. გადამწყვეტი პაექრობა მან თანატოლებში ქვეყნის ორგზის ლაურეატთან, ასევე გორელ პაატა მერებაშვილთან დათმო. მესამე ადგილი კი ლაშა ლომიძემ დაიკავა, ვისგანაც ასეთ შედეგს არც ველოდით. აქვე აღვნიშნავ, რომ შორს არ უნდა იყოს ის დრო, როდესაც მერებაშვილი უფროსებშიც იტყვის ომახიან სიტყვას. ძლიერია და ტიტულებიც არ აკლია 66 კგ-ში ბრინჯაოსმედალოსან ზვიად კაპანაძეს. ერთადერთი მარცხი მან ნახევარფინალში, მსაჯების გადაწყვეტილებით (ჰანტეი) იწვნია მომავალ გამარჯვებულ არკადი ავალიანთან (ქვემო ქართლი). მომდევნო 73 კგ წონით კატეგორიაში შიდა ქართლის ნაკრების წარმომადგენელმა ზურაბ ტატალაშვილმა ფინალში ვერ მოუგო თბილისელ ლაშა ზურაბიანს და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

**— ქართლმა ყველაზე უფრო 81 და 90 კგ წონით კატეგორიებში მოისუსტა. რატომ ვერ შეძლეს თქვენმა შეგირდებმა აქ რომელიმე სინჯის მედლის მოპოვება?**

— საერთო შედეგის ფონზე წარუმატებლობა ამ წონებში სხვა მედლებმა გადაფარა, თუმცა, ბუნებრივია, მდგომარეობის გამოსასწორებლად მეტს ვიმუშავებთ. 90 კგ-ში იმედს გვიტოვებს იოსებ გუზიტაშვილი. მხოლოდ წელიწადზე ცოტა მეტია, რაც იგი ძიუდოში ვარჯიშობს, თუმცა ისეთი მეტოქეები გამოთიშა პირველობისათვის ბრძოლას, რომლებსაც მედლების კანდიდატებად მოიაზრებდნენ. 81 კგ-ში ჩვენი ჯილა სამბოში ევროპის ჩემპიონი ნოდარ კუდუხაშვილი გახლდათ. მიმაჩნია, რომ მას არ უჭიდავია ცუდად, მაგრამ მეორე შეხვედრაში მომავალ ჩემპიონ ავთანდილ ჭრიკიშვილთან (თბილისი) მხოლოდ ჰანტეით გამოცხადდა დამარცხებულად. არადა, ვფიქრობთ, ის მეტოქეზე შედარებით აქტიური იყო.

**— ჩანს, ჰანტეი ამ შეჯიბრებაზე არცთუ იშვიათად ფიქსირდებოდა...**

— საკმაოდ ბევრჯერ მოუწიათ მსაჯებს გამარჯვებულის ამგვარად გამოვლენამ. ერთი შეხედვით ეს გასაკვირიც არაა. ორთაბრძოლები ერთობ დაძაბულად მიმდინარეობდა. მთავარია, მსაჯების გადაწყვეტილება ეჭვს არ ინვევდეს, თორემ გამარჯვებულის ამ გზით გამოვლენაც ხომ ძიუდოს ერთ-ერთი წესია. მინდა გითხრათ, რომ 100 კგ-შიც ჰანტეით წააგო მომავალ ჩემპიონ მიხეილ ნარიმანიძესთან (მცხეთა-მთიანეთი) შაკო ბერუაშვილმა და მერე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. არადა, ბერუაშვილსაც რომ მოეგო, ამ წონაშიც შიდაქართლური ფინალი შედგებოდა. ნარიმანიძესთან ერთად გადამწყვეტ პაექრობაში ტატამზე გორელი იასონ კარიბოვი გავიდა, მაგრამ დამარცხდა. კარიბოვი ამ ტურნირის შარშანწინდელი გამარჯვებული და შარშანდელი ფინალისტია, ოღონდ მძიმე წონაში. მან სულ ცოტა ხნის წინათ დაიკლო 12 კგ და ეს პირველი შეჯიბრება იყო 100 კგ-ში. შესაბამისად, იასონის მიერ მოპოვებული ვერცხლით ამ ეტაპზე უკმაყოფილონი ვერ ვიქნებით.

**— დაბოლოს მძიმე წონა, სადაც ტრიუმფული გამოდგა გორელი უშანგი კოკაურის წარმატება...**

— კოკაური მართლაც ბრწყინვალედ გამოვიდა, ხუთივე შეხვედრა წმინდად მოიგო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მის მიერ შარშანდელი პირველადგილოსნის და ევროპის პირველობების არაერთგზის პრიზიორის ლევან მუქერიას (რაჭა-ქვემო სვანეთი) დამარცხება იყო. სპეციალისტები კოკაურის პერსპექტიულობასა და მომავალში მის დიდ გამარჯვებებზე თამამად ალაპარაკდნენ.

**გივი ზაუტაშვილი:** ძალიან მიხარია ყველას ინდივიდუალური გამარჯვება და ის, რომ გუნდური პირველობა ჩვენ დაგვრჩა. არაერთხელ გვითქვამს, რომ შიდა ქართლის ძიუდოს სკოლა თავდაუზოგავად იბრძვის ჩვეული ადგილის დასაბრუნებლად. მიხარია, რომ დანაპირებს ვასრულებთ და ეს მორიგი წარმატებაც გვაფიქრებინებს, რომ სწორი გეზი გვაქვს აღებული. შესაძლებელია მომავალში ერთ კონკრეტულ შეჯიბრებაზე ჩავარდნაც გვქონდეს, ამისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ ეს ვერ იქნება ტრაგედია. მთავარია, წინსვლის ყველას მტკიცედ გვწამს.

**ვასილ ბალახაძე**

ავტორის ფოტო

პროფესიული კრივი

# შონიამ ევროპის სარტყელი წააგო



ლევან შონია

22 მაისს შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში საშუალოწონოსანმა მოკრივე **ლევან შონიამ** პროფესიულ რინგზე EBU-ს ვერსიით ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის 12-რაუნდიანი ბრძოლა გამართა შვეიცარიელ **ივ სტადერთან** და ქულებით დამარცხდა. გთავაზობთ სამივე მსაჯის შეჯამებულ ქულებს: 110:118, 110:118 და 112:117. შონია 24 წლის მოკრივეა, მას პროფესიულ რინგზე 18 ორთაბრძოლა აქვს გამართული, აქედან ქართველმა 13 (9 ნოკაუტით) მოიგო და 5 დათმო. მისი მეტოქე 26 წლისაა, სტადერმა 22-ივე შეხვედრა მოიგო. შონიასა და სტადერის ჩხუბს 1,2 ათასი მაყურებელი დაესწრო.

აშშ-ში, ქალაქ მაიამიში მსუბუქწონოსანი **სერგო განჯელაშვილი ჯერიმ ბრაიანტს** (აშშ) ეპაექრა, ეს სარეიტინგო ორთაბრძოლა 4-რაუნდიანი იყო და ის მსაჯების გადაწყვეტილებით ფრედ დასრულდა. განჯელაშვილი 26 წლისაა, პროფესიონალებში მას 7 გამართული ჩხუბიდან 4 აქვს მოგებული, 2 წაგებული.

29 მაისს ბრიტანეთის ქალაქ სტოკში 21 წლის **ვეფხია ჭილაია** მორიგ ბრძოლას გამართავს, ვეფხიას მეტოქე ირლანდიელი **დარენ საზერლენდია**, პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი საშუალო წონაში. ჭილაიამ პროფესიონალებში 18 შეხვედრა ჩაატარა და აქედან ნახევარი მოიგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# სერია გაიწელა

**კარმელო ენტონის** ძალიან წარუმატებელი თამაშის მიუხედავად („დენვერის“ ლიდერს კუჭ-ნაწლავის ინფექცია შეეყარა და თამაშიდან ნასროლი 16 ტყორცნიდან მხოლოდ სამი მოათავსა კალათში), „დენვერმა“ დამაჯერებლად დაამარცხა „ლეიკერსი“ და გაათანაბრა ანგარიში დასავლეთი კონფერენციის ფინალურ სერიაში. აღსანიშნავია, რომ „ნაგეტსი“ არასოდეს ყოფილა ასე ახლოს ფინალში გასვლასთან: კლუბის ისტორიას ორი ნახევარფინალური სერია ახსოვს და ორივეჯერ გუნდი 1:3-ს აგებდა სერიას.

ენტონიმ თავისი პირველი ქულა მეორე მეოთხედის ბოლოს დააგროვა. სამაგიეროდ, თამაში წაუვიდათ სასტარტო ხუთეულის სხვა წევრებს და სათადარიგო მოთამაშეებსაც. მასპინძელთა რეზერვისტები სტუმრებისაზე გაცილებით კარგად გამოიყურებოდნენ - 42 ქულა 24-ის წინააღმდეგ. ამასთან, „დენვერი“ ორივე ფარზე ბატონობდა: მისმა ერთბაშად სამმა კალათბურთელმა დააგროვა 13 და მეტი მოხსნა (მეორე შემთხვევა პლეი ოფის ისტორიაში), მოხსნების საერთო რაოდენობით კი „ნაგეტსმა“ 58:40 მოუგო მეტოქეს.

საბოლოოდ, **ჯორჯ კარლის** შეგირდებმა ოთხივე მეოთხედის მოგება მოახერხეს, სტუმრები კი მხოლოდ ერთხელ იყვნენ წინ - საფეხბურთო ანგარიში 1:0 დაიწერა Pepsi Center-ის ტაბლოზე, მას შემდეგ, რაც **კობი ბრაიანტმა** საჯარიმო ჩააგდო. „ლეიკერსის“ ლიდერმა მეორე ტყორცნა ააცილა. ამის შემდეგ, კობი საჯარიმოს ხაზიდან აღარ შემცდარა, სამაგიეროდ, თამაშიდან არც ისე კარგად ესროდა - 26-დან 10 ზუსტი ტყორცნა შეასრულა.



**დასავლეთი**

**დენვერი-ლეიკერსი 120:101**

22:19, 30:26, 25:21, 43:35

დ: ბილაპსი (24), სმითი (24), ენტონი (15), ნენე (14+13 მოხსნა+6 პასი), მარტინი (13+15 მოხსნა), დ. ჯონსი (12), კლეიზა (10), კ. ანდერსენი (6+14 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (34+7 მოხსნა), პ. გასოლი (21+10 მოხსნა+3 დაფარება), ბინუმი (14), ფარმარი (10), ოდომი (5+8 მოხსნა).

სერია: 2:2

# FIBA 16 გუნდს ითხოვს

**კალათბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ თხოვნით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს: ფედერაციას სურს, რომ ოლიმპიური თამაშების საკალათბურთო ტურნირის მონაწილეთა რიცხვი 12-დან 16-მდე გაიზარდოს. FIBA-ს აზრით, 16-გუნდიან შეჯიბრებაში უფრო მეტი ძლიერი გუნდი მოიყრის თავს და ეს კიდევ უფრო აამაღლებს სპორტის ამ სახეობის პოპულარობას. მაგალითად, შარშან პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალება არ მიეცათ ბრაზილიის, იტალიის, საფრანგეთისა და სერბეთის ძლიერ ნაკრებებს.

გარდა ამისა, ახალი ფორმულა სათამაშო დღეების შემცირების საშუალებასაც იძლევა, რადგან პირველ ეტაპზე ჯგუფები კლასიკურ სახეს მიიღებენ: თითოში ექვსის ნაცვლად ოთხი გუნდი იქნება.

*„კალათბურთი სწრაფი ტემპებით ვითარდება და დროა, ეს ვაღიაროთ,* - განაცხადა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **პატრიკ ბაუმანმა**. - *კალათბურთის რეიტინგი ძალიან გაიზარდა. ეს კარგია როგორც ჩვენთვის, ასევე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის. ჩვენ დიდი წვლილი მივვიძღვის ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში და შეიძლება კიდევ უფრო მეტი სარგებლობა მოვუტანოთ მას“.*

ფორმულა 1

# მაკლარენი 2010: ჰემილტონი და როსბერგი?

**გერმანული** პრესა აქტიურად განიხილავს „უილიამსის“ პილოტ **ნიკო როსბერგის** მომავალს. გერმანელ ავტომრბოლს არაერთხელ უთქვამს, რომ ბრიტანულ საჯინიბოში დარჩება, თუ გუნდი კონკურენტუნარიან ბოლიდს შექმნის. **ფრენკ უილიამსმაც** განაცხადა, რომ სურს ნიჭიერ პილოტთან კონტრაქტის გაგრძელება, მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ნიკომ მომავალი სეზონი „მაკლარენ მერსედესში“ გაატაროს...

„მერსედესის“ სპორტული განყოფილების ხელმძღვანელმა **ნორბერტ ჰაუგმა** დაადასტურა, რომ „მაკლარენი“ მოლაპარაკებებს აწარმოებს როსბერგთან 2010 წლის ტრანსფერის თაობაზე. გერმანელის მოქმედ კონტრაქტს „უილიამსთან“ ამ სეზონის შემდეგ ეწურება ვადა.

თუ ტრანსფერი განხორციელდა, როსბერგი „მაკლარენში“ **ჰეიკი კოვალაინენის** ადგილს დაიკავებს.

*„2007 წელს, როსბერგს კონტრაქტი ჰქონდა და ჩვენ არ შეგვეძლო მისი დარღვევა. ჯერ არ შემიძლია მოლაპარაკებების მსვლელობის შესახებ საჯაროდ ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ უკვე დიდი ხანია გვაქვს ურთიერთობა ნიკოსთან და ის იმ პილოტების რიცხვში შედის, ვისი ხილვაც ჩვენი გუნდის რიგებში გვსურს. მაგრამ როსბერგზე მარტო ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას“,* - ამბობს ჰაუგი.

# Google ბრაუნის სპონსორობას აპირებს




**მონაკოს** გრან-პრის მსვლელობისას ჟურნალისტებს არ გამორჩენიათ, რომ რბოლის სანახავად მისულ უამრავ სტუმარს შორის იყო ამერიკელი მილიარდერი, საძიებო სისტემა Google-ის ერთ-ერთი შემქმნელი **ლარი პეიჯი**, რომელიც 2009 წლის მონაცემებით, ამერიკის ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში მეექვსე ადგილს იკავებს.

ოფიციალურად, პეიჯი „მაკლარენის“ სტუმარი იყო, მაგრამ ცნობილია, რომ ის კონცერნ Virgin Group-ის მფლობელის **რიჩარდ ბრენსონის** მეგობარია. როგორც ინტერნეტ-ჟურნალი GPWeek-ი წერს, ბოქსებში ხშირად ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ სულ მალე „ბრაუნ გრან-პრის“ ბოლიდებზე Virgin-ის ემბლემების ნაცვლად Google-ის ლოგოტიპი გამოჩნდება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საჯინიბოს ხელმძღვანელობა და ბრენსონი ფასზე ვერ მორიგდებიან.

# კოსუორტი ფორმულაში ბრუნდება

**ჟურნალ** „ავტოსპორტის“ ინფორმაციით, ოთხი ახალი გუნდი, რომელიც გაისად ფორმულა 1-ში აპირებს მისვლას, სავარაუდოდ, კომპანია „კოსუორტის“ ძრავებით იქნება აღჭურვილი.

ბრიტანული დამოუკიდებელი კომპანია იწონებს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ახალ რეგლამენტს, რომელიც ხარჯების შემცირებისკენ არის მიმართული. მისი წყალობით, ნაკლებად მდიდარი გუნდების ძრავებით მომარაგება გახდება შესაძლებელი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დროს, როცა მსხვილი ავტოკონცერნები ფორმულა 1-ის დატოვებით იმუქრებიან.

პროექტ USF1-ის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **პიტერ უინძორმა** დაადასტურა, რომ მისმა გუნდმა უკვე მოაწერა ხელი „კოსუორტთან“ კონტრაქტს. შეგახსენებთ, USF1 ამერიკული საჯინიბოა, რომელმაც განაცხადი შეიტანა 2010 წლის ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

ამასობაში, „რენოს“ შეფმა **ფლავიო ბრიატორემ** აღიარა, რომ ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციამ ფედერაციას განაცხადების შეტანის ვადის გაგრძელება სთხოვა, მაგრამ ის დაკმაყოფილებული არ ყოფილა.

*„ფედერაციას შესაბამისი თხოვნით მივმართეთ, მაგრამ უარი მივიღეთ. ყოველ წელს განაცხადების შეტანა ნოემბერში სრულდებოდა. ვერ ვხვდები, წელს რატომ გადმოიტანეს ეს პროცედურა მაისისთვის“,* - განუცხადა ესპანელ ჟურნალისტებს ბრიატორემ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კონგსვინგერი-სიოგნდალი | 0:2 |
| **შვედეთი** | |
| იურგორდენი-ჰაკენი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ვასბი-ფალკენბერგი | 1:2 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ატლანტისი-კოტეპე | 1:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნიტრა-ბისტრიცა | 2:1 |
| არტმედია-დ. სტრედა | 3:0 |
| სლოვანი-კოშიცე | 1:2 |
| ტატრანი-მორავცე | 2:1 |
| ტრნავა-რუჟემბეროკი | 0:4 |
| ჟილინა-დუბნიცა | 5:2 |
| **[illegible]** | |
| ჩერნომორეცი-მეტალურგი (ზ) | 2:1 |
| დინამო-შახტარი | 1:0 |
| ხარკოვი-მეტალისტი | 1:2 |
| კარპატი-ლვოვი | 2:1 |
| კრივბასი-ვორსკლა | 0:2 |
| მეტალურგი (დ)-არსენალი | 0:0 |
| ტავრია-ილიჩივეცი | 3:2 |
| ზორია-დნიპრო | 2:0 |
| **უნგრეთის თასი** | |
| ჰონვედი-დიორი | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| **პლეი ოფი** | |
| სკაილაინერსი-ოლდენბურგი | 69:72 |
| პადერბორნი-ალბა | 85:80 |
| ბამბერგი-ჰეტინგენი | 84:68 |
| **იტალია** | |
| **პლეი ოფი** | |
| რომა-ბიელა | 79:83 |

TV პროგრამა

**27 მაისი. ოთხშაბათი**

**რუსთავი 2**

22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:25 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
07:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:25 ლიბერტადორესის თასი.
09:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:15 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-მარსელი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ბარსელონა.
14:30 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ტოტენჰემი.
16:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:40 ლიბერტადორესის თასი.
18:30 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:55 სასტვენი.
21:45 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
01:45 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
02:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-ბოკა ხუნიორსი.
04:15 საფეხბურთო პროგრამა.
04:45 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
10:45 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. III დღის მიმოხილვა.
12:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
17:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVII ეტაპი (LIVE).
19:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
19:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
22:55 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
23:00 მულტისპორტი.
23:35 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:40 გოლფი. US PGA-ის ტური.
00:45 გოლფი. ევროპის ტური.
00:15 გოლფ-კლუბი.
01:20 აფროსნობა. MedCup. ესპანეთი.
01:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
02:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე.
03:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.

კალათბურთი

# დეტროიტი გაძლიერებას აპირებს

## თურქოგლუ ორლანდოდან წასვლას აპირებს

**გაზეთ** The Detroit Free Press-ის ინფორმაციით, „დეტროიტ პისტონზის“ ხელმძღვანელობა ამ ზაფხულს სერიოზულად აპირებს შემადგენლობის გაძლიერებას და ისეთი კალათბურთელების შეძენით არის დაინტერესებული, როგორებიც არიან **კრის ბოში** („ტორონტო“), **კარლოს ბუზერი** („იუტა“) და **ბენ გორდონი** („ჩიკაგო“). ასევე „დეტროიტში“ შეიძლება ვიხილოთ ცენტრი **კრის კამანი**, რომელსაც „ლოს ანჯელეს კლიპერსი“ გაცვლას უპირებს მას შემდეგ, რაც წლევანდელ დრაფტზე მძიმე ფორვარდ **ბლეიკ გრიფინს** აირჩევს.

მოქმედი კონტრაქტის თანახმად, კამანმა მომდევნო სამი სეზონის განმავლობაში 33 მილიონი დოლარი უნდა გამოიმუშაოს.

■ ■ ■

წლევანდელი სეზონის შემდეგ, „ორლანდო მეჯიქის“ თურქი ფორვარდი **ჰედო თურქოგლუ** თავის კონტრაქტში არსებულ პუნქტს გამოიყენებს და თავისი ამჟამინდელი გუნდის რიგებში ბოლო სეზონის ჩატარებაზე უარს იტყვის. მომავალ წელს თურქოგლუს 7.3 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

გაისად, „ორლანდომ“ თავის ორ ლიდერს - ფორვარდ **რაშარდ ლუისსა** და ცენტრ **დუაიტ ჰოვარდს** შესაბამისად 20.7 და 16.5 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს და „ორლანდოს“ თურქი კალათბურთელისთვის ხელფასის გაზრდის საშუალება არ ექნება.

თურქოგლუ (30 წლის), რომელმაც ორი საუკეთესო სეზონი ჩაატარა თავის კარიერაში, გრძნობს, რომ ეს მისთვის დიდი კონტრაქტის გაფორმების ბოლო შანსია.

ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

**XVI ეტაპი**

**პერგოლა-მონტე პეტრანო. 237 კმ**

1. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - 7.11,54; 2. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - +0,25; 3. **დანილო დი ლუკა** (იტალია, LPR Brakes - Farnese Vini) - +0,26; 4. **ივან ბასო** (იტალია, Liquigas) - +0,29; 5. **სტეფანო გარცელი** (იტალია, Acqua & Sapone – Caffe Mokambo) - +1,19; 6. **ფრანჩესკო მაჩიარელი** (იტალია, Acqua & Sapone – Caffe Mokambo ) - +1,21; 7. **ფრანკო პელიზოტი** (იტალია, Liquigas) - იგივე დრო... 10. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, „ასტანა“) - +2,51; 11. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, „ასტანა“) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - 70.06,30; 2. **დანილო დი ლუკა** (იტალია, LPR Brakes - Farnese Vini) - +0,39; 3. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +2,19; 4. **ფრანკო პელიზოტი** (იტალია, Liquigas) - +3,08; 5. **ივან ბასო** (იტალია, Liquigas) - +3,19; 6. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, „ასტანა“) - +3,21... 12. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, „ასტანა“) - +11,06...

ჩოგბურთი. როლან გაროსი

# კანონზომიერი დღე...

სენსაციის მოყვარულებს როლან გაროსის მესამე დღესაც გაუცრუვდათ იმედები. ჯერჯერობით არ გამოჩნდა ისეთი ჩოგბურთელი, ვინც ფავორიტებს ბრძოლას გამოუცხადებს.

თუმცა ულიმღამო დღის ფონზე რამდენიმე საინტერესო მატჩი მაინც გაიმართა. მაგალითად, ვეტერანების შეხვედრა, რომელშიც 29 წლის ესპანელი **ხუან კარლოს ფერერო** (103-ე ნომერი) 30 წლის ხორვატ **ივან ლუბიჩიჩს** ხვდებოდა. საფრანგეთის ღია პირველობის 2003 წლის ჩემპიონ ფერეროს კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. ესპანელმა უკვე არაერთხელ მიანიშნა, რომ მალე წავა დიდი სპორტიდან, თუმცა მანამდე ხუან კარლოსი კიდევ ერთხელ ცდის ძალებს თავის საყვარელ ტურნირზე და ხუთსეტიანი თრილერის შემდეგ, მეორე წრეში გაღწევა მოახერხა, სადაც მისი მეტოქე 29-ე ნომრად განთესილი გერმანელი **ფილიპ კოლშრაიბერი** იქნება.

საინტერესო იყო ფრანგული დერბი **ჟო-ვილფრიდ ცონგასა** და **ჟულიან ბენეტოს** შორის. ამ ჩოგბურთელების ოთხი დაპირისპირებიდან მსოფლიოს მეცხრე ჩოგანს მხოლოდ ერთი ჰქონდა მოგებული. ამჯერად ცონგამ ეს ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა. ამისთვის მას რეიტინგის 52-ე ნომრის წინააღმდეგ ოთხი სეტის ჩატარება დასჭირდა. შემდეგ წრეში ჟო-ვილფრიდს გაცილებით რთული მეტოქე ეყოლება. ეს არის არგენტინელი **ხუან მონაკო**, რომელმაც არანაირი შანსი არ დაუტოვა ერთ დროს ძლიერ კვიპროსელ **მარკოს ბაღდატისს** - 6:3, 6:2, 6:4.

გუშინ, ყველაზე ნაკლები ჯაფა სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** დაადგა, რომელმაც ეკვადორელ **ნიკოლას ლაპენტისთან** მატჩში ძალების დაზოგვა მოახერხა. ჩოგბურთელებმა კორტზე საათზე ოდნავ მეტი დაყვეს. პირველი სეტის ბედი ერთადერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა. მისი ავტორი ჯოკოვიჩი გახდა და ამან მას პარტია მოაგებინა. სერბი მეორე სეტშიც ბრეიკით დაწინაურდა და როცა ანგარიში 3:1 გახდა, ლაპენტიმ ტრავმის გამო შეწყვიტა ბრძოლა და მეორე ეტაპზე უკრაინელ **სერგეი სტახოვსკისთან** შეხვედრა მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს მოუწევს.

გუშინ, როლან გაროსზე პირველად ჩაერია საქმეში წვიმა, რის გამოც მატჩების რამდენჯერმე შეწყვეტა მოუხდათ. ამ პრობლემას ნაწილობრივ ორ წელიწადში მოაგვარებენ. უიმბლდონის მსგავსად, ფრანგებიც აპირებენ ცენტრალურ კორტზე მოძრავი სახურავის დამონტაჟებას.

სწორედ წვიმის გამო, ზოგიერთი მატჩი ძალიან გვიან დასრულდა და მასში მამაკაცთა ბადის მთავარი მოულოდნელობა მოხდა. მართალია, ამერიკელი ჯეიმს ბლეიკი თიხნარზე კარგი თამაშით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ მაინც ყველას გაუკვირდა მისი სამ სეტში მარცხი არგენტინელ **ლეონარდო მაიერთან**.

სამი მატჩის დასრულება მაინც ვერ მოხერხდა და ის დღეისთვის გადაიდო. დღესვე დაიწყება მეორე წრის თამაშები.

გადავიდეთ ქალების ტურნირზე, სადაც ჯერჯერობით უჭირთ ფინალისკენ გზის გაკვალვა დებ უილიამსებს. ერთი დღით ადრე, **ვენუსმა** სეტი წააგო თანამემამულე **ბეტანი მატეკთან**. გუშინ კი **სერენა უილიამსს** დიდ ბრძოლა გაუმართა WTA-ის რეიტინგის მე-100 ნომერმა **კლარა ზაკოპალოვამ**.

მეტოქეებმა პირველი ორი სეტი გაცვალეს. მეორე სეტში, 3:5-ზე ჩეხმა ჩოგბურთელმა ხუთი (!) მატჩი-პოინტი გადაარჩინა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, სადაც იღბალი მის მხარეს აღმოჩნდა.

მესამე პარტიაში თავიდან ჩეხი ჩოგბურთელი დაწინაურდა. მან თავიდანვე აიღო ბრეიკი და 2:1-ზე ოთხი გეიმ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ მაინც მოახერხა თავისი მოწოდების წაგება. უმცროსმა უილიამსმა ჯერ ბრეიკი დაიბრუნა, შემდეგ კი 5:2 წაიყვანა ანგარიში. ზაკოპალოვას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზედიზედ ორი გეიმის მოგებით მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. და მაინც, ამერიკელმა რიგით მეცხრე მატჩ-პოინტი გამარჯვების ქულად აქცია და შემდეგ წრეში გავიდა. იქ სერენას ესპანელი **ვირხინია რუანო-პასკუალს** დახვდება.

ქალთა ბადეში ერთი მოულოდნელობა მაინც მოხდა. ბოლო პერიოდში კარგ ფორმაში მყოფმა სლოვაკმა **დანიელა ჰანტუხოვამ** ადგილობრივი ფანების გასახარად წინააღმდეგობა ვერ გაუწია ფრანგ **ვირჟინ რაზანოს** და პირველივე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას.

## I წრე

### კაცები

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 6:3, 3:1 ლაპენტის უარი; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 5)**-მიშელ ლოდრა (საფ) 6:3, 6:3, 6:1; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 9)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 6:4, 3:6, 6:3, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ, 11)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:2, 6:3, 6:1; **ლეონარდო მაიერი (არგ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 15) 7:6, 7:5, 6:2; **ტომი რობრედო (ესპ, 16)**-ადრიან მანარინო (საფ) 6:2, 6:1, 6:2; დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 21)-არნო კლემანი (საფ) 3:6, 6:3 გადაიდო; **მაქსიმო გონსალესი (არგ)**-მარდი ფიში (აშშ, 22) 6:3, 1:6, 6:4, 7:6; **მარკ ჟიკელი (საფ)**-რაინერ შუტლერი (გერ, 27) 6:0, 6:0, 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 29)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 6:1, 6:2, 6:2; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ) 2:6, 6:4, 6:4, 3:6, 6:3; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 3:6, 6:3, 6:4, 6:7, 6:3; **დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 6:4 კოროლიოვის უარი; **სერგეი სტახოვსკი (უკრ)**-ბრაიან დაბული (არგ) 4:6, 7:5, 7:6, 6:3; **ანდრეას სეპი (იტა)**-გილერმო გარსია ლოპესი 6:3, 6:3, 6:1; **ვიქტორ კრივოი (რუმ)**-სიმონ გროილი (გერ) 6:1, 7:6, 6:2; **ხუან მონაკო (არგ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 6:3, 6:2, 6:4; **ტომი ჰაასი (გერ)**-ანდრეი პაველი (რუმ) 6:1, 6:4, 6:4; **ანდრეას ბეკი (გერ)**-ივან ნავარო (ესპ) 7:6, 6:4, 6:1; კრისტოფ როხუსი (ბელ)-ფაბრის სანტორო (საფ) 6:3, 6:1, 3:6, 5:3 გადაიდო.

### ქალები

**სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:3, 6:7, 6:4; **ელენა დემენტიევა (რუს, 4)**-შანელ სხეეპერსი (ს. აფრ) 6:4, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 5)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 6:2, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 7)**-კლერ ფორსტეინი (საფ) 6:1, 6:4; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 10)**-ვერა დუშევინა (რუს) 4:6, 7:5, 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 18)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:2, 5:7, 6:0; ალიზ კორნე (საფ)-მარეტ ანი (ესტ) 6:4, 4:4 გადაიდო; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან, 24)**-მინოკა ნიკულესკუ (რუმ) 6:4, 4:6, 6:3; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 28)**-ნატალი დეში (საფ) 6:3, 7:6; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 30)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:4, 6:2; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-შუაი პენგი (ჩინ, 31) 1:6, 6:2, 6:4; **ვიქტორია-კუტუზოვა (რუს)**-ჟუჟანა ონდრაშკოვა (ჩეხ) 6:2, 6:4; **იანინა ვიკმაიერი (ბელ)**-ურსულა რადვანსკა (პოლ) 4:6, 6:3, 6:0; **ელენა დოკიჩი (ავსტრა)**-კაროლინა შპრემი (ხორ) 3:6, 6:1, 6:2; **სორანა კირსტეა (რუმ)**-კარლი გალიქსონი (აშშ) 6:4, 6:2; **პეტრა მარტიჩი (ხორ)**-მარა სანტანჯელო (იტა) 6:4, 6:2; **გალინა ვოსკობოევა (ყაზ)**-სანია მირზა (ინდ) 6:4, 7:6; **ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ)**-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) 6:4, 6:3; **მელინდა ჩინკი (უნგ)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ) 3:6, 6:4, 6:1; **მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ)**-კრისტინა მლადენოვიჩი (საფ) 6:1, 2:6, 8:6; **ვირჟინ რაზანო (საფ)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 6:3, 6:3.



კრივი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაიკის შვილი სიკვდილს ებრძვის

ლეგენდარული ამერიკელი მოკრივის **მაიკ ტაისონის** 4 წლის ქალიშვილი ქალაქ ფინიქსის საავადმყოფოში მოათავსეს. გოგონა კლინიკაში უმძიმეს მდგომარეობაში მიიყვანეს. ამის მიზეზი გახდა სავარჯიშო ოთახში ერთ-ერთი ტრენაჟორის კრიკის ტროსი, რომელიც გოგონამ შემთხვევით ყელზე დაიხვია და დახრჩობის პირას მივიდა.

ფინიქსის პოლიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საქმე აქვთ „ტრაგიკულ შემთხვევითობასთან" - გოგონამ თავი გაყო კაბელისკან შეკრულ ყულფში. ბავშვის დედა ინციდენტის მომენტში გვერდით ოთახში იმყოფებოდა. გოგონა მისმა შვიდი წლის ძმამ აღმოაჩინა და საშველად დედას დაუძახა. ქალმა ყულფისგან გაათავისუფლა შვილი, სასწრაფო დახმარებას გამოუძახა და პირველადი სამედიცინო დახმარების ჩატარება სცადა.

კლინიკის ექიმები „რკინის მაიკის" ქალიშვილის მდგომარეობას კრიტიკულს უწოდებენ. გოგონა ხელოვნური სუნთქის აპარატზეა მიერთებული. ტაისონი ამ მომენტში ლას ვეგასში იმყოფებოდა და როგორც კი მომხდარის შესახებ შეიტყო, მაშინვე ფინიქსში გაფრინდა.

შვილის მონახულების შემდეგ, სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა, სადაც საზოგადოებას მხარდაჭერისთვის მადლობა გამოუცხადა: *„ჩემი ოჯახი მადლობელია საყოველთაო დახმარებისა და ლოცვის გამო. ჩვენ გთხოვთ, რომ ასეთ რთულ პერიოდში, ადამიანებმა პატივი სცენ ჩვენს პირად ცხოვრებას".*

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

